

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ილია ცეცხლაძე

ამონა მონაზვნის ასკეტიკურ-მისტიკური ეპისტოლეები ძველ
ქართულ ხელნაწერებში

თბილისი

2020

ნაშრომი ეძღვნება ეგვიპტის უდაბნოში სამონაზვნო ცხოვრების საწყისი პერიოდის მოღვაწის, ამონა მონაზვნის, ასკეტიკურ-მისტიკური ხასიათის ეპისტოლეებთან დაკავშირებული ისტორიულ-ტექსტოლოგიური და შინაარსობრივი პრობლემატიკის კვლევას.

ეპისტოლეები IV საუკუნეშია დაწერილი. ქართულ ენაზე მათი მთარგმნელის ვინაობა უცნობია. როგორც დღეისთვის ირკვევა, წერილები ათმა ქართულმა ხელნაწერმა შემოგვინახა, რომელთა შორის უძველესია Sin. 35 (907წ.) კრებული და რომლის გადამწერის ვინაობაც უცნობია.

ნაშრომი ორი ნაწილისგან შედგება: პირველ თავში წარმოდგენილია ეპისტოლეებთან დაკავშირებული ისტორიულ-ტექსტოლოგიური საკითხების კვლევა, მეორე თავი კი მათში არსებული რამდენიმე საღმრთისმეტყველო საკითხის ანალიზს ეძღვნება.

ნაშრომის ბოლოს, დანართის სახით, ეპისტოლეების ყველაზე სრული სახით შემცველი, Sin. 35 კრებულში მოთავსებული ტექსტია წარმოდგენილი.

რედაქტორები:

ლელა ხაჩიძე

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

თსუ ასოცირებული პროფესორი

გვანცა კოპლატაძე

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

თსუ ასოცირებული პროფესორი

სარჩევი

შესავალი	4
თავი I. წმ. ამონა მონაზვნის ასკეტიკურ-მისტიკური ეპისტოლეები – ისტორიულ-ტექსტოლოგიური მიმოხილვა	7
1.1. ეგვიპტის უდაბნოში განდევილური მოღვაწეობის დასაწყისი III-IV საუკუნეებში	7
1.2. ეპისტოლეთა ავტორობის პრობლემა	11
1.3. ეპისტოლეების ავტორი – წმიდა ამონა მონაზონი	16
1.4. წმ. ამონა მონაზვნის ეპისტოლეების დედნის ენა, ჩვენამდე მოღწეული უძველესი თარგმანები და გამოცემები	23
1.5. წმ. ამონა მონაზვნის ეპისტოლეთა შემცველი ქართული ხელნაწერები	25
1.6. Sin. 35-ის აღწერილობა	26
1.7. ხელნაწერის დაწერის ადგილი, დრო და გადამწერის ვინაობა - ერთი დაკარგული ფურცლის ისტორია	29
1.8. Sin. 35-ისა და წმ. ამონა მონაზვნის ოთხი ეპისტოლის შემცველ ხელნაწერ Sin. 25-ის ურთიერთმიმართებისათვის	34
1.9. წმ. ამონა მონაზვნის ერთი ასკეტიკური სწავლების ილია აბულაძისეული გამოცემა	35
თავი 2. წმ. ამონა მონაზვნის ეპისტოლეების ძირითადი საღმრთისმეტყველო პრობლემატიკა	37
2.1. განდევილ მამათა როლი ეკლესიის ისტორიაში. წმ. ამონას სწავლება განმარტოებით მცხოვრებ და განწმენდილ მამათა ერში მივლინების შესახებ	37
2.2. სწავლება „მადლის მომუშავეების შესახებ“ (ტერმინების: „ισχῦς“ და „δύναμις“ განსხვავება)	41
2.3. სწავლება სინანულის სულის შესახებ („სული სინანულისაჲ ყოველთა უწესს“)	44
2.4. კეთილისა და ბოროტის გარჩევის მადლის შესახებ ანუ „სული განკითხვისაჲ“	47
2.5. ეგზეგეტიკის მაგალითები წმ. ამონა მონაზვნის ეპისტოლეებში	50
დასკვნა	55
გამოყენებული ლიტერატურა:	57
დანართი N 1	1-44

შესავალი

ჩვენში ძველთაგანვე მეტად აქტუალური იყო მთარგმნელობითი საქმიანობა. საქართველოში თუ მის ფარგლებს გარეთ არსებული ქართული საგანმანათლებლო კერებისა და ქართველი მოღვაწეების ერთ-ერთ უმთავრეს საქმიანობას გამორჩეული ლიტერატურული ძეგლების თარგმნა, მათი გადაწერა-გამრავლება და კრებულების შექმნა წარმოადგენდა. ქართული სალიტერატურო ენის, ეროვნული მწერლობისა და კულტურის ჩამოყალიბებაში ფასდაუდებელი წვლილი სწორედ მთარგმნელობითმა საქმიანობამ შეიტანა. აქედან გამომდინარე, ქართული ნათარგმნი ლიტერატურული ძეგლების შესწავლას ჩვენი სულიერი კულტურის ისტორიის შედარებით სრულყოფილად შესწავლისთვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი კი ბერძნულიდან ნათარგმნი ქრისტიანული შინაარსის მქონე ტექსტების, როგორც ქართული კულტურის ორი უმთავრესი საყრდენის – ენისა და სარწმუნოების მასაზრდოებელ წყაროთა შესწავლაა. წინამდებარე ნაშრომიც მოკრძალებული მცდელობაა ძველი ქართული მწიგნობრული საქმიანობის კვლევისა და საზოგადოებისთვის გაცნობისა.

წმ. ამონა¹ მონაზვნის ავტორობით მოღწეულ ასკეტიკურ სწავლებათა უმრავლესობა ეპისტოლურ ჟანრს მიეკუთვნება და მათ ადრესატს წმიდა მამის სამწყსო წარმოადგენს. გამონაკლისია მხოლოდ ერთი თხზულება, რომელიც კითხვა-მიგებითი ხასიათისაა. ამონა მონაზვნის ლიტერატურულ მემკვიდრეობა ათი ქართული ხელნაწერშითაა მოღწეული, ესენია: Sin. 35 (907 წ.), Sin. 25 (X ს.), Ath 17 (XI ს.), Sin.Geo.N.13 (X ს.), Sin. 36 (925 წ., ბოლონაკლული), Ath. 9 (977/9 წლები), A-56 (XVIII ს.), A-1142 (1915 წ.), H-1662 (1040 წ.), S-1139 (930-940 წწ.). ჩამოთვლილთაგან უკანასკნელი სამი ხელნაწერი ილია აბულაძემ გამოსცა სახელწოდებით „მამათა სწავლანი“, რომელშიც ამონას ერთი სწავლებაც მოხვდა. წინამდებარე ნაშრომში თავი შევიკავეთ ამ სწავლების შემცველი დანარჩენი სამი ხელნაწერის გადმოწერისა და ილია აბულაძისეულ გამოცემაში არსებულ ამონას თხზულებასთან შედარებისგან, თუმცა, სამომავლოდ კვლევის

¹ არსებობს ამ სახელის ბერძნულად ჩაწერის მრავალი ვარიანტი: Ἀμόν, Ἀμμωνίος, Ἀμμώνας და ა.შ., ამით უნდა იყოს გამოწვეული ქართულ თარგმანებში სახელის არაერთი ფორმის (ამუნი, ამონაჲ, ამმონა და ა.შ.) არსებობა, რაც წერილების ავტორის ვინაობის დადგენას დიდად ართულებს.

გაგრძელება ამ მიმართულებითაც იგეგმება. ჩამოთვლილ ათ ხელნაწერს შორის ყველაზე ძველია Sin. 35 კრებული, რომელიც წმ. ამონას სწავლებებს ყველაზე უფრო სრული სახით (16 ეპისტოლე) შეიცავს. სწორედ ამიტომ, ეს ხელნაწერი გახდა ტექსტის დადგენისა და კვლევის ძირითადი ობიექტი.

აღსანიშნავია, რომ არც ხელნაწერის ისტორია, არც ავტორის ვინაობა და არც ეპისტოლეებში გადმოცემული ასკეტიკური სწავლებანი ქართულ სამეცნიერო სივრცეში ამ დრომდე საფუძვლიანად არავის უკვლევია, ქრისტიანული ბერ-მონაზვნობის ისტორიაში დიდი ავტორიტეტის მიუხედავად. წმ. ამონას შესახებ, რომელიც ანტონი დიდთან, პახუმი დიდთან, მარკოზ მონაზონსა და სხვებთან ერთად მონაზვნურ-ასკეტიკური ცხოვრების საწყისთან დგას, მაშინ, როცა უცხოელი მკვლევრები მის ცხოვრებასა და მოღვაწეობას აქტიურად იკვლევენ, ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში მხოლოდ მწირი და დაუზუსტებელი ინფორმაცია არსებობს. სწორედ ამ ფაქტმა განაპირობა საბაკალავრო ნაშრომის თემად ძველ ქართულ ხელნაწერებში მონაზონი ამონას ავტორობით მოღწეულ ეპისტოლეთა შესწავლა, როგორც ავტორის ვინაობისა და მოღვაწეობის, ასევე იმ საღმრთისმეტყველო-ასკეტიკურ სწავლებათა მიმართულებით, რომელთაც ეს ეპისტოლეები შეიცავს. შესაბამისად, კვლევაც, ძირითადად, ამ ორი მიმართულებით წარიმართა: 1. ეპისტოლეთა ავტორის ვინაობის დაზუსტება-დადგენასთან ერთად, მისი ცხოვრების რაც შეიძლება სრულად შესწავლა-გადმოცემა, რისთვისაც ამონა მონაზვნის შესახებ არსებული ცნობები ქართულ ხელნაწერებში დაცულ ცნობებთან შეჯერდა; შეძლებისდაგვარად, გამოვლინდა მისი სახელით ცნობილ სწავლებათა შემცველი ყველა ქართული ხელნაწერი, რომელთაგან უძველესი და ტექსტის შედარებით სრულად შემცველი პუნქტუაციის წესების დაცვით გადმოიწერა და აზნაურობები გამოიყო, რათა შინაარსი თანამედროვე მკითხველისთვის მარტივად აღსაქმელი ყოფილიყო.² აქვე მოთავსდა გადმოსაწერად შერჩეული ტექსტის ისტორია და მისი ენობრივი ანალიზი, განსაკუთრებით ფონეტიკის თვალსაზრისით და 2. წერილებში გადმოცემულ საღმრთისმეტყველო-ასკეტიკურ სწავლებათა ანალიზის საფუძველზე დადგინდა მათი მნიშვნელობა და შესაბამისად, ავტორის ადგილიც ქრისტიანული ასკეტიზმის ისტორიაში.

² იხ. დანართი N.1.

თავი I. წმ. ამონა მონაზვნის ასკეტიკურ-მისტიკური ეპისტოლეები – ისტორიულ-ტექსტოლოგიური მიმოხილვა

1.1. ეგვიპტის უდაბნოში განდეგილური მოღვაწეობის დასაწყისი III-IV საუკუნეებში

მონაზვნურ ცხოვრებას სათავე მე-3 საუკუნის მეორე ნახევრიდან ედება. ეგვიპტის უდაბნო აღმოჩნდა ის ადგილი, რომელიც იმ ქრისტიანებმა, რომელთაც თავიანთი სიცოცხლის ღმრთისთვის მიძღვნა გადაწყვიტეს, სამოღვაწეო ასპარეზად აირჩიეს. აქ ჩაისახა და ჩამოყალიბდა მონაზვნური ცხოვრება. უკვე მე-4 საუკუნის დასაწყისიდან ეგვიპტის სანახებში არსებობდა სამონასტრო დასახლებები, რომლებშიც ათასობით მოღვაწე ცხოვრობდა. უდაბნოში გასვლის მიზეზებს შორის, გარდა ღმრთის სიყვარულსა და მისთვის თავშეწირვის სურვილისა, ეკლესიის მკვლევარნი ეკლესიისა და ქრისტიანების წინააღმდეგ მიმართულ დევნასაც ასახელებენ [Бахметева 2010: 244]. სასტიკი დევნა, ქონების ჩამორთმევა, წამება, გაბატონებული უსამართლობა მართლმორწმუნეებს აიძულებდა, განრიდებოდნენ ამა სოფელს და ღმრთის სასოებას მინდობილთ უკაცური ადგილებისთვის შეეფარებინათ თავი. სწორედ ასე მოხდა ერთ-ერთი პირველი მოსაგრის, პავლე თეზაიდელის ცხოვრებაში, რომელიც იმპერატორი დეკიუსის (249-251) დროს არსებულ დევნას განერიდა [Бахметева 2010: 244]. ეკლესიის ცხოვრების ადრეულ პერიოდში მიმდინარე ამ და სხვა პროცესებმა მონაზვნური ცხოვრების სწრაფი განვითარება განაპირობა.

მონაზვნობის პირველი ფორმა, როგორც თავად ეს კომპოზიტიც (ὁ μοναχισμός – მარტო მცხოვრები, მარტო მყოფელი, სხვაგვარად, ანაქორეტული: ἀναχράξις – მივჭრიდებ, განვემორები) მიგვითითებს, ჩადენილ ცოდვათა გამოსყიდვისა და ახალ ცოდვათა ჩადენისგან თავის არიდების მიზნით უდაბურ, უკაცრიელ ადგილებში განმარტოებით ცხოვრება გახლდათ. პირველი დიდი მამა, რომელიც ამგვარი ღვაწლის ტვირთვით საყოველთაო მაგალითად იქცა და მრავალი მიმბაძველი გაიჩინა, ანტონი დიდი იყო. მოღვაწეობის მეორე ფორმა კონობიტიზმი (κοινόβιον – ზიარი, ერთნება) ანუ მონასტრული (τὸ μοναστήριον) ბერების ერთ სივრცეში ცხოვრებას გულისხმობს. მათ ჰყავდათ საერთო

წინამძღვარი და დადგენილი ჰქონდათ ცხოვრების საერთო წესი, ანუ ტიპიკონი. ზემო ეგვიპტეში, თებაიდის უდაბნოში დამკვიდრებულ პახუმს ჯერ კიდევ მოღვაწეობის ადრეულ პერიოდში ღმრთისგან ეუწყა, რომ მალე მასთან სულიერი საზრდოს მაძიებელი მრავალი ადამიანი მივიდოდა, რის შემდეგაც სენაკების შენებას შეუდგა (ქრესტომათია 1993: 11). ამიტომაც ითვლება იგი კონიოტიური ცხოვრების დამფუძნებლად, პირველი სამმოს შემომკრებად, რომელიც საკმაოდ მკაცრი წეს-განგებით ცხოვრობდა. წეს-განგება გამოქვაბულში განმარტოებულ პახუმს ანგელოზმა გადასცა: „მისცა მას წიგნი რვალისა“³ [მამასახლისი 2010: 261].

ამ ორი დიდი მამის ცხოვრებიდან ცნობილია, რომ მათზე უწინაც იყვნენ მარტოდ მყოფნი, ღვაწლმოსილი მამები, რომლებსაც ისინი დაემოწაფნენ. ანტონი დიდის ცხოვრებაში ვკითხულობთ: „არღა იყო ესრჭთ ეგვიპტეს სიმრავლჭ მონასტერთაჲ, არამედ კაცად-კაცადსა რომელსა უნებნ თავისა თვისისა კრძალვად, არა შორს დაბასა თვისსა განეყენის, არამედ მახლობელად ზინ და იმარხავნ. რამეთუ იყო მას ჟამსა მახლობელად დაბასა მას ბერი სიყრმითგან მონაზონებასა შინა“ [იმნაიშვილი 1970: 9]. სწორედ მას ჰბამავდა ჭაბუკი ანტონი და არა მარტო მას, არამედ „თუ ვისიმე მონაზონისაჲ ესმის გამოვიდის და ეძიებნ მას, ვითარცა ბრძენი ფუტკარი“ [იმნაიშვილი 1970: 9-10]. ასევე ანტონი ხვდება მასზე უწინარესად უდაბნოში განმარტოებულ ზემოთ ნახსენებ პავლე თებაიდელს, რომელმაც 91 წელი მარტომ იღვაწა და 113 წლისა აღესრულა (ჯუღელი 2011: 7). პახუმი დიდის ცხოვრებაში კი ნათქვამია: „ბოლოს ღმერთის სიყვარულით განიზრახა ბერად აღკვეცილიყო. ცხადი გახდა მისთვის განდევილის ვისმე, სახელად პალამონის ამბავი და მიეახლა პახომიოსი და მასთან ერთად დაყუდება ინება“ [ქრესტომათია 1993: 8]. ანტონი დიდი ამ პერიოდში ეგვიპტის ჩრდილოეთ ნაწილში, ნიტრიის⁴ უდაბნოში, ალექსანდრიიდან 40 კილომეტრის დაშორებით (Рyфин 2002: 152), ნილოსის დელტის დასავლეთით მოღვაწეობდა, შემდეგ კი უდაბნოს სიღრმეს მიაშურა. მან მოშურნეობითა და სასწაულებით სახელი მალევე გაითქვა. მოსაგრეობის მომრავლებული მსურველნი საერთო საცხოვრებლებს აყალიბებდნენ და მას

³ ეს განჩინება პალადის მოყვანილი აქვს „ლავსაიკონში“ (მამასახლისი 2010: 261-262).

⁴ ნიტრიის ველი (“wadi el natrun”) ამ ადგილებს გვარჯილის მაღალი შემცველობის გამო ეწოდა (Рyфин 2002: 152).

წინამძღვრობას სთხოვდნენ.⁵ ანტონი 35 წლის განმავლობაში უარით ისტუმრებდა, რადგან პასუხისმგებლობის აღება მათ მოღვაწეობაზე უმძიმდა, მაგრამ ბოლოს და ბოლოს დათანხმდა. დრო და დრო იგი თავისი სამყოფელიდან გამოდიოდა და ძმებს სულიერ გამოცდილებას უზიარებდა. თავდაპირველად ანტონს საძმოსთვის წეს-განგება არ შეუდგენია, მონასტრული ტიპიკონი მოგვიანებით, ერთად ხანგრძლივი ცხოვრების პრაქტიკითა და გამოცდილებით უნდა შექმნილიყო და ასეც მოხდა (კოპლატაძე 2019: 268). მის ერთ-ერთ პირველ და ბრძენ მოწაფეებს შორის გამოარჩევენ: მაკარი ეგვიპტელს (300-390), რომელმაც, განმარტოვდა რა მოძღვრის კურთხევით, დაახლ. 330 წელს „სკიტეს“ სახელით ცნობილი სამონასტრო კერა დააარსა; ამონა ნიტრიელს,⁶ – ნიტრიის მთაზე დამკვიდრებული ანტონის ირგვლივ შემოკრებილი საძმოს ერთ-ერთ პირველ წინამძღვარსა (დაახლ. 330 წ.) და ამგვარად აქ ერთ-ერთი პირველი მონასტრის, შემდეგ კი „სენაკების“ სახელით ცნობილი განდევილთა სამოღვაწეო ადგილის დამაარსებელს (დაახლ. 338 წ.) (Gabra 2002: 11-14), ამა პამბოსა და სხვებს. მაშასადამე, პახუმი დიდთან ერთად მაკარიცა და ამონაც ერთ-ერთი პირველები არიან, რომელთა სახელებსაც გარკვეულწილად შეგვიძლია დავუკავშიროთ კონიობიტური ცხოვრების დაფუძნება. მართალია, სრული ტიპიკონი არ შეუქმნიათ, მაგრამ ჩვენამდე მოღწეული ცნობები ცხადყოფს, რომ მათ ჰქონდათ გარკვეული საერთო სამოღვაწეო კანონები. ამონას გარდაცვალების შემდეგ აუცილებელი გახდა მონაზვნური ცხოვრების მოწესრიგებისათვის წეს-განგების ჩამოყალიბება, ეს საქმე კი მაკარი ალექსანდრიელს შეუსრულებია [Бахметева 2010: 248].

ეგვიპტის უდაბნოს სამონასტრო ცხოვრების შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდის პალადი ჰელენოპოლელი, რომელმაც დაახლ. 391-392 წლებში ნიტრიასა და სენაკებში იმოგზაურა [Harmless 2004: 276]. როგორც „ლავსაიკონში“ წერს, ამ დროისათვის აქ 5 000-ზე მეტი ასკეტი ცხოვრობდა და „თითოსახე აქუნდა მოქალაქობაჲ თვთოეულსა, ვითარცა

⁵ ასკეტური ცხოვრების ამგვარი ფორმა, მოძღვრის საცხოვრებლის ირგვლივ მოწაფეთა შედარებით თავისუფალი დასახლება, სენაკების ცალ-ცალკე აშენება, ლავრის ტიპის მონასტრებისთვისაა დამახასიათებელი. III-IV საუკუნეებში ეგვიპტეში, ძირითადად, ლავრები გვხვდება, იშვიათად კონიობიტური მონასტრები [ჯულელი 2011: 315-316].

⁶ ამ ამონას დაბადებისა და გარდაცვალების ზუსტი თარიღი უცნობია. ვიცით მხოლოდ ის, რომ იგი 62 წლისა აღესრულა (მამასახლისი 2010: 213), ანტონი დიდის (356 წ.) გარდაცვალებამდე. მაშასადამე, მისი მოღვაწეობა 288-356 წლებს შორის უნდა ვიგულისხმოთ, უფრო ზუსტად კი - 288-350 წლებში [Cross 2005: 53].

ძალ-უცნ და ვითარცა ჰნებავნ, რამეთუ რომელიმე მარტოებით იყოფები, რომელიმე -
ორთა თანა და რომელიმე მრავალთა თანა“ [მამასახლისი 2010: 211]. აქვე ჰქონდათ დიდი
ეკლესია, მის გვერდით სახლი სტუმართათვის („სახლი უცხოთ სადგური“). სტუმარს
შეეძლო მათთან სამი წელი დარჩენილიყო. მისვლის პირველ კვირას არაფერს
ავალებდნენ, მეორე კვირიდან კი კონკრეტულ საქმეზე: ბოსტანში, საკურეში,
სამზარეულოში განამწესებდნენ. მონაზონთა ძირითადი საქმიანობა და შემოსავლის
წყაროც სელისგან სხვადასხვა ნივთის წვნა იყო. შემდეგ მათ ყიდდნენ ან ცვლიდნენ. ასევე
ვენახის მოვლა და ღვინის დაწურვა, რომელსაც ისინი მხოლოდ ავადმყოფობისას მცირე
რაოდენობით იღებდნენ, დანარჩენს კი აუცილებელ ნივთებზე ცვლიდნენ. ბერები
„ამით სახითა უზრუნველად მოირეწდეს საზრდელსა თვსსა“ [მამასახლისი 2010: 211].
ასკეტებს მცირედიც აკმაყოფილებდათ: მკაცრი მარხვა, საუკეთესო შემთხვევაში დღეში
ორჯერ, ხშირად კი ერთხელ, ხმელი პურისა და წყლის მიღება და უბრალო სამოსი ბევრ
ხარჯს არ მოითხოვდა. რა თქმა უნდა, არც რაიმე საკუთრება ჰქონდათ (კოპლატაძე 2019:
268-269). ჰყავდათ მკურნალები, მზარეულები, ყველას თავისი საქმე ჰქონდა, რითაც
მონაზონთა მთელ კრებულსაც ემსახურებოდა და მორჩილების კანონსაც აღასრულებდა.
მონასტრებს უხუცესები და სულიერად წარმატებულნი ხელმძღვანელობდნენ: „იყვნეს
უკუე ეკლესიისა განმგებელნი განჩინებით კაცნი რვანი მღდელნი და მოხუცებულნი და
ვიდრემდის პირველი იგი ცოცხალ არნ, სხუანი იგი არას აცილობედ, არცა რას განაგებედ,
არამედ დუმილით მსხდომარე იყვნინ მის თანა“ [მამასახლისი 2010: 212]. ამგვარი
მოშურნეობითა და ლოცვით ახერხებდნენ ყოფილიყვნენ უდაბნოთა ქალაქმყოფელნი,
ეხმარებოდნენ ხელმოკლედ მცხოვრებთ და ქმნიდნენ ცხოვრების ჰარმონიულ,
ყველასთვის მისაბამ წესს (კოპლატაძე 2019: 268).

ნიტრიელი ასკეტების ცხოვრების შესახებ საუბრობს პრესვიტერი რუფინუსიც. მას
ეგვიპტეში პალადი ჰელენოპოლელზე ადრე, დაახლ. 374 წელს უნდა ემოგზაურა
[Harmless 2004: 276]. იგი გაოცებით ამბობს, რომ არსად უნახავს ამგვარი მოწყალება და
კაცთმოყვარეობა. აღწერს, ფუტკრებივით როგორ გამოეგებნენ მამები, შეიპატიჟეს,
მოასვენეს, ფეხები დაბანეს და ყველამ სათითაოდ, თავისი პირსახოცით შეუმშრალა.
ისტორიკოსის თქმით, ისინი ამგვარად ადამიანთაგან თითქოს მწუხარებასაც
წარხოცდნენ (Руфин 2002: 152-153). ამ ადგილების აღწერის შემდეგ იგი ნიტრიდან

რამდენიმე კილომეტრის მოშორებით მდებარე „სენაკების“ შესახებ მოგვითხრობს და გვამცნობს, რომ ეს განმარტოებით ცხოვრების მოსურნეთა ადგილი იყო და ამისთვის ბერები, აქ გადმოსვლამდე, ჯერ კიდევ ნიტრიის მონასტერში ემზადებოდნენ. რუფინუსი „სენაკებში“ მოღვაწეთა მიერ გამოვლენილ უდიდეს ქრისტესმიერ სიყვარულზე გვიყვება: როგორ ეცილებოდნენ ერთმანეთს ადგილობრივი მამები, რათა საკუთარი სენაკი დაეთმოთ ახლად მოსული მოგზაურისთვის (Ρυφιν 2002: 153)

პალადისა და რუფინუსის მიერ მოთხრობილი ეს და სხვა მრავალი ამბავი მოწმობს, რომ აქაურ მონასტრებში არსებული ცხოვრების წესი და ტრადიციები ამონას, როგორც ერთ-ერთი პირველი დიდი სულიერი და განათლებული მამის სწავლებებით იყო ნასაზრდოები.

1.2. ეპისტოლეთა ავტორობის პრობლემა

ჩვენამდე მოღწეულ არცერთ ხელნაწერსა და ისტორიულ ცნობაში პირდაპირ არ არის მითითებული ეპისტოლეების ავტორის ვინაობა. ძირითადი ცნობები, რომლებზე დაყრდნობითაც კვლევა უნდა წარიმართოს, ავტორის სახელი ამონას და იგი მე-4 საუკუნეში ეგვიპტის უდაბნოში მოღვაწეთა შორისაა საძიებელი. მაშასადამე, უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს მოღვაწეთა შორის ვიპოვოთ ისეთი ამონა, ვისაც ეპისტოლეთა ავტორად მივიჩნევთ. ცნობების სიმწირისა და უზუსტობის გამო ეს საკითხი ბუნდოვანია და დასკვნების ცალსახად გამოტანას მეტად ართულებს.

ამონას სახელით ცნობილი ეგვიპტელი მეუდაბნოეების შესახებ უძველესი ბიოგრაფიული ცნობები ეკლესიის ოთხ ისტორიკოსთან – რუფინუსთან, პალადი ჰელენოპოლელთან, სოკრატე სქოლასტიკოსსა და სოპომენესთან, ასევე „აპოფთეგმურ“, მამათა ცხოვრებებისა და სწავლებების შესახებ მოკლე, სხარტ და ღრმააზროვან გამონათქვამთა კრებულებში ფიქსირდება⁷.

⁷ Ἀποφθέγματα τῶν ἁγίων πατέρων ἂν Ἀνδρῶν ἁγίων βίβλος-ი მამათა სწავლებებს, ერთგვარ პატერიკულ თხრობას წარმოადგენს. გვაქვს მისი ორი ვარიანტი: ანბანურ-ანონიმური და სისტემური. ეს უკანასკნელი ქართულად ჯერ ექვთიმე ათონელს, შემდეგ კი თეოფილე ხუცესმონაზონს უთარგმნია [დვალი 2014: 5-7].

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რუფინუსმა და პალადიმ თავად იმოგზაურეს ეგვიპტის უდაბნოში და იქ მოღვაწე მამებისგანაც უშუალოდ მოისმინეს ამონასა და სხვა დიდი მამებისა და მათ მიერ აღსრულებულ საკვირველ საქმეთა შესახებ, ხოლო სოკრატე და სოდომენე, ძირითადად, მათ მონათხრობებსა და სხვათა მიერ მოწოდებულ ცნობებს ეყრდნობიან.

მიუხედავად იმისა, რომ ისტორიკოსები თავადვე მიუთითებენ ეგვიპტეში მოღვაწე ზოგიერთი მამის სულიერი ღვაწლის განსაკუთრებულობაზე, მათ მიერ გადმოცემული ბიოგრაფიული თხრობები მაინც ძალიან მწირია და, ძირითადად, ხალხურ, მოარულ ამბავთა სახელდახელო ჩანაწერს წარმოადგენს, ამიტომ ერთმანეთისაგან განსხვავებულსა და ურთიერთშემავსებელს ბევრს არაფერს გვეუბნება. ამის შესახებ სოდომენეც მიუთითებს, როცა წერს, რომ თუ ვინმე მის წიგნში გადმოცემული ამბებით, იქ მოხსენიებული მამების ვინაობით, მათი საკვირველი საქმეებით დაინტერესდება და ჯეროვნად გამოიძიებს, აღმოაჩენს, რომ უმრავლესი მათგანის ცხოვრება დაწერილი არ არის [ჯაში 2017: 44].

ამ ოთხი ისტორიკოსის ცნობებზე დაყრდნობითა და მათზე დაკვირვების შედეგად ცნობილი ხდება, რომ სახელი ამონა ეგვიპტეში მეტად გავრცელებული ყოფილა. ამის მიზეზი ეგვიპტური მითოსი უნდა იყოს, რომელშიც მზის ღმერთს ეწოდება ამონ-რაც (რაც დაფარულს, წმინდას ნიშნავს). იმ პერიოდში ამ სახელის მქონე მოღვაწეები არა მარტო ეგვიპტის უდაბნოში, არამედ ანტონის მოწაფეთა შორისაც მრავლად იყვნენ. მარტო რუფინუსი თავის „მეუდაბნოე მამათა ცხოვრებაში“ მოგვითხრობს ოთხი ამონას შესახებ, რომლებიც ეგვიპტის უდაბნოში მოღვაწეობდნენ და მონასტრის წინამძღვრები ან გამორჩეული მოღვაწეები იყვნენ. თითქმის ასეთივე ვითარებაა დანარჩენ ისტორიკოსთა ცნობებშიც. ამ ფონზე, სამწუხაროდ, მათთან მოთხრობილი არცერთი ამონას ბიოგრაფიაში არც ეპისტოლეთა არსებობა იხსენიება და არც რომელიმე მათგანი, სამწყსოს წერილების მეშვეობით რომ განსწავლიდა, რაც მთავარი ხელჩასაჭიდი არგუმენტი იქნებოდა ჩვენ მიერ გადმოწერილი ეპისტოლეების ავტორის ვინაობის ზუსტად დადგენისთვის. ამ წყაროებში ნახსენებ მოღვაწეთაგან ეპისტოლეთა შესაძლებელ ავტორად ორი მათგანი ჩანს. შესაბამისად, მეცნიერთა აზრიც ორად იყოფა. ერთი ნაწილი, მაგალითად, ეკლესიის ისტორიის რუსი მკვლევარი ა. ბახმეტევა ავტორად

ნიტრიის და „სენაკების“ სამონასტრო ცხოვრების დამფუძნებელს, ათანასე ალექსანდრიელის „ანტონი დიდის ცხოვრებაში“ ნახსენებ **ამონ ნიტრიელს** მიიჩნევს (გარდ. 350 წელს). მოგვითხრობს რა მის მოკლე ბიოგრაფიას, იგი იქვე დასძენს, რომ შემორჩენილია მისი სწავლებები, შემდეგ კი მოჰყავს საკმაოდ ვრცელი მონაკვეთი მე-15 ეპისტოლედან [Бахметева 2010: 248]. როგორც ვიცით, ამონ ნიტრიელი არ გამოირჩეოდა დიდი ნაკითხობით, მაგრამ ღმრთის სიტყვის სიყვარული ყრმობიდანვე ჰქონდა და წმინდა წერილსაც მეტ-ნაკლებად კარგად იცნობდა. მეორე, ეგვიპტის უდაბნოში დაძმებთან ერთად სამოღვაწეოდ დამკვიდრებული, ამბა პამბოს, შემდგომ ანტონი დიდის მოწაფე და **პისპირის მონასტრის წინამძღვარი ამონა** ავტორად უფრო საგულგებელია და წინამდებარე ნაშრომშიც მეცნიერთა ეს მოსაზრებაა გაზიარებული, მაგრამ, რადგან საკითხი გასარკვევია, შემდგომი დასკვნების გამოტანისა და ავტორად მისი დასახელებისათვის საჭიროა ამონ ნიტრიელისა და ამონა ეგვიპტელ-არაბიელის ბიოგრაფიების გადმოცემა იმ მწირი ცნობების გამოყენებით, რომელთაც დღემდე მოაღწიეს. ეს საშუალებას მოგვცემს დავადგინოთ, პიროვნული თვისებებითა და მოღვაწეობის ხასიათით რომელი უფრო შეესაბამება ზემოხსენებულ ეპისტოლეთა ავტორს.

წმიდა ამონ (Ἀμόν) ნიტრიელის ბიოგრაფიას შედარებით სრულყოფილად პალადი ჰელენოპოლელი მოგვითხრობს. ამონი დიდგვაროვანი და წარჩინებული ოჯახიდან ყოფილა (Руфин 2002: 168). ოცდაორი წლის ასაკში დაობლებულა. ჭაბუკობაშივე გამოუმჟღავნებია ღმრთის დიდი სიყვარული, რწმენა და ძლიერი სურვილი უბიწოების დაცვისა და მონაზვნური ღვაწლის ტვირთვისა, მაგრამ მშობლების გარდაცვალების შემდეგ ახლობლებმა, კერძოდ კი ბიძამ, სთხოვა, ქორწინებაზე უარი არ ეთქვა და ოჯახი შეექმნა.⁸ ამონი დამორჩილდა და იქორწინა: „**თავს-იდვა დადგმად გზრგზნი და სიძობაჲ წესისაებრ ქორწილისა**“ [მამასახლისი 2010: 212]. ქორწილის შემდეგ, ახლად შეუღლებულნი მარტო დარჩნენ, მცირედ მოისვენეს და დაიძინეს. ამონმა მალევე გაიღვიძა, მეუღლეც გააღვიძა და ქორწინებით ცხოვრებასთან შედარებით ღმრთის წინაშე ქალწულების დაცვის აღმატებულობასა და სათნოებებით ცხოვრების საჭიროებაზე

⁸ სომომენე, რუფინუსი და სოკრატე სქოლასტიკოსი ამბობენ, რომ ნათესავებმა ან „ზოგიერთებმა“ აიძულეს დაქორწინებულიყო [სომომენე 2017: 42; Руфин 2002: 168; Сократ 1996: 186]. მხოლოდ პალადი აზუსტებს, რომ ეს იყო „მამის ძმა მისი.“

ესაუბრა: „გამოიღო უბეთაგან თვსთა წიგნი, რომელსა წერილ იყუნეს სიტყუანი სახარებისანი,⁹ რომელნი ჰრქუნა მაცხოვარმან მოწაფეთა თვსთა ქორწინებისათვს და ქალწულებისა“ [მამასახლისი 2010: 212]. წაუკითხა ეს მონაკვეთი და რადგან მისი მეუღლე „იყო გამოუცდელი წერილთაჲ“, ღმრთის მადლის თანაშეწევნით, სახარების სიტყვებს თავად განუმარტავდა. მისმა მცდელობამ შედეგი გამოიღო და ცოლმაც გადაწყვიტა მოსაგრეობა და ქალწულების დაცვა, მაგრამ თხოვნაზე, ახლავე განშორებოდნენ ერთმანეთს, უარი მიიღო. ცოლმა ერთ სახლში, მაგრამ ცალ-ცალკე ცხოვრება შესთავაზა: „ამასვე სახლსა შინა ვიყვნეთ თითოეული თვსსა ცხედარსა“¹⁰ [მამასახლისი 2010: 213]. ასე დაყვეს ერთ სახლში თვრამეტი წელი. ამონი მევენახე იყო, სახლიდან დილით ადრე გადიოდა და გვიან ბრუნდებოდა. ქმრის საუბრებითა და ლოცვით მეუღლეს განმტკიცდა, ერთხელაც უხმო და უთხრა, რომ განშორებისთვის მზად იყო. ამონმა მას დაუტოვა სახლი, რომელიც მალე დედათა მონასტრად გადაიქცა, თავად კი, უკვე 40 წლისამ, მარეოტის ტბის მახლობლად [სომომენე 2017: 42] ნიტრიის მთას მიაშურა: „წარვიდა უშინაგანესა მთასა ნიტრიისასა, რამეთუ არღა შენებულ იყვნეს ჯერეთ მონასტერნი ადგილსა მას, სადა-იგი აღაშენნა ნეტარმან მან ამონ სენაკნი ორნი, კამარედად შესრულებულნი“¹¹. აქ ამონმა 22 წელი გაატარა. აქვე დაემოწაფა იგი ანტონი დიდსაც და როგორც ზემოთ აღინიშნა, ამ ადგილებში მრავალთა დამკვიდრების შემდეგ პირველი მონასტერი დააარსა.

ამონის საკვირველ საქმეებს „ანტონი დიდის ცხოვრებაში“ ათანასე ალექსანდრიელიც მოგვითხრობს. ის რომ ანტონის მოწაფე იყო, ამაზე „აპოფთეგმებიდანაც“ ვიგებთ. აქ მოთხრობილია ანტონის სტუმრობის შესახებ ნიტრიის მთაზე, მამა ამონთან. ასევე აღწერილია განმარტოვების მოსურნე ძმებისათვის ერთობლივი ლოცვით „სენაკების“ დაარსების ამბავი. „ხოლო აქუს სიშორე შუვა გზასა მას, რომელი განუწესა, ვითარ ათორმეტ ოდენ უტევან“, რათა აქ განმარტოებულ ძმებს

⁹ სოკრატე სქოლასტიკოსის თქმით, ამონმა ცოლს პავლე მოციქულის კორინთელთა მიმართ ეპისტოლედან წაუკითხა ადგილი, სადაც მოციქული ქორწინებასა და ქალწულებაზე საუბრობს [Сократ 1996: 186]. დანარჩენები არ აკონკრეტებენ, თუ რომელი ადგილი ამოუკითხა სახარებიდან.

¹⁰ ამასვე ამბობენ სომომენეცა და რუფინუსიც, მხოლოდ სოკრატე მიუთითებს, რომ ცოლი მაშინვე დათანხმდა, გაემართნენ ნიტრიის უდაბნოსკენ, ერთმანეთის მახლობლად აიშენეს ორი სენაკი და იწყეს მოღვაწეობა [271].

¹¹ შესაძლოა, ცნობამ ორი სენაკის აშენების შესახებ აფიქრებინა სოკრატე სქოლასტიკოსს, რომ ამონს ნიტრიის უდაბნოში ცოლიც თან გაჰყვა [Сократ 1996: 186].

შეძლებოდათ, მწუხრისას დაუბრკოლებლივ მისულიყვნენ მთავარ მონასტერში, ეტრაპეზათ და შემდეგ ისევ საკუთარ საცხოვრებლებში დაბრუნებულიყვნენ. მეოთხე საუკუნის მიწურულს „სენაკები“ უკვე ათასობით მონაზონს იტევდა.

ამგვარად, „თავსა სათნოებათა და მოღვაწეობისასა აღსრულმან და მონაზონებისა მოქალაქობასა შინა წარმატებულმან და ჰასაკსა სამეოცდარისა წლისა ჟამთასა მიწვენილმან, კელთა ღმრთისათა შეჰვედრა სული თვისი და მშვიდობით დაიძინა“ [მამასახლისი 2010: 213]. ათანასე დიდი ამონის აღსასრულის შესახებ მოგვითხრობს, რომ ანტონი დიდმა იხილა, როგორ აჰყავდათ ანგელოზებს ზეცაში ამონის სული. ოცდაათი დღის შემდეგ ნიტრიიდან ანტონთან ამოსულ მონაზვნებს გამოჰკითხეს ამონის გარდაცვალების დრო და აღმოჩნდა, რომ ანტონმა ზუსტად იმ დროს იხილა ამონის ზეცად აღმავალი სული, როცა იგი ნიტრიის მონასტერში აღესრულა.

როგორც ირკვევა, ამონ ნიტრიელი ნიტრიის მთის მახლობელ მონასტერში მოღვაწეობდა და აქვე აღესრულა. მის მახლობლად დაარსებული „სენაკები“ კი იმდენად ახლოს იყო, რომ იქ განმარტოებული ძმები თავისუფლად მიმოდიოდნენ მონასტერსა და „სენაკებს“ შორის. შესაბამისად, არც ამონისთვის იქნებოდა ძნელი მისვლა საძმოსთან, რომელსაც წინამძღვრობდა. ეპისტოლეებში კი თვალნათლივ ჩანს ავტორის სურვილი, რაც შეიძლება მალე მივიდეს თავის სულიერ შვილებთან და განსწავლოს ისინი.

მეორე ამონა (Αμμωνός, ამონა ეგვიპტელ-არაბიელი, გარდ. 396 წლამდე [Cross 2005: 53]), რომელიც უნდა იყოს ეპისტოლეების ავტორა, უკვე ნახსენები ამონის შემდეგ მოღვაწეობდა და ანტონის მიერ ნიტრიის მთიდან უშინაგანეს უდაბნოში [აბულაძე 1955: 45] გადასვლისა და იქ დამკვიდრების შემდეგ ჩამოყალიბებული „პისპირის“ სახელით ცნობილი სამონასტრო კერის იკონომოსი გახლდათ. სწორედ ისაა დასახელებული ეპისტოლეთა ავტორად ოქსფორდის უნივერსიტეტის მიერ გამოცემულ ქრისტიანული ეკლესიის ენციკლოპედიაში, ეპისტოლეების ინგლისურ და არაბულ გამოცემებსა და მრავალ სამეცნიერო გამოკვლევაში, თუმცა, იქვე აღნიშნულია საკითხის პრობლემურობა [Cross 2005: 53]. მასვე მიიჩნევენ ავტორად ეპისტოლეების ძველი ბერძნულიდან

ინგლისურად მთარგმნელი ღირვას ჩიტი და მისი გარდაცვალების შემდეგ მათი გამომცემელი, გამოკვლევის ავტორი სებასტიან ბროკი.¹²

დასახელებული პირველწყაროების, სამეცნიერო ლიტერატურისა და თავად ეპისტოლეთა შინაარსის გათვალისწინებით, წინამდებარე ნაშრომში, ავტორად პისპირის მონასტრის წინამძღვარი, ანტონის ერთ-ერთ მოწაფე, დიდ განდევილ მამათა შორის ღირსსახსენებელი ამონა ეგვიპტელ-არაბიელია¹³ მიჩნეული და ბიოგრაფიის მოთხრობის შემდეგ ამ მოსაზრების გამამყარებელი რამდენიმე არგუმენტი იხილეთ ქვევით.

1.3. ეპისტოლეების ავტორი – წმიდა ამონა მონაზონი

წმ. ამონა (Αμμωνας) თავდაპირველად უდაბნოში სამოღვაწეოდ სამ ძმასა, (დიოსკორესთან, ევსევისა და ეფთვიმესთან) და ორ დასთან ერთად გავიდა „და ორთავე მათ კერძოთა მონასტრები არაშენეს თვსაგან განშორებული, რამეთუ მამათა მონასტერი აღეშენა და განეგო სამთა მათ ძმათა მიერ, ხოლო დედათა მონასტერი ორთა მათთა დათა მიერ კეთილად შეიმკო“ [მამასახლისი 2010: 216]. ოთხი ხორციელი ძმა სულიერი ძმაც გახდა. მათ სამოღვაწეოდ სენაკები ერთად აიშენეს და უდაბნოში დამკვიდრდნენ. სოდომენე ძმების შესახებ ამბობს, რომ მათ სიმაღლის გამო გრძელელებს¹⁴ უწოდებდნენ [ჯაში 2017: 358]. ამონა ღმრთისმოყვარეობითა და მოშურნეობით, ყოველგვარი ხორციელი სიამოვნებისა და პატივმოყვარეობის ძლევიტ, მალევე წარემატა და სულიერ სიმაღლეს მიაღწია. სიყმაწვილიდან მოყოლებული აღსასრულამდე მას ცეცხლზე მომზადებული (პურის გარდა), არაფერი უჭამია [ჯაში 2017: 358]. პალადი ამბობს: „ამის ნეტარისა ამონისთვის ითქუმოდა საკვირველება დიდი, ვითარმედ არაოდეს მოწევნულ იყო მის ზედა გულისსიტყუა უჯეროდ და უწესოდ, არცა აღძრვად ჯორცთად“, საზრდელს ყოველთვის განმარტოებით იღებდა [მამასახლისი 2010: 217]. თავდაპირველად მათი მოძღვარი ნიტრიის მკვიდრი, სათნოებებით გამორჩეული პამბო ყოფილა. როდესაც პალადი პამბოს შესახებ წერს, ამონას მოიხსენიებს, როგორც „კაცს სახელოვანს ყოველთა

¹² D. J. Chitty, S. Brock, The letters of Ammonas, by oxford ebook production, 1997. იხ. ბმული: <https://www.amazon.com/Letters-Ammonas-Successor-Fairacres-Publications-ebook/dp/B06XC8NSGT>.

¹³ სწავლებათა ავტორს უნდა მიემართებოდეს წოდება „ეგვიპტელ-არაბიელი“ აპოფთეგმურ თხრობებში.

¹⁴ „μακρὸς ἐκ τῆς ἡλικίας ὀνόμαζον“ [PG, t. 67, pg. 1384].

შორის“ და მონასტრის წინამძღვარს უწოდებს, ხოლო მის უფროს ძმას, დიოსკორეს, – ეპისკოპოსს (მამასახლისი 2010: 215). ამონა პამბოს მოწაფეობის პერიოდში ანტონი დიდსაც ხშირად სტუმრობდა. „აპოფთეგმებში“ მოთხრობილია, რომ ერთხელ მამა ანტონთან მიმავალს გზა აერია, დაჯდა, ცოტა ხნით მიიძინა, გამოღვიძებულმა ღმრთის მიმართ ხელნი აღაპყრნა და შეწევნა ითხოვა. ამის შემდეგ მას „**ეჩუენა კელი კაცისაჲ ცათა დამოკიდებული**“, რომელიც გზას ასწავლიდა, რომელმაც იგი ანტონის გამოქვაბულის კარამდე მიიყვანა [დვალი 2014: 643]. სხვა ადგილას მოცემულია თავად ანტონი დიდის წინასწარმეტყველური სიტყვები ამონასადმი: „**წარემართო შენ შიშსა ღმრთისასა ფრიად**“. ამის შემდეგ ანტონი იქვე გამოსცდის ამონას, გამოიყვანს სენაკიდან, ლოდს დაანახებს და მის გვემასა და ლანძღვას დაავალებს. ამონაც შეასრულებს მოძღვრის ბრძანებას. ამის შემდეგ ანტონი ჰკითხავს, უპასუხა თუ არა ლოდმა რამე და ეტყვის, რომ ისიც ამგვარ სულიერ სიმაღლეს მიაღწევდა. მართლაც, „**წარემატა მამაჲ ამონა ესრეთ, ვიდრელა გარდარეულისაგან სიწრფოებისა, სრულებით დაჰვიწყდა, ბოროტებაჲ თუ რაჲ არს**“ [დვალი 2014: 353-354]. ერთი მოღვაწე ამბობს: „**არა-ვინ-სადა-ვიხილე კაცთაგან ესევითარსა უვნებელობისა მიწევნილი, ვითარ ესე კაცი**“. ამონამ „ზეპირით უწყოდნა“ ძველი და ახალი აღთქმის წიგნები, რითაც უდაბნოში მოღვაწე მამებს დიდ სულიერ სარგებელს აძლევდა. ასევე „გამომთქუმელ და აღმწერელ ქმნილ იყო ცხორებასა მრავალთა მოღუაწეთასა: ორიგენისსა და დიდგმოდისსა და სტეფანწესსა და სხუათა ბევრთა და ექუსათასთა“¹⁵ [მამასახლისი 2010: 217].

საგულისხმობა ერთი აპოფთეგმური თხრობა, რომლის მიხედვითაც, ერთხელ ამონას ორმოცდაათი საწყაული ხორბალი მოუმკია **მოწაფეებთან** ერთად და მზეზე გამოსაშრობად გაუფენია. მალე „იხილა რამე საქმე არასარგებელი მას ადგილსა“ და „**ყრმათა თვსთა**“ უთხრა, სენაკებში წასულიყვნენ. აქედან ვიგებთ, რომ ამონას ყრმა მოწაფეებიც ჰყავდა. აღსანიშნავია, რომ ერთი დასათაურებული ეპისტოლე სწორედ მონაზვნობის ღვაწლს ახლად შემდგარ ჭაბუკებს განსწავლის¹⁶ [დვალი 2014: 377].

¹⁵ სომომენე განსხვავებულ ცნობას იძლევა. მისი თქმით, ამონა უგანათლებულესი ადამიანი (ὁ φιλόσοφος) იყო და კითხულობდა ორიგენეს, დიდიმესა და სხვათა თხზულებებს („Φιλόσοφον εἰς ἄγαν γενέσθαι ὡς τοῦς Νριγένουσι καὶ Διδύμου καὶ τῶν ἄλλων ἐκκλησιαστικῶν λόγιος διεξέλεθεν“ [PG, t. 67, pg. 1384]), მაშინ, როცა დასაწყისში ორიგენესა და დიდიმეს ეგვიპტეში სახელგანთქმულ მონაზვნებად მოიხსენიებს. საფიქრებელია, რომ ამ საკითხს უფრო მართებულად პალადი გადმოგვცემს, რომლის მიხედვით ამონას უნდა აღეწერა ეგვიპტის უდაბნოში მოღვაწე ორიგენეს, დიდიმესა და სხვა მამათა ცხოვრებანი.

¹⁶ იხ. დანართი გვ. 43-44.

სხვა ადგილას თავად ამონა ამბობს: „ათოთხმეტი წელი დავყავ სკიტეს შინა და ვევედრებოდე ღმერთსა დღე და ღამე, რაფთა მომანიჭოს მე ძლევად მრისხანებისა“ [დვალი 2014: 294]. ეს მიუთითებს, რომ ამონა მუდმივად ერთ მონასტერში არ იმყოფებოდა – ჯერ ნიტრიის უდაბნოში მოღვაწე პამბოს გვერდით ჩანს (ერთ-ერთი მონასტრის იკონომოსია), შემდეგ ტოვებს ნიტრიისა და სკიტეს მიდამოებს. ამ ფაქტს ადასტურებს ერთი მონაკვეთი „აპოფთეგმებიდან“, რომელშიც ვკითხულობთ: „მამისა ამონაჲსა მივიდა ძმაჲ სკიტით და ჰრქუა მას...“¹⁷ [დვალი 2014: 502]. ესე იგი, ამ დროს იგი სკიტეში აღარ არის. სავარაუდოდ, მოხუცებულობისას უნდა დაეტოვებინა ნიტრიისა და სკიტეს მიდამოები და პისპირის მონასტერში უნდა გადასულიყო, ეს კი 374 წლის შემდეგ უნდა მომხდარიყო. ამ წლებში ეგვიპტის უდაბნოში რუფინუსმა იმოგზაურა, ის „მეუდაბნოე მამათა ცხოვრებაში“ ამონას შესახებ წერს, რომ „სენაკებში“, საკუთარ მონასტერში მას, უკვე მოხუცებულს, პირადად შეხვდა. მოგზაური ამონას საოცარ სიყვარულსა და სიმდაბლეზე მიუთითებს და სიმშვიდით, მოთმინებითა და შემწყნარებლობის სათნოებებით შემკულს უწოდებს. იქაურების თქმით, მასზე უკეთ არავის შეეძლო ღრმად ჩასწვდომოდა ღმრთაებრივ საიდუმლოებებს. რუფინუსის თქმით, მასთან ერთი ძმა მივიდა და თავისუფალი სენაკი სთხოვა. წინამძღვარი მოძებნას შეჰპირდა, საცხოვრებელში შეუშვა, თვითონ გამოვიდა და ყველაფერი მას დაუტოვა. ახლად მოსულს არც კი უფიქრია, რომ ამონამ მონასტერი მთლიანად დაუთმო, თავად კი იქვე პატარა სენაკში განმარტოვდა. მსგავსი რამ ამონასთვის დამახასიათებელი ყოფილა. თუ ვინმე მას საცხოვრებელს სთხოვდა, კრებდა მთელ სამმოს და ერთ დღეში ყველა ერთად აშენებდა სენაკს. შემდეგ თითოეულს თითო საჭირო ნივთი მიჰქონდა საკუთარი სენაკიდან და უმოკლეს დროში ახლად მოსულს სამოღვაწეოდ ყველა პირობა ჰქონდა (Руфин 2002: 154-155). მსგავსი მოწოდება უპოვარებისა და ძმათმოყვარებისკენ ამონას ეპისტოლეებშიცაა მოცემული. ამონას სიმდაბლეზე მეტყველებს კიდევ ერთი ამბავი, რომლის მიხედვითაც, მასთან ერისაგანნი მივიდნენ, რათა ბერისგან გასამართლებულიყვნენ. ამონამ აზრს მოკლებული, მართლაც სულელური მიზეზი დაასახელა, რის გამოც მისულთაგან ერთ-ერთმა ქალმა მას სულელი უწოდა, რაზეც

¹⁷ საზოგადოდ ცნობილია, რომ მეუდაბნოე ძმები სულიერი სარგებლის მისაღებად უხუცესებსა და წარმატებულ მოღვაწეებთან მიდიოდნენ. მსგავსი ფაქტი ამონას შესახებაცაა მოთხრობილი, როცა ის მიდის რჩევისთვის სხვა მამასთან [დვალი 2014: 376].

ბერმა მიუგო: „რაოდენნი შრომაჲ ვყვენ უდაბნოს, რაათა მოვიგო სისულელე ესე და აწ შენ ძლით წარვწყმიდოა ეს დღეს?“ [დვალი 2014: 521].

ამონას, როგორც „უზეშთაეს ყოველთასა განთქმულის“ ეპისკოპოსობა ჯერ კიდევ პამბოს მოწაფეობისას, ანუ მოღვაწეობის პირველ ხანებშივე მოუნდომებიათ მახლობელი ქალაქის მკვიდრთ. ამისთვის ისინი მთავარეპისკოპოს ტიმოთესთან მისულან. ტიმოთემ ამონას მიყვანა ბრძანა, რათა ეპისკოპოსად ეკურთხებინა. ხალხი მას გარს შემოეხვია და რადგან წასვლა ნებით არ სურდა, ძალით წაყვანას უპირებდნენ. ამონა ევედრებოდა, თავი დაენებებინათ მისთვის და უდაბნოში გაეშვათ, მაგრამ რადგან ვერაფერი გააწყო, „მოიტაცა დუქარდი და მოიკუთა ყური თვისი მარცხენე“. ამის შემდეგ ხალხს სიმშვიდისკენ მოუწოდა, რადგან სჯულის კანონის მიხედვით, არ შეიძლება ასოდაკვეთილის ეპისკოპოსობა. ეს ამბავი მთავარეპისკოპოს ტიმოთეს აცნობეს, მან კი განაცხადა: „ეგე შჯული იერუსალჴმელთა ზედა მოქალაქობდა, ხოლო ჩემგან შესაწყნარებელ არს, რაათა ყურდაკვეთილიცა იგი შევიწყნარო და ჴელნი დავასხნე.“ ამის შემდეგ ისევ მივიდნენ ამონასთან და ტიმოთეს სიტყვები გადასცეს, მაგრამ რადგან მან კვლავ არ ისურვა გაყოლა, ძალის გამოყენება გადაწვიტეს. ამჯერად ამონა მასთან მისულთ დაემუქრა: „უკუეთუ მაიძულოთლა და ენაჲცა ჩემი მოვიკუეთო“, რის შემდეგაც თავი დაანებეს [მამასახლისი 2010: 216-217]. სომომენე ამ შემთხვევის შესახებ ამბობს, რომ ყურის მოკვეთის შემდეგ მას „პაროტესი“¹⁸, ანუ უყურო შეარქვეს. მოთხრობილი ამბის მიუხედავად, „აპოფთგმატებში“ ამონა მაინც ეპისკოპოსად იხსენიება. სავარუდოდ, აღნიშნული ტექსტები მოგვიანო პერიოდისაა, ანუ შესაძლოა, მას ბოლოს მართლაც დაასხეს ხელი.

ერთხელ ამონა სასამხროდ ერთ ადგილას მისულა, სადაც მკვიდრობდა მონაზონი, რომელსაც მრუმობის ცოდვაში სდებდნენ ბრალს. იმავე დროს ძმებს დაენახათ როგორ შევიდა დედაკაცი ბერის სენაკში. მონაზვნები სამხილებლად წავიდნენ „და ვითარცა ცნეს, ვითარმედ ეპისკოპოსი ამონა მუნ არს, წარვიდეს და ევედრნეს მას, რაათა მივიდეს მათ თანა“. როცა ეს ამბავი შემცოდე ბერმა გაიგო, დედაკაცი მახლობელ ქვევრში დამალა, მაგრამ ამონა მიუხვდა, მივიდა და იმ ქვევრზე დაჯდა. მას შემდეგ, რაც იქ მისულმა ბერებმა ბრალდებულის სენაკში ვერავინ იპოვეს, ეპისკოპოსმა ისინი გააფრთხილა,

¹⁸ „Ἀὐτὸς δὲ ἐνταῦθεν Ἀμμώνιος ὁ Παρώτης ὀνομάζεται“ [P.G., t. 67, vol. 1384]. ὁ ὄνς, ὀτός - ყური.

საყვედურით დაამდაბლა და გაუშვა, შემცოდეს მიუბრუნდა, ამხილა და უთხრა: „**ეკრძალე ძმაო, თავსა შენსა.**“¹⁹ ესე ოდენ ჰრქუა და განემორა მიერ“ [დვალი 2014: 354]. ასე გააღვიძა მან ბერში მიძინებული სინდისი.

სომომენეს თქმით, ამონას უდაბნოში გასვლიდან არც თუ დიდი ხნის შემდეგ მასთან ევაგრე პონტოელი დამკვიდრდა, კაცი ძალმოსილი აზროვნებასა და მეტყველებაში, რომელიც წარმოშობით იბერიიდან იყო.²⁰

ამონას ცხოვრების ბოლო წლების შესახებ პალადი მოგვითხრობს. უდაბნოს მონასტრების სამმო, და მათთან ერთად მთავარეპისკოპოსი, შეევედრა მას, კონსტანტინოპოლში წასულიყო „საჯმრისა“ და „მრავალსახეთათჳს საურავთა ეკლესიისათა“. სამეუფეო ქალაქში ჩასულ ამონას მეფის ნაცვალი („ეპარტოზი“), ვინმე რუფინე შეევედრა, მის მიერ აშენებულ ეკვდერში დარჩენილიყო და მისი მიმრქმელი გამხდარიყო. ნეტარი ბერისგან სულიერი სარგებლის მიმღებმა მაღალჩინოსანმა ამონას თხოვნაც დააკმაყოფილა: „და ესრეთ შემდგომად მცირედთა ჟამთა შეისუენა ნეტარმან ამონი და დაიდვა მასვე ეგუტერსა შინა, რომელსა უწოდიან რუფინიანესი“, მის საფლავთან მიახლება კი „ცხრომსა“, ანუ ციების სენით დაავადებულებს კურნავდა [მამასახლისი 2010: 217].

ცალკე უნდა გამოიყოს „აპოფთეგმებში“ მოცემული რამდენიმე ამბავი, რომლებიც განსაკუთრებულ მსგავსებას ავლენს ეპისტოლეების ზოგიერთ მონაკვეთთან.

მამა პიმენი სულიერი სიტყვის მოსასმენად ამონასთან მივიდა, მასთან შვიდი დღე გაატარა, ის კი დუმდა. როცა უკვე წამოსვლა დააპირა, ბერმა უთხრა: „წარვედ და **ეკრძალე თავსა შენსა**, რამეთუ მე ჟამისად ცოდვანი ჩემნი მექმნეს ზღუდე ბნელ შორის ჩემსა და ღმრთისა“ [დვალი 2014: 522]. როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ფრაზა „**ეკრძალე თავსა შენსა**“ ამონას სწავლებისთვის მეტად დამახასიათებელია. სხვა ადგილას ეს ფაქტი კიდევ უფრო აშკარაა. მოვიყვანთ ამ ადგილს: „**დაიცევ თავი შენი მტკიცედ, რადთა უკუეთუ ვინ შეგაწუხოს შენ რასაცა ზედა საქმესა, სდუმდე სრულიად და ყოვლადვე არაჲ სთქუა, ვიდრემდის ლოცვისა მიერ მოუკლებელისა დამშჯდდეს გული შენი და გონებაჲ და ესრეთლა ევედრე ძმასა**“ [დვალი 2014: 127]. ასევე: „იტყოდეს მამისა

¹⁹ „ეკრძალე თავსა შენსა“ – მსგავსი მიმართებით ამონას ვრცელი სწავლებები აქვს. იხ. დანართი გვ. 27-დან.

²⁰ „Ἐγένετο δὲ τῷ μὲν γένει Ἰβήρων πολιτῆς πρὸς τῷ καλομένῳ Εὐεῖνῳ πόντῳ“ [P.G.. t. 67, vol. 1384].

ამოხსნის,²¹ ვითარებად ოდეს მივალნ იგი ეკლესიად, არა უტევის მოწაფე მისი სლვად მახლობელად მისა, არამედ შორს მოვალნ იგი“ [იქვე 446]. მსგავსი სწავლებანი (თუ მძებთან ერთად სადმე მიდიხარ, განმარტოებით იარე, გულში კი ღმერთს ლოცვით მიმართე) ეპისტოლეებში საკმაოდ ხშირია.

მსგავსი დამოკიდებულება ჩანს სავაჭროდ, ამა თუ იმ საჭირო ნივთის, საკვების საყიდლად, ან დაწული კალათების გაყიდვისას ფასის მხოლოდ ერთხელ დასახელებასა და შევაჭრებისგან თავის შეკავების ტრადიციაშიც: „იტყოდეს კუალად მამისა აგათონისთვის და მამისა ამონაძვს, რამეთუ ოდეს განჰყიდდეს ჭურჭელსა მათსა, ერთგზის ოდენ თქვან ფასი მისი. და რადგა ვინ მისცის, მიიღიან დუმილით და უდრტვნველად. ესრეთვე კუალად ოდეს ენების რას მოსყიდად, რადგა ვინ და ვითარცა სთხოვიან, მისციან დუმილით და მოიღიან საკმარი მათი რადთურთით ყოვლად უსიტყუელად“²² [იქვე 206].

ზემოთ მოყვანილი ცნობების მიხედვით და ამონას მრავალმხრივი მოღვაწეობის გათვალისწინებით, მას დიდხანს უნდა ეცოცხლა.

მიქაელ მოდრეკილი საგალობლებში ამგვარად აქებს ამონას:

„მარხვისა ზეთითა სიწმიდისა ლამპარნი განაბრწყინვენ და ზედა სასანთლესა მას მაღალსა ჰნათობდ ნათლითა სულიერითა ყოველთა ცისკიდეთა განცხადებულად და აწ უმეტესად ჰბრწყინავ ცათა შინა სულითა, ღირსო ამონა.“

„თანა წარჰკედი ბუნებითა ჯორციელთა მათ წესთა სრბისასა და მიიწიე უზეშთაეს ცნობისა მაღლსა საღმრთოსა ამონა ბრძენო.“²³

მაგრამ ჩვენ დანამდვილებით მაინც არ შეგვიძლია ვთქვათ, ზემონახსენებ რომელ ამონას მიემართება ჰიმნოგრაფის ეს სიტყვები.

ამგვარად, თუ ორივე მოღვაწის ცხოვრებას კარგად დავაკვირდებით, ამონ ნიტრიელი თავიდანვე ნიტრიაში დამკვიდრდა და როგორც დავინახეთ, იქვე აღესრულა. „ლავსაიკონში“ ვკითხულობთ: „გამოიღო უბეთაგან თვისთა წიგნი, რომელსა წერილ იყო

²¹ მართალია, აქ სახელი ამოა წერია, მაგრამ შინაარსობრივი მსგავსება აშკარაა.

²² შდრ. იხ. დანართი გვ. 26.

²³ იხ. ბმული: [http://titus.fkidg1.uni-](http://titus.fkidg1.uni-frankfurt.de/texte/etcg/cauc/ageo/liturg/modrekil/modre.htm?modre046.htm#Mik.Modrek._Hymn._Ttuen._01_14_moix._208_39)

[frankfurt.de/texte/etcg/cauc/ageo/liturg/modrekil/modre.htm?modre046.htm#Mik.Modrek._Hymn._Ttuen._01_14_moix._208_39](http://titus.fkidg1.uni-frankfurt.de/texte/etcg/cauc/ageo/liturg/modrekil/modre.htm?modre046.htm#Mik.Modrek._Hymn._Ttuen._01_14_moix._208_39)

სიტყვანი სახარებისანი” და მას ცოლს უკითხავდა. მაგრამ მხოლოდ ამ ცნობაზე დაყრდნობით შეუძლებელია დანამდვილებით ითქვას, რომ მან წმინდა წერილი კარგად იცოდა. ეპისტოლეების ავტორი კი, ჩანს, რომ წერილს კარგად იცნობს. თუ გავითვალისწინებთ, რომ იგი ნიტრიის სამშოს მონასტრის წინამძღვარი და „სენაკების“ დამაარსებელია, ამ შემთხვევაში სამწყსოს დასამოდღვრად მას ეპისტოლეების დაწერა არ დასჭირდებოდა, რადგან „სენაკები“ განდეგილთათვის იყო განკუთვნილი და ამასთანავე, მთავარ მონასტერთან ძალიან ახლოს მდებარეობდა. აქედან გამომდინარე, ეპისტოლეების ავტორობას მას ვერ მივაწერთ.

სხვა ვითარებაა ამონა ეგვიპტელ-არაბიელის შემთხვევაში. ის ავტორი უნდა იყოს რამდენიმე გარემოების გამო: 1. დანამდვილებით არის ცნობილი, რომ მან წმინდა წერილი „**ზეპირით უწყოდნა.**“ ამას საგანგებოდ აღნიშნავენ, რადგან ამით სხვებისთვისაც დიდი სულიერი სარგებელი მოჰქონდა. ამასთანავე, გამოჩენილი მამების ცხოვრების აღწერაც მიეწერება, მაშასადამე, სამწერლო საქმიანობა და ეპისტოლეების დაწერა, რომლებშიც წმინდა წერილიდან მრავალი ციტატაა მოხმობილი, მისთვის უფრო უნდა იყოს დამახასიათებელი; 2. თავდაპირველად იგი ნიტრიის მახლობლად დამკვიდრდა, ჩანს „სკიტეს“ მონასტერსა და „სენაკებშიც“. გარდა ამისა, მოიხსენიებენ, როგორც წინამძღვარს. მასვე ასახელებენ ანტონი დიდის მიერ დაარსებული „პისპირის“ (Pispir) მონასტრის წინამძღვრადაც (Cross 2005: 53). ისიც ცნობილია, რომ საბოლოოდ ეპისკოპოსობა მიუღია. გარდაცვალებამდე გარკვეული დროით ადრე კონსტანტინოპოლშიც იმყოფებოდა და იქვე აღესრულა. ჰყავდა მოწაფეები, აქტიურად მოძღვრავდა სამწყსოს და ა.შ.. მაშასადამე, მისი მოღვაწეობის ხასიათიდან გამომდინარე, ეს ეპისტოლეები მიწერილი უნდა იყოს „პისპირიდან“ „სკიტეს“, „სენაკების“, ან თავდაპირველად მისი და მისი ძმების მიერ დაარსებული მონასტრისადმი. რაკი მოღვაწეობის ბოლო წლებში სხვა მონასტრის წინამძღვარი გახდა, ბუნებრივია, პირველი მონასტრის სამშობთან მჭიდრო სულიერი კავშირი ექნებოდა და მათ დამოდღვრას წერილებითაც ეცდებოდა. როგორც უკვე აღინიშნა, ეპისტოლეებში აშკარად იგრძნობა ავტორის დიდი სურვილი, მალე მივიდეს ადრესატებამდე. ასევე, არ არის გამორიცხული, ეს სწავლებები კონსტანტინოპოლში ყოფნის დროს იყოს დაწერილი; 3. აპოფთეგმურ თხრობებში გამოვლინდა ცალკეული პასაჟები, რომლებიც, როგორც გამოჩნდა,

ფრაზების დონეზეც კი ზუსტად ემთხვევა ეპისტოლეების რამდენიმე მონაკვეთს; 4. რუფინუსმა 374 წელს იმოგზაურა ეგვიპტის უდაბნოში და ამონა, უკვე მოხუცებული, „სენაკებში“ იხილა – აქაც მონასტრის წინამძღვარი. პალადიმ ამავე ადგილებში 391-392 წლებში იმოგზაურა. ისიც აღწერს ამონას ისტორიას, მაგრამ არსად ახსენებს, რომ პირადად შეხვდა მას. ისეთ სახელგანთქმულ ბერს კი, როგორც ამ დროს აქ ამონა იყო, შეუძლებელია, პალადი ვერ შეხვედროდა. სავარაუდოდ, ამ დროს ამონა უკვე პისპირის მონასტერში უნდა ყოფილიყო, ვინაიდან ცნობილია, რომ იგი 395 წლის ახლო ხანებში გარდაიცვალა.

1.4. წმ. ამონა მონაზვნის ეპისტოლეების დედნის ენა, ჩვენამდე მოღწეული უძველესი თარგმანები და გამოცემები

როგორც ზემოთ ითქვა, ამონა ეგვიპტეში დაიბადა და ქრისტიანულ კოპტურ თემს ეკუთვნოდა. ადრეული ასაკიდანვე იცნობდა წმინდა წერილს. ეგვიპტის უდაბნოში მოღვაწეთა უმეტესობა კოპტი უნდა ყოფილიყო და შესაბამისად, ისევე როგორც ანტონი დიდის, ისე ამონას ეპისტოლეებიც კოპტურად იქნებოდა ჩაწერილი (კეკელიძე 1980: 545).

ჩვენამდე მოღწეულია ამონას ეპისტოლეები სირიულ (15 ეპისტოლე), ბერძნულ (8), სომხურ (3), ეთიოპურ (2) და ქართულ (16+1) ენებზე. ხელნაწერთაგან უძველესად მიიჩნევა სირიული, რომელიც 534 წლით თარიღდება. რაც შეეხება ქართულ ხელნაწერებს, უცხოელ მკვლევართა უმეტესობა მხოლოდ 13 ეპისტოლეს განიხილავს, რაც, სავარაუდოდ, შეცდომაა. ეს საკითხიც სამომავლო კვლევასა და დაზუსტებას საჭიროებს, რის შედეგადაც შეიძლება დადასტურდეს, რომ სხვა ენათა შორის ქართულმა ხელნაწერებმა ყველაზე უფრო სრულად შემოინახა ამონას ეპისტოლეები.

ამონას სწავლებების არაბულიდან ლათინურად თარგმნილი ტექსტი პირველად 1641 წელს²⁴ გამოიცა. რაც შეეხება ბერძნულ, სირიულ და ფრანგულ თარგმანებს ამონას შესახებ აპოფთეგმურ თხრობასთან ერთად, ისინი პარიზში 1915 წელს დაიბეჭდა.²⁵

ქვემოთ წარმოდგენილია ცხრილი, რომელიც ქართულ, ბერძნულ და სირიულ ენებზე არსებულ ეპისტოლეთა შორის ურთიერთმიმართებას ასახავს.²⁶

სირიული	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	-	-	-	-
ბერძნული	-	2	6	3	-	-	-	4	-	-	5	1	7	-	-	-	-
ქართული	13	1	2	4	5	6	7	9	8	12	10	3	11	14	15	16	17

მართალია, ხშირ შემთხვევაში ქართული მიმდევრობა სირიულთან უფრო ამჟღავნებს მსგავსებას, ვიდრე ბერძნულთან, მაგრამ პირველი და მესამე ეპისტოლეების „პატროლოგია ორიენტალისში“ გამოქვეყნებულ ბერძნულ ტექსტთან შედარებამ აჩვენა, რომ ქართული თარგმანი სიტყვასიტყვით მისდევს მას. წარმოდგენილია რამდენიმე მაგალითი:

Ἐπιστολή β'

Τοῖς ἀγαπῆτοῖς ἐν Κυρίῳ χαίρειν.

Ἐὰν τις ἀγαπήσῃ τὸν Κύριον ἐν ὅλῃ καρδίᾳ, καὶ ἐν πάσῃ τῇ ψυχῇ, καὶ πάσῃ δυνάμει σταθῆ ἔν φόβῳ, ὁ φόβος γεννήσει αὐτῷ κλαυθμὸν, καὶ ὁ κλαυθμὸς χαρὰν, καὶ ἡ χαρὰν γεννήσει ἰσχὺν, καὶ διὰ ταύτης ἡ ψυχὴ καρποφορήσει ἐν παντί.

თქუმული ნეტარისა მამისა ჩვენისა ამონასის

ა'

საყუარელთა მაგათ უფლისა მიერ სიხარული.
 უკუეთუ ვინმე შეიყუაროს უფალი ყოვლითა გულითა და ყოვლითა სულითა და ყოვლითა ძალითა თვისითა, შეეყოს შიშსა მისსა. შიშმან უშვის ტირილი და ტირილმან უშვის მას

²⁴ S. Rubenson, Antony and Ammonas, conflicting or common tradition in early egyptian monasticism? გვ. 185-203. იხ. ბმული: https://www.academia.edu/7420452/Antony_and_Ammonas_Conflicting_or_Common_Tradition_in_Early_Egyptian_Monasticism.

²⁵ R. Graffin, F. Nau, Patrologia Orientalis, p. XI, Paris, 1915, 403-487.

²⁶ Chitty 1997, წინასიტყვაობა, იხ. ბმული: <https://www.amazon.com/Letters-Ammonas-Successor-Fairacres-Publications-ebook/dp/B06XC8NSGT>. ურთიერთმიმართების ასეთივე ცხრილი მოცემულია სინას მთაზე 1975 წელს აღმოჩენილ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობაში (ალექსიძე 2005: 248).

სიხარული და სიხარულმან უშვის მას ძალი და
მის გამო სული იგი ყოველსა შინა ნაყოფიერ
იქმნეს

Ἐπιστολή α'

Οἴδατε καὶ ὑμεῖς, ἀγαπητοὶ ἀδελφοί μου, ὅτι ἄφ'
οἷς ἐγένετο ἡ παράβασις, οὐ δύναται ἡ ψυχὴ, ὡς
δεῖ, τὸν Θεὸν ἐπιγῶναι.

წმიდისა ამონადის გ'

საყუარელნო ძმანო ჩემნო, იცით თქუენცა,
რამეთუ ვინადთგან რჩულისა გარდასლვად
იქმნა, ვერ ძალუც სულსა მას, რომელი
რჩულსა გარდასრულ არს, ვითარმცა
ადვილად იცნა ღმერთი

რა თქმა უნდა, რამდენიმე მაგალითის საფუძველზე კატეგორიული ხასიათის დასკვნის გამოტანა შეუძლებელია. ამისთვის ტექსტების ერთმანეთთან სრული შედარებაა საჭირო, მაგრამ ვარაუდის საშუალებას კი იძლევა, რომ ამონას ეპისტოლენი ქართულად ბერძნულიდან უნდა იყოს თარგმნილი. რაც შეეხება მიმდევრობას, შესაძლოა, ქართველი მთარგმნელის ხელთ არსებულ ბერძნულ ხელნაწერში ეპისტოლეების მიმდევრობა განსხვავებული იყო, ან იგი საკუთარი სურვილით შეცვალა. ამ მხრივ უფრო მკაფიო დასკვნების გამოტანის საშუალება სამომავლო კვლევა და ბერძნულად შემორჩენილ ტექსტთან ქართული თარგმანების სრული შედარებაა. აქედან გამომდინარე, საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ დღემდე მხოლოდ 8 ბერძნული ეპისტოლეა მოღწეული. ამ მხრივ, ქართული თარგმანი კიდევ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს.

1.5. წმ. ამონა მონაზვნის ეპისტოლეთა შემცველი ქართული ხელნაწერები

წმინდა ამონა (ამბა ამონა, ამმონა, ამონად) მონაზვნის ასკეტიკური სწავლებები, რომლებიც ეპისტოლარული ხასიათისაა და მიწერილია სამწყსოსადმი, ათ ქართულ

ხელნაწერში დასტურდება. ამ სახელით ცნობილი ავტორის სწავლებათა შემცველი კრებულები ორ ჯგუფად უნდა გაიყოს. შედარებით სრულყოფილი სახით ამონას თხზულებების შემცველ და ამავე დროს, ყველაზე ძველ ხელნაწერს წარმოადგენს სინას მთის ასკეტიკური კრებული – Sin. 35 (907 წ.), რომელშიც წარმოდგენილია თხუთმეტი დაუსათაურებელი და ერთი დასათაურებული ეპისტოლე. აღნიშნულ ხელნაწერში არსებულ ეპისტოლეთა ნუმერაციით, მე-3, მე-13, მე-15 და ბოლო, მე-16 დასათაურებულ სწავლებას შეიცავს სინას მთის მეორე ხელნაწერი – Sin. 25, X ს., რომელიც გადაწერილი უნდა იყოს უშუალოდ Sin. 35-დან (ამაზე ქვემოთ). ორივე ხელნაწერი ასკეტიკურ კრებულს წარმოადგენს. ორ მცირე ფრაგმენტს შეიცავს ათონური კრებული „გამოკრებულნი სადადთვე სიტყუანი წმიდათა მამათანი“ (Ath. 17, XI ს.). ერთია „სიყუარულისათვის ღმრთისა და შიშისა“ (324r), რომელიც თითქმის იდენტურია Sin. 35-ის 1-ლი ეპისტოლის დასაწყისისა, ხოლო მეორეა „შესაწირავისა აღებისათვის“ (281v), რომელიც ემთხვევა ამავე Sin. 35-ის მე-15 ეპისტოლეს ერთ მონაკვეთს. სამივე კრებულში არსებული ამონასეული სწავლებანი, რედაქციული თვალსაზრისით იდენტურია, ერთმანეთთან მხოლოდ მცირეოდენ სხვაობას აჩვენებენ.

Sin.Geo.N.13, X საუკუნით დათარიღებულ ასკეტიკურ და ჰაგიოგრაფიულ კრებულში მოთავსებულია ამონას პირველი შვიდი ეპისტოლე სრული სახით, მე-15 – მცირედი დანაკლისით, ხოლო მე-16 ეპისტოლეს – მხოლოდ დასაწყისი ნაწილი (ალექსიძე 2005: 248).

ხელნაწერთა მეორე ჯგუფს უნდა მივაკუთვნოთ ასევე ამონა მონაზვნის ავტორობით მოღწეული კიდევ ერთი სწავლება „ამონადს სიტყვანი: ოთხნი საქმენი არიან...“, რომელიც სტილის თვალსაზრისითაც განსხვავდება (ბოლო ნაწილი კითხვა-მიგებითაა გადმოცემული) და არ გვხვდება ზემოდასახელებულ არცერთ კრებულში, თუმცა, წარმოდგენილია შემდეგ ხელნაწერებში: Sin. 36 (925 წ., ბოლონაკლული), Ath. 9 (977/9 წ.), A-56 (XVIII ს.), A-1142 (1915 წ.), H-1662 (1040 წ.), S-1139 (930-940) [გაბიძაშვილი 2006: 89]. ჩამოთვლილთაგან უკანასკნელი სამი ხელნაწერი ილია აბულაძემ გამოსცა სახელწოდებით „მამათა სწავლანი“, რომელშიც ამონას ეს სწავლებაც არის შეტანილი. ამ ეტაპზე კვლევა არ წარიმართა სწავლების შემცველი დანარჩენი სამი ხელნაწერის გადმოწერისა და აბულაძისეულ გამოცემასთან შედარების მიმართულებით, თუმცა,

სამომავლოდ, ამ მიმართულებითაც იგეგმება კვლევის გაგრძელებას. ამჯერად კი წარმოვადგენთ შედარებით სრულ, Sin. 35-ში არსებული 16 „თქუმულის“ ჩვენ მიერ გადმოწერილსა და გრამატიკულად გამართულ ტექსტს.

1.6. Sin. 35-ის აღწერილობა

სინას მთის კოლექციის ქართული ხელნაწერებს, მათ შორის Sin. 35-ს აღწერენ ივ. ჯავახიშვილი, ალ. ცაგარელი,²⁷ ნ. მარი და ჟ. გარიტი.²⁸ ქვემოთ წარმოდგენილია ხელნაწერის ახალი აღწერილობა. წიგნთან პირდაპირი კონტაქტის არქონის გამო, ივ. ჯავახიშვილის მონაცემები მხოლოდ ზომების განსაზღვრისათვის გამოვიყენეთ.

პალეოგრაფიული მახასიათებლები: 320 ფურც., 34.5x25,9 [ჯავახიშვილი 1947: 59]. ტყავგადაკრული ფიცრის ყდა. კრებული თავ-ბოლონაკლულია, შუაში ორი ფურცელი აკლია. შესრულებულია შავი მელნით, ნაწერია ორ სვეტად. არ ჩანს განკანონების ხაზები. ასოთა მოცულობა, სტრიქონებს შორის დაშორება არათანაბარზომიერია, რის გამოც სვეტებში სტრიქონთა რაოდენობა ცვალებადია. ძირითადად, გვაქვს 25-29 სტრიქონი, თუმცა, ხშირად ნაკლები ან მეტიც. გვხვდება გვერდების საერთო ზომებთან შეუსაბამო, პატარა ან დაზიანებული გვერდები. მათზე ტექსტიც, შესაბამისად, მხოლოდ საღ სივრცეზეა ნაწერი, სტრიქონთა რაოდენობაც მცირეა, ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ ტექსტი თავიდანვე ცუდი ხარისხის ტყავზეა ნაწერი. შესაბამისად, ასეთი გვერდების არსებობა არ წარმოადგენს შემდგომი პერიოდის დაზიანების შედეგს და მათზე ნაწერი ტექსტიც სრულად იკითხება, როგორც ერთი შეხედვით ჩანს. ხელნაწერი არ წარმოადგენს პალიმფსესტს, თუმცა, დაკვირვების შედეგად ჩანს, რომ ესა თუ ის გვერდი, სავარაუდოდ, წერისას დაშვებული შეცდომის გამო, გადარეცხილია, ამოტრიალებულია და მასზე ტექსტი ხელახლაა დაწერილი. სინგურით შესრულებული სათაურები (მით უფრო, თუ ისინი მხოლოდ ანბანურ ნუმერაციას წარმოადგენს) ტექსტის ზომისაა, ნაკლებად გამოკვეთილია და შავ-თეთრ ფოტოფირებში რთულად გაირჩევა. ხშირია განკვეთილობის ნიშანთა გამოყენება (ერთი, ორი ან სამი წერტილი), მაგრამ არა

²⁷ Цагарели 1889: 96.

²⁸ Garitte 1956: 97-122;

პუნქტუაციის მიზნით. გადამწერი არა მხოლოდ ორ სიტყვას გამოყოფს ერთმანეთისგან, არამედ ორწერტილთა მეშვეობით თავად სიტყვებსაც ანაწევრებს (მაგ. „გამო:ვლინე:ბულთა“, „ბრძოლა:თა“ და ა.შ.). ფეხის ჩამოგრძელებით არის ნაწერი ქ (†), წ (P), ყ (Q) და ფ (P) გრაფემები. უმეტეს შემთხვევაში ვიე (Q) თავგახსნილია, თუმცა, ფიქსირდება თავშეკრულიც (მაგ. ფტ. 0051/სვ. მე-4/სტ. მე-9). ერთმანეთს ჰგავს ე (T) და ი (I) გრაფემები, რაც ოდნავ ართულებს მათ ამოკითხვას. ზოგჯერ ეს ფაქტი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ზმნების შემთხვევაში, როცა მწკრივები ერთმანეთისგანაა გასარჩევი. ასევე ერთმანეთს ჰგავს ჰ (S) და კ (U) გრაფემები, თუმცა, ამ შემთხვევაში შედარებით იოლია მათი ერთმანეთისგან გარჩევა. გადამწერი წერისას გამორჩენილ სიტყვებსა და ასოებს ზემოდან აწერს სტრიქონს (მაგ. ფტ. 0050-ე/სვ. მე-2). ჩანს სტრიქონებზე ნუსხა-ხუცური პატარა ასოებით წარწერილ სიტყვებიც, რაც ტექსტის გამართვას ემსახურება. დაქარაგმების წესში გადახვევა არ აღინიშნება, არის მხოლოდ სიტყვის „ვიდრემდის“ ორგვარი დაქარაგმება: ვ’ს და ვდ’ს. ხანდახან ქარაგმის ნიშანი ისეთ ადგილასაა დასმული, სადაც დაქარაგმება არ არის. დასტურდება ე (T) და ნ (H), ასევე ე (T) და ედ (F) გრაფემათა გაერთიანების მაგალითები.

ხელნაწერის შედგენილობა: ხელნაწერი იწყება ანტონი დიდის ეპისტოლეებით. პირველი ეპისტოლის მცირე ნაწილია შემორჩენილი, ხოლო დანარჩენი ექვსი სრული სახითაა. მათ მოსდევს წმ. დოროთეოზის სწავლებანი მორჩილებისა და ნების დატევების შესახებ, შემდეგ კი მოთავსებულია ევაგრე პონტოელის „თქუმული კრებულთა მიმართ, რვათათვის გულისსიტყუათა“ და სხვა სწავლებები. ევაგრეს შრომებს მოსდევს სებერიანოს გაბალონელისა და წმ. მამა არსენის სიტყვები, მათ შემდეგ კი – წმ. ამონა მონაზვნის დაუსათაურებელი, ანბანური დანომვრით 15 „თქუმულნი“ და ერთი დასათაურებული სწავლება, შესაბამის გვერდებზე: I – 43v-44r; II – 44v-46r; III – 46r-47r; IV – 47r-48r; V – 48r-v; VI – 48v-49r; VII – 49r-v; VIII – 50r-v; IX – 50v-52v; X – 50v-54r; XI – 54r-55v; XII – 55v-56v; XIII – 56v-64r; XIV – 64r-65v; XV – 65v-72v; XVI („თქუმული დაწყნარებისათვის...“) – 72v²⁹ [გაბიძაშვილი 2006: 86-88]. წმ. ამონას სწავლებებს მოსდევს

²⁹ აღნიშნული ხელნაწერის შავ-თეთრი ფოტოფირები, რომლებიც დექსტის დადგენისას იქნა გამოყენებული, განთავსებულია კონგრესის ბიბლიოთეკის ვებ-გვერდზე. აქ წარმოდგენილ ხელნაწერთა აღწერილობებში მითითებული გვერდთა დანომვრა არ ემთხვევა ფოტოფირების ნუმერაციას, ამიტომ მასალის ადვილად მოსაძიებლად იხილეთ ამონას თხზულებათა შემცველი ფოტოფირების შესაბამისი

წმ. მარკოზის, კასინჯს და სტეფანე მონაზონთა სიტყვები, წმ. მაკარისა და სხვათა ეპისტოლეები, ასევე – გამოკრებილი სწავლანი წმ. იოვანე სინელის „კლემასიდან“. კრებული სრულდება ანტონი დიდისა და სკიტელ მამათა „სწავლანით“, რომელიც ცნობილია, როგორც ანბანურ-ანონიმური „აპოფთეგმური“ თხრობა. მათში უდაბნოში მოღვაწენი სულიერი მამებისგან, ხანაც ერთმანეთისგან იღებენ პასუხებს მათთვის საინტერესო სულიერ შეკითხვებზე. აქვე წმ. ამონა მონაზონიცაა ნახსენები.

1.7. ხელნაწერის დაწერის ადგილი, დრო და გადამწერის ვინაობა - ერთი დაკარგული ფურცლის ისტორია

ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ საწყისი რამდენიმე გვერდი, შუა ორი ფურცელი და დასასრული, რომელშიც, სავარაუდოდ, გადამწერის ანდერძ-მინაწერიც უნდა ყოფილიყო, Sin. 35 კრებულს არ მოეპოვება.

სინას მთის ქართულ ხელნაწერთა კოლექციის ერთ-ერთი კრებულის Sin. 67-ის აღწერილობაში, რომელიც პალეოგრაფიულად XII საუკუნითაა დათარიღებული და წარმოადგენს გიორგი მთაწმინდლისეული რედაქციის ქალაქში ნაწერ პარაკლიტონს, აღნიშნულია, რომ მისთვის ალაგ-ალაგ ადრევე ჩაუტარებიათ რესტავრაცია და თავსა და ბოლოში, დაცვის მიზნით, მოუთავსებიათ სხვა, ეტრატის ხელნაწერიდან ამოღებული ფურცლები. სარესტავრაციოდ აღებულ ფურცელთაგან ერთი ასომთავრულითაა შესრულებული და წარმოადგენს იმ ხელნაწერის ბოლო ფურცელს, რომლიდანაც იგი ამოულიათ. ერთ გვერდზე მოცემულია აპოფთეგმური თხრობა, მეორეზე – გადამწერის ანდერძ-მინაწერი. ამავე გვერდის მეორე სვეტი კი მისი შემმოსველის, იოვანე-ზოსიმეს მინაწერს ეთმობა. მ. დვალი და ლ. ჯღამაია გამოთქვამენ მოსაზრებას, რომ აღნიშნული ფურცელი Sin. 35-ის ბოლო გვერდს წარმოადგენს. ამის დასადასტურებლად მოჰყავთ რამდენიმე არგუმენტი: 1. კალიგრაფიულად ამ ფურცელზე არსებული ასომთავრული და Sin. 35-ის ხელი იდენტურია; 2. Sin. 35 ბოლონაკლულია, სრულდება აპოფთეგმური თხრობით. სარესტავრაციოდ აღებული ეს ფურცელიც აპოფთეგმური თხრობით სრულდება, იგი Sin. 35-ში ნუმერაციითაა წარმოდგენილი და წყდება 72-ე თხრობაზე - „სიტყუანი სუქესტისა“. აღმოჩენილ ფურცელზე არსებული აპოფთეგმა დანომრილია და ბოლო, 77-ე თხრობას შეიცავს; 3. ორთოგრაფიის თვალსაზრისით, „უ“ ასოს ჩასაწერად ზუსტად ისევე, როგორც Sin. 35-ში, ხან ერთი (O), ხანაც ორი (Oϥ) გრაფემაა გამოყენებული (ხელნაწერის ეს მახასიათებელი მუშაობის პროცესში განსაკუთრებით თვალშისაცემი იყო, ამიტომ აღწერილობაშიც არის აღნიშნული); 4. სამეცნიერო წრეებში Sin. 35 ასკეტიკურ კრებულს პალეოგრაფიულად X საუკუნით ათარიღებდნენ, რაც ანდერძ-მინაწერმაც დაადასტურა. Sin. 67 კრებულის სარესტავრაციოდ გამოყენებული ფურცლის შესწავლის შემდეგ სავსებით ვიზიარებთ წარმოდგენილ არგუმენტებს და

ანდერძ-მინაწერსა და აპოფთეგმების ნაწილს, Sin. 35-ის შემადგენელ ნაწილად მივიჩნევთ.

ა. ცაგარელს სინას მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობაში (Sin. 67) მითითებული მხოლოდ ის აქვს, რომ აღმოჩენილი ფურცელი იოვანე-ზოსიმეს მინაწერს შეიცავს [Цагарели 1889: 89]. მისგან განსხვავებით, ნ. მარი ორივე ანდერძის ტექსტს წარმოადგენს, იხილეთ ტექსტი სრულად:

„ქ. გულსმოდგინე მცემელმან მის ცხორებისამან დაბადებულთა თვსთა მოსცა გულფიცხლებასა ჩემსა ლმობიერებაჲ, და უდები მცირედ წადიერ ვიქმენ და განჯურდა მცირედ შესოჯლებული გული ჩემი და ჯელ-ვყავ აღწერაჲ წიგნისაჲ ამის განსანათლებელად და ნუგეშინის-საცემელად გულის-ჯმის-მყოფელთა.

და რომელთა უნდეს შესლვაჲ გზასა მას ცხორებისასა, პოონ აქა შინა მრავალი სარგებელი, რომლითა მიუდგეს ბერწი და უდაბნოსა მას განწირულთასა კრავნი ძოვდენ და რომლითა წარიკადენ ჯამლნი ფერჯთაგან, რომელნი იგი ღმერთმან იცნნეს და მათ იცნან თავი თვსნი და ღმერთი და შევიდენ იწრუსალემად.

ხოლო რომელნი იკითხვიდეთ წიგნსა ამას, მე ცოდვილი და ნარჩევი, ლოცვასა მომიკსენეთ და ყოველნი მიზეზნი ამის წიგნისა დაწყებასა არსენი ბერი და სულიერნი შვილნი მისნი. დავწერე ჯელითა ჩემითა მე საწყალობელმან საბაწმიდას შინა, პატრიარქობასა ელია დამასკელისა მანსურის ძისასა და საბაწმიდას სვიმონის წინამძღვრობასა, დასაბამითგან წელთა ხ ფ ი ა.

და აღესრულა პატრიარქი მასვე წელსა, თუესა ოკდონბერსა დ, დღესა შაბათსა განთიად, და დაჯდა სერჯი რამლელი ზ-სა მასვე თუესა“ [მრავალთავი 1978: 77-78].

ანდერძის მიხედვით, ირკვევა შემდეგი: 1. ხელნაწერი საბაწმინდის მონასტერშია გადაწერილი. 2. Sin. 35 ერთ-ერთი უძველესი თარიღიანი ძეგლია. თარიღი მოცემულია ქართული „დასაბამითგანით“: „დასაბამითგან წელთა ხფია“, ე.ი. 6511-5604=907 წ.. ეს დათარიღება გამყარებულია ელია დამასკელის პატრიარქობისა და საბაწმინდაში სვიმონის წინამძღვრობის ფაქტებით, რასაც კიდევ უფრო აზუსტებს შემდეგი ცნობა: „და აღესრულა პატრიარქი მასვე წელსა, თუესა ოკდონბერსა დ, დღესა შაბათსა განთიად, და დაჯდა სერჯი რამლელი ზ-სა მასვე თუესა“; 3. მ. დვალი და ლ. ჯღამაია ასკვნიან, რომ ხელნაწერის გადამწერია ზემოთ ნახსენები არსენი ბერი (74). მიგვაჩნია, რომ ანდერძის

სიტყვები: „ყოველნი მიზეზნი ამის წიგნისა დაწყებასა არსენი ბერი და სულიერნი შვილნი მისნი“ იძლევა ინფორმაციას არა გადამწერის, არამედ ხელნაწერის დამკვეთის შესახებ, თხრობაც მესამე პირშია. მაშასადამე, არსენი ბერი წიგნის მომგებელია; 4. გადამწერი ანდერძში საკუთარი თავის შესახებ მხოლოდ ამას ამბობს: „ხოლო რომელნი იკითხვიდეთ წიგნსა ამას, მე ცოდვილი და ნარჩევი, ლოცვასა მომიქსენეთ“. შესაბამისად, მივიჩნევთ, რომ გადამწერის სახელი ამჯერადაც უცნობი რჩება.

ხელნაწერის შემოსვლი: Sin. 67-ში აღმოჩენილი მეორე ანდეძი, ა. ცაგარელის აზრით, იოვანე ზოსიმეს ეკუთვნის [Цагарели: 1889. 80]. ამ მოსაზრებას მ. დვალი და ლ. ჯღამაიაც იზიარებენ [მრავალთავი 1978. 75-76]. იოვანე-ზოსიმეს ანდერძი მოგვიანო პერიოდის რესტავრაციის შედეგად შელახულა, რის გამოც რთულად იკითხება. იხილეთ მცირე მონაკვეთი ნ. მარის მიერ ამოკითხული ანდერძიდან:

„სახელითა ღმრთისაათა და მეოხებითა [?] შეიმოსა წმიდაჲ ესე წ[იგნი] მონასტერსა შინ[ა] მაყულოვანსა ს[ინას]. ჰელითა იოვანე ცოდვილისაათა წელთა ქართველთა ხფოზ, ქორონიკონი პა. თანაშეწევნითა [და] ჰაჯითა მიქაელ [მლ]დელისა კალამ სალოცველად და მი...კნ ცოდვილთა თვსთა და ნათესავსა ჩ[უენსა]“ [Март 1940: 170-172].

იოვანე-ზოსიმეს ანდერძიდან ირკვევა, რომ: 1. საბაწმინდის მონასტერში გადაწერილი კრებული სინას მთის მაყულოვანის მონასტერში შეიმოსა; 2. შეიმოსა იოვანე-ზოსიმემ, მიქაელ მღვდლის შეწევნითა და ხელშეწყობით; 3. შეიმოსა 973 წელს (6577-5604=973 წ.). მაშასადამე, ამ დროისთვის Sin. 35 უკვე სინას მთის წიგნთსაცავშია.

ორთოგრაფიული თავისებურებანი:

ჭ-ს (ჩ) გამოყენება: ჭ-ს გამოყენების პრინციპების დარღვევა ხელნაწერში, ძირითადად კონტამინაციური დაწერილობის ხასიათის ატარებს. სხვა მხრივ, იგი უმეტეს შემთხვევაში მოსალოდნელ ადგილას ზის. მაგალითად, გვაქვს ერთი და იმავე სიტყვების როგორც მართებული, ისე არასწორი ეჭ დაწერილობები: **ესრჭთ-ესრეჭთ, საქმჭ-საქმეჭ, ღამჭ-ღამეჭ**. მსგავსი შემთხვევები ტექსტში ხშირად ერთმანეთის გვერდითაც გვხვდება: „ღამჭ და დღეჭ“ ან „ღამე და დღე“. ასევე ხშირია ფორმები: **უმჯობეჭს, უსულმცირეჭს, აღსაშეჭნებელად, აღაშეჭნიან, ქრისტეჭსა, ტიმოთეჭსა, ელისეჭს, ს[ა]ვლეჭს** და სხვ. ეს დარღვევა ამ ეტაპზე ტექსტში უცვლელად დარჩა.

ჰ გრაფემის (ჟ) გამოყენება: ტექსტში „ჰ“ უმეტესად, „უ“ (ღჟ) გრაფემის გამოსახატავად, „ო“-ს (ღ) გვერდით გვხვდება დაწერილობებში: ამისთოვის (ᄀᄁᄂᄃᄄᄅ), მიგიძღვის (ᄆᄇᄈᄉᄊᄋ) და სხვ. თუმცა, გვაქვს ორი შემთხვევა, როცა იგი დამოუკიდებლად იხმარება. ეს სიტყვებია: „ცხორებისათვის“ და „სხვსა“. გვაქვს დარღვევებიც, როგორც არის „უ“-ს ჩაწერა მხოლოდ ჰ-ს გამოყენებით.

ჟ (ჟ) გრაფემის გამოყენება: სხვა გრაფემების მსგავსად, ჟ-ს გამოყენებაშიც გვაქვს როგორც კანონზომიერი, ანუ ძველი ქართული ენისთვის დამახასიათებელი, ისე ადრეული, უადგილო დაწერილობები. „ხ“ - „ჯ“ ფონემატური ოპოზიცია ირღვევა, გვაქვს ერთი ფონემა „ხ“ და ორი გრაფემა, რაც X საუკუნიდან უკვე ხშირი მოვლენაა [სარჯველაძე 1984: 15-16]. ზოგადად, ძველ ქართულ ენაში ჟირს „ჟ“ გრაფემის გამოყენების ზუსტი პრინციპების დადგენა, მაგრამ ტექსტებში მოძიებული ფორმების კვლევის შედეგად, დადგენილია გარკვეული კანონზომიერებანი. მაგალითად, იგი გამოიყენება:

- ✓ ცოცხალ არსებათა ცალკეული ორგანოებისა და მათი მოქმედების გამომხატველ სიტყვებში. ჩვენ მიერ გადმოწერილ ტექსტში გვხვდება სწორი დაწერილობები: ჰელი, ფერჯი, ჰმაჟ, ჰორჯი და ა.შ.
- ✓ გარკვეულ ზმნურ ფორმებში. ტექსტში დასტურდება: უჰმდეს, განაჰურვეს, საჰმარი და ა.შ. [ციხელაშვილი 2018: 22-24]

ამასთანავე, ტექსტში ფიქსირდება ფორმები: ჰელმწიფება, აღჰკოც, უჰშირეჰსი, ოჰერ, უჰმდეს, აღჰდის, მჰდომი, გამომთჰივნეს და ა.შ.

უ (ღჟ) ფონემის გრაფიკული გამოსახვის თავისებურებები: ხელნაწერში ყველაზე პრობლემური „უ“-ს დაწერილობაა. როგორც ცნობილია, ასომთავრულ ანბანში, ბერძნულის გავლენით, იგი ორი – ო (ღ) და ვიე (ჟ) გრაფემების გაერთიანებით იწერებოდა. Sin. 35-ში ეს პრინციპი დარღვეულია: „უ“ (ღჟ) ხშირად მხოლოდ „ო“ (ღ) გრაფემით წერია. ჩანს დაწერილობები: ოჰკოეთოჰ, შეოორგოლებელი, შეიყოაროს, მიოდლოეს, ოჰოჰეთო, ნოჰკოე, გამოჰცდელ და ა.შ. ცხადია, ხელნაწერის ამგვარი სიზუსტით გადმოწერა გაართულებდა მის წაკითხვას, ამიტომ ტექსტში ეს ხარვეზი ძველი ქართული ენის ნორმების გათვალისწინებით ჩასწორდა, გაიმართა და „ჰ“ გრაფემით შეიცვალა. შესაბამისად, დაწერილობებმა: ამისთოვის (ᄀᄁᄂᄃᄄᄅ),

მიგიძღვის (ჭ'ᲠᲚᲠᲢᲠᲠᲠᲠ), გოჯრგოჯნი (ᲚᲠᲠᲚᲠᲠᲠ) და მისთ. მიიღო შემდეგი სახე: ამისთჯს, მიგიძღჯს, გჯრგჯნ და ა.შ.

დ-ს (ჯ) გამოყენება: სხვა გრაფემებთან შედარებით გადამწერი „დ“-ს უმეტესწილად ზუსტად იყენებს იქ, სადაც მოსალოდნელია, ე.ი. ათავსებს სახელების (გარდა ანთროპონიმებისა) აბსოლუტურ ბოლოში, ა, ო, უ ხმოვნებთან სამ ბრუნვაში: სახელობითში, ნათესაობითსა და მოქმედებითში, ასევე პოსტპოზიციურ მართულ მსაზღვრელ-საზღვრულთან [ციხელაშვილი 2018: 18-20; სარჯველაძე 1984: 15-16] და ა.შ., მთელ ტექსტში ამ პრინციპების დარღვევის ძალიან ცოტა, მაგრამ საინტერესო შემთხვევებია, მაგალითად: „ი“ ხმოვანზე დაწყებული ანთროპონიმები შემდეგი დაწერილობითაა წარმოდგენილი: დოვანე, დაკობი, დუდა. ასეთი სულ ექვსი შემთხვევაა. იგივე „იაკობ“ ტექსტში ჩვეულებრივი ფორმითაც დასტურდება. ასევე, იკითხება ფორმები: სადუმლოთა (3) და დავსების (1). ნანათესაობითარი სახელობითის ფორმაც კი (მაგ., „სადმროთოსა“) სწორადაა ჩაწერილი, რაც მეტად საინტერესოა აღნიშნული ვითარებისა და ხელნაწერის გადაწერის თარიღის გათვალისწინებით.

ფონეტიკური თავისებურებანი: ხელნაწერში არის შემდეგი სახის ბგერათგადასმისა და ბგერათჩანაცვლების შემთხვევები: ნაცვლად „საზრდელისა“ – „სარზდელი“, ნაცვლად სიტყვისა „უძლიედ“ – „ურძიედ“. ასევე, გადამწერი უცნაური ფორმით ანაცვლებს სიტყვებს: „უკუნანდსკნელწსად“, „იტყოდის“, „შეუძრწუნებლად“ და წერს: „უკუნანგნწსად“, „იტყდოდის“, „შეუწძრუწზლად“. პირის ნიშანთა გამოყენების თვალსაზრისით, ტექსტში სინტაქსური კონსტრუქციის დონეზე ერთი და იმავე ზმნის შემთხვევაში სხვადასხვა პირის ნიშნების გამოყენება ან გამოუყენებლობაა: „ს-ჯდე რად სენაკ[სა] შენსა“ – „ჰ-ჯდე რად სენაკ[სა] შენსა“ – „ჯდე რად სენაკ[სა] შენსა“.

ტექსტის ლექსიკა: როგორც ზემოთ ითქვა, ტექსტი არქაული ლექსიკის სიმრავლით არ გამოირჩევა. ფიქსირდება რამდენიმე საინტერესო სიტყვა-ფორმა: **კერმა** – ფულის წვრილი ერთეული, სპილენძისა (ი. ა.); **საციქუელი** – მიგზავნა, მსახურება (ი.ა.); **მკოდვისა** (დამკოდვისა, სიმკოდვისა) – (მკოდოვი) ღარიბი, ღატაკი (ი.ა.); **ლილი** – (მწულილი), ხურდა (ი.ა.), ფულის წვრილი ერთეული; **ფჯრუ** – ფიჩუ, სამოსელი, ძაძა, მოსასხამი; ფიჩოსანი – ბერი. „ფიჩჯ დაჰბურიან პირსა მისსა.“ (ი. ა.); **ფქერად** – ეს სიტყვა

ამ ფორმით ლექსიკონებში არ იძებნება. კონტექსტიდან გამომდინარე, შესაძლოა, ხველებას ნიშნავდეს.

თხრობის ენა და სტილი: მიუხედავად იმისა, რომ თარგმანი X საუკუნის დასაწყისშია შესრულებული, თანამედროვე მკითხველისთვისაც მარტივად გასაგებია. იშვიათად გვხვდება სპეციფიკური სიტყვები, ტერმინები და რთული სინტაქსური კონსტრუქციები, ღრმადსულიერი ასკეტიკური სწავლებები და ბიბლიის მისტიკური პასაჟები ყოფითი მაგალითებითაა ახსნილი. ამას ემატება ავტორის თბილი, მამობრივი და მოსიყვარულე დამოკიდებულება ეპისტოლეთა ადრესატებისადმი, ეს კი დადებით ემოციურ განწყობას ქმნის და მკითხველს უადვილებს არცთუ მარტივი შინაარსის მქონე ტექსტის წვდომას. გვაქვს გნომური ხასიათის, მოკლე და სხარტი რჩევა-დარიგებებიც. ტექსტის ამგვარი ხასიათი რამდენიმე მიზეზით შეიძლება იყოს განპირობებული. პირველი რიგში, ეს დაკავშირებულია ავტორთან, რომელმაც, ანტონისგან განსხვავებით, წერა-კითხვა და წმინდა წერილი კარგად იცოდა, სპეციალური განათლება მიუღია, არ ჰქონია შეხება რთულ ფილოსოფიურ ტექსტებთან. ამის გამო სწავლებები არ არის გადატვირთული და არც მძიმე საკითხავია. ავტორი ჭაბუკობიდანვე ღმრთისმოსაობით გამოირჩეოდა, შესაბამისად, ამონა საკუთარი დაკვირვებებით, ცხოვრებისეული და სულიერი გამოცდილებით სარგებლობდა, ამიტომაც უშუალო, მარტივი ენით წერდა. ასევე ცხადი და მარტივი ენით უთარგმნიათ ტექსტი ბერძნულ ენაზე, იქიდან კი – ქართულად.

1.8. Sin. 35-ისა და წმ. ამონა მონაზვნის ოთხი ეპისტოლის შემცველ

ხელნაწერ Sin. 25-ის ურთიერთმიმართებისათვის

აღნიშნულ ორ ხელნაწერზე დაკვირვებით ვიგებთ, რომ Sin. 25-ის გადამწერი გასცნობია Sin. 35 ასკეტიკურ კრებულში არსებულ წმ. ამონა მონაზვნის ყველა ეპისტოლეს. კითხვისას, რაც ტექსტში დანაკლისად მიუჩნევია, იქნებოდა ეს სიტყვა თუ ასო, შესწორებისა და გამართვისთვის სტრიქონებს ზემოთ მიუწერია. შემდეგ ამოურჩევია მისთვის საგულისხმო და საჭირო შინაარსის მქონე ოთხი ეპისტოლე Sin. 35-ის ნუმერაციით (3, 13, 15, 16) და საკუთარ კრებულში გადაუწერია. შესაბამისად, ეს ორი

ხელნაწერი რედაქციულ სხვაობას არ იძლევა, მხოლოდ რამდენიმე ადგილას შეინიშნება გადამწერის მიერ სინტაქსური წყობისა თუ ცალკეული სიტყვაფორმის ცვლილება.

ის, რომ Sin. 25 უფრო გვიანდელი ხელნაწერია და Sin. 35-დანაა გადაწერილი, შემდეგი არგუმენტებითაც დასტურდება: 1. Sin. 35-ში გამოტოვებული სიტყვები სტრიქონებს ზემოთ ზუსტად იმავე ხელწერითაა მიწერილი, როგორც Sin. 25-ის შესრულებული; 2. Sin. 25-ის ტექსტში ყველა ის სიტყვა, რომელიც Sin. 35-ში სტრიქონებზეა წაწერილი, ძირითად ტექსტშია შეტანილი; 3. Sin. 25-ის გადამწერი პირდაპირ გადაწერს Sin. 35-ში არსებულ რამდენიმე მცდარი დაწერილობის სიტყვას, მაგალითად, ისიც დაწერს – „უკანაგნეწსად“, ნაცვლად სწორი ფორმისა – „უკუანასკნელწსად“; 4. როგორც ხელნაწერის ორთოგრაფიულ მახასიათებლებში აღვნიშნეთ, Sin. 35-ში „უ“ (O.4) გრაფემის დაწერილობაში არსებულ ხარვეზებს Sin. 25-ის გადამწერიც შეცდომაში შეჰყავს. საილუსტრაციოდ იხილეთ პარალელურ ფორმათა ცხრილი:

Sin. 35	Sin. 25
ბოროტი	ბურუტი
სოფელსა	სუფელსა
ორ გზის	ურ გზის
მუნად (იქ)	მონად
ძონძი	ძუნძი
დათრგუნა	დათრგონა

1.9. წმ. ამონა მონაზვნის ერთი ასკეტიკური სწავლების ილია

აბულაძისეული გამოცემა

წმ. ამონას სახელით მოღწეული სწავლებების შემცველი ქართული ხელნაწერები თავიდანვე ორ ჯგუფად გაიყო. კრებულთა ერთი ნაწილი, რომელიც შეიცავს სწავლებას ოთხი მთავარი ცოდვის შესახებ („ოთხნი საქმენი არიან, უკუეთუ ამათგანი ერთიცა იყოს კაცისა თანა...“) არ შეიცავს ამონას არცერთ სხვა ეპისტოლეს და პირიქით, იმ

კრებულებში, რომლებშიც გვაქვს დანარჩენი 16 „თქუმული“, არ ფიქსირდება დასახელებული თხრობა ოთხი სახის ცოდვის შესახებ. ეს ფაქტი, ცხადია, საინტერესოა და ცალკე კვლევას საჭიროებს. შეიძლება, გამოთქმულიყო მოსაზრება, რომ მათ სხვადასხვა ავტორი ჰყავს – ორივე ამონა, მაგრამ ამ სწავლებაზე დაკვირვებისას გამოვლინდა, როგორც თხრობის სტილის მსგავსება დანარჩენ ეპისტოლეებთან, ასევე ცალკეული ფრაზები. მაგალითად, თხრობაში „ოთხნი საქმენი არიან...“, როცა საუბარია სიმდაბლით აღსრულებულ კეთილ საქმეზე, ვხვდებით ერთ ასეთ ფრაზას: „ყოველი კეთილისა საქმე მისი შეგინებულ არს წინაშე ღმრთისა, ვითარცა ძონძი წიდოვნისა დედაკაცისა“ [აბულაძე 1955: 306]. მსგავსი ფრაზა ზუსტად ამავე კონტექსტში ამონას მე-14 და მე-15 ეპისტოლეებშიც ფიქსირდება. მათგან ერთ-ერთია: „მე ვარ მიწა და ნაცარი და ვითარცა ძონძი წიდოვნისა არს ყოველი სიმართლე ჩემი“. ამგვარი მსგავსების აღმოჩენა და ხელნაწერებში ავტორად „ამონას“ მოხსენიება ადასტურებს, რომ სწავლებები ერთი ადამიანის ხელიდანაა გამოსული. თუკი ეს ვარაუდი უფრო მყარად დადასტურდება, აღმოჩნდება, რომ ქართულად არა 13 (როგორც ეს უცხოელ მკვლევრებს მიაჩნიათ) არამედ 17 ეპისტოლეა მოღწეული.

თავი 2. წმ. ამონა მონაზვნის ეპისტოლეების ძირითადი საღმრთისმეტყველო პრობლემატიკა

2.1. განდევილ მამათა როლი ეკლესიის ისტორიაში. წმ. ამონას სწავლება განმარტობით მცხოვრებ და განწმენდილ მამათა ერში მივლინების შესახებ

განდევილობის, მოსაგრეობის, ქრისტიანული ასკეზის გზას შემდგარი ადამიანი სულიერად მუდმივად უნდა წარმატებოდეს, როგორც ამას პავლე მოციქული ამბობს: „მძნო, მე არლარა შემირაცხიეს თავი ჩემი წარწევნულად; ხოლო ერთი ესე: უკუანასა მას დავივიწყებ და წინასა მას მივსწუდები“ (ფილ. 3,13). ზოგადად, ქრისტიანის ცხოვრების მიზანია – დღეს უკეთესი ქრისტიანი გახდეს, ვიდრე გუშინ იყო, ხოლო ხვალ უფრო მეტი მოშურნეობით აკეთოს ღმრთის სათნო საქმე, ვიდრე ეს დღეს შეძლო.

ღმრთის განუზომელი სიყვარულის ძალით მოღვაწეები ებრძვიან ხორციელსა და სულიერ ვნებებს. თვითჩაღრმავების, ლოცვისა და მარხვის გზით ამარცხებენ მათ და ამგვარად ხდებიან „ანგელოზნი ქუეყანისა“, როგორც იოვანე სინელი ამბობს: „მონაზონებაჲ არს წესი და საქმე უჯორცოთაჲ, აღსრულებული ჯორცთა შინა ნივთიერთა და მოკუდავთა“ [სინელი 1965: 21]. აი, როგორაა გადმოცემული მეუდაბნოე მამების ცხოვრება ლიტურგიკულ საგალობელში: „უდაბნოს მყოფთა ცხოვრება ფრიად სანატრელ არს, რამეთუ მარადის ფრთოვან-იქმნების და ძალითი-ძალად სლვითა ღმერთსა მიეახლების“ [პარაკლიტონი 1998: 355]. ღმერთი განსპეტაკებულთა შორის მკვიდრობს და მათი მეშვეობით კურნავს, შეეწევა და განსწავლის სხვათა სულებსაც. ამის შესახებ ანტონი დიდის მე-6 ეპისტოლეში ნათქვამია: „კაცმან პირმეტყუელმან, რომელმან განმზადა თავი თვისი განთავისუფლებად მოსლვითა იესოდსითა, იცნის მან თავი თვისი მსგავსად გონიერისა მის არსებისა; რამეთუ რომელმან თავი თვისი იცნა, იცნის მან შემოქმედისა მის მოლუაწებანი და რადოდენსა იქმს [შემოქმედი] თვისთა შორის დაბადებულთა“ [ეპისტოლეები 2008: 37, 18-23]. მსგავსად წინასწარმეტყველთა, რომელთაც ღმერთი მოავლენდა ხოლმე საკუთარი ნების განსაცხადებლად, ისრაელის სამხილებლად, მისთვის შემწეობის გასაწევად და სწორი გზის საჩვენებლად, ასევე

ყოველი განწმენდილი მოღვაწე წინასწარმეტყველი, ღმრთის ნების მაუწყებელი და მანუგეშებელია გარშემო მყოფთათვის. ეკლესიის ისტორიაში უამრავი მაგალითი არსებობს იმისა, თუ როგორ აკითხავდნენ მორწმუნეები უდაბნოში დამკვიდრებულ ასკეტებს, მათგან მაცოცხლებელი სიტყვის მოსასმენად და საღმრთო სიმართლის მოსაპოვებლად, როგორც ეს ზემოთ, ამონას ცხოვრების ერთ-ერთ ეპიზოდშიც გამოჩნდა, სთხოვდნენ მათ სულიერ მწყემსობას, ეპისკოპოსობას (ამის მაგალითია ამონა მონაზონი, მისი ძმა დიოსკორე, პეტრე იბერიელი და სხვები) და ა.შ. ასე რომ, განმარტოებისა და საკუთარი ნების მოკვეთის შემდეგ ბერები არა მხოლოდ ღმრთის წინაშე წმინდა ლოცვით, არამედ პირადი მაგალითითა და ძალისხმევით უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებდნენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ერში დამკვიდრებული დიდი მამებიც კი, რომლებიც საკუთარი თხოვრებებით ეკლესიის დოგმატებს აყალიბებდნენ, ხშირად ასეთი ღმრთივგანბრძნობილი, წერა-კითხვის უცოდინარი, განმარტოებული მამებისგან იღებდნენ სულიერ საზრდოს, როგორც, მაგალითად, ათანასე ალექსანდრიელი – ანტონი დიდისგან.³⁰

მაქსიმიანეს მმართველობის დროს დაწყებული ქრისტიანების დევნის პერიოდში, როცა მორწმუნეებს ურთულესი დრო ედგათ, ანტონი დიდი მთიდან ალექსანდრიაში ჩავიდა, სიკვდილმისჯილებს საწამებელ ადგილებამდე აცილებდა, ამხნევებდა, ქრისტეს რწმენაში განამტკიცებდა და ჭეშმარიტ სწავლებასაც შეუპოვრად ავრცელებდა. ეს დიდი მამა ხალხს ჭეშმარიტი სარწმუნოების დამცველად მიაჩნდა, ყურადღებით ისმენდა მის სიტყვებს და ჭეშმარიტი სარწმუნოებრივი სწავლებიდან ერეტიკოსთა ცბიერ ქადაგებებს მათი საშუალებით განასხვავებდა. წმ. ათანასე ალექსანდრიელი „ანტონი დიდის ცხოვრებაში“ წერს: „უშიშად დგა და გვჩუენებდა ჩუენ ქრისტიანეთა გულსმოდგინებასა“ [იმნაიშვილი 1970: 43] და იქვე ამატებს: „**რომელნი ხედვიდეს მისსა მას ცხოვრებასა, მრავალნი მიჰბაძვიდეს**“ [44].

წმ. ამონა ამ საკითხებს მე-3 ეპისტოლეში ეხება. იგი განმარტავს, რა ზიანი მოუტანა ადამიანის სულს ღმრთის ურჩობამ: „საყუარელნო ძმანო ჩემნო, იცით თქუენცა, რამეთუ

³⁰ შემონახულია ათანასეს წერილი ამონასადმი, რომელშიც მრავალ მნიშვნელოვან სულიერ საკითხზე საუბრობს. ეს ცხადყოფს, რომ ათანასე ამონა მონაზონსაც კარგად იცნობდა. იხ. ბმული: http://library.church.ge/index.php?option=com_content&view=article&id=226%3A2010-07-30-11-49-29&catid=34%3A2009-12-29-11-31-18&Itemid=59&lang=ka

ვინააძთგან რჩულისა გარდასლვაა იქმნა, ვერ ძალუც სულსა მას, რომელი რჩულსა გარდასრულ არს, ვითარმცა ადვილად იცნა ღმერთი, უკუეთუ არა განაშოროს თავი თვისი კაცთაგან და ყოვლისა ამისგან ზრახვისა“ [Sin. 35: 46r]. სანამ ადამიანი არ განეშორება წუთისოფლის სიტკბოებებს, მანამ ვერ იხილავს საკუთარ სნეულებებს, ხოლო უარყოფს რა წამიერ სიამოვნებას და საკუთარ თავთან განმარტოვდება, დაინახავს, როგორ და რა გზით ცდილობს ბოროტი ღმრთისგან მის განშორებას: „მაშინ იხილოს ბრძოლა იგი განწყობილი წინააღმდეგობითა მათ თვისთა და სძლოს ჟამად-ჟამად მომავალთა მათ ზედა ბრძოლათა“ [Sin. 35: 46r]. წმ. იოვანე სინელი სათნოებათა კიბის – კლემაქსის სტრუქტურას სწორედ ასე წარმოადგენს: პირველი საფეხური სოფლისგან განშორებაა, რასაც მოყვება სხვადასხვა სახისა და სიმძიმის ვნების ჩამონათვალი, განხილვა და მათთან ბრძოლის მეთოდები, რომელთა მეშვეობითაც მონაზონი განიწმინდება და ნაბიჯ-ნაბიჯ მოიპოვებს სათნოებებს. წმ. ამონას თქმით, თუ მონაზონი ბრძოლაში მხნედ იდგება და სძლევს მტერს, მომქანცველი გარჯა (ὁ κάματος – სწრაფვა, ღვაწლი, ჳელთ-საქმარი [კვირიკაშვილი 2005: 212] სიხარულით შეეცვლება: „მაშინ დაემკვდრის მის თანა სული წმიდა და გარდაექცის სიხარულად და მხიარულებად და შუებად“³¹ [Sin 35: 46r]. შემდეგ ახსენებს პირველ დიდ მეუდაბნოე მამებს, ელია თეზბიტელს, იოვანე ნათლისმცემელს და ამბობს: „ნუ ჳგონებთ, ვითარმედ, რომელნი ესე კაცთა შორის იქცევიან მართალნი, კაცთა შორის ყოფითა წარიმართეს სიმართლეჲ, არამედ მრავალი დაყუდება ყვეს პირველად და მოიღეს ძალი (ἡ δύναμις) იგი საღმრთოდსა მის მაღლისა“ [Sin 35: 46r]. ისევე, როგორც რჩულ ერს, ისრაელს, მოუვლენდა ხოლმე წინასწარმეტყველებს, რათა მათი მცდარი საქმეები ემხილებინა და სიმართლის ქმნაში შეწეოდა, ასევე ამგვარი განმწმენდელი ღვაწლის, საკუთარი ნების მოკვეთისა და ღმრთისა და მოყვასის სიყვარულში განმტკიცების შემდეგ ღმერთი უდაბნოთაგან ადამიანებს შემწეს, სულთა მკურნალსა და სწორი გზის მაჩვენებელს მოუვლენდა: „მაშინ ღმერთმან მოავლინნა კაცთა შორის, საგსენი ყოვლითა სათნოებითა, რადთა მოღუაწე

³¹ როგორც ჩანს, აქ მთარგმნელს წინადადების მთავარი სიტყვა „κάματος“ გამორჩენია. ბერძნულ ტექსტში ვკითხულობთ: „Τότε ἐνοικεῖ ἐν αὐτῇ τὸ πνεῦμα τοῦ Θεοῦ, καὶ πᾶς ὁ κάματος μεταβληθήσεται εἰς χάριον καὶ ἀγαλλίασιν“ – მაშინ მასში დაიმკვიდრებს ღმრთის სული და ყოველი მომქანცველი შრომა სიხარულითა და შვებით შეეცვლება (ი. ც.).

ექმნენ კაცთა და ჰკურნებდენ მათსა მას უძლურებასა, რამეთუ მკურნალნი იყვნეს სულთანნი და შემძლებელ იყვნეს კურნებად მათისა მის უძლურებისა“ [Sin 35: 47r].

განმარტოებულ ასკეტს უყვარს ადგილი, სადაც საკუთარი თავი შეიცნო და ღმრთის მაღლი მოიპოვა, ამიტომ არ სურს მისი დატოვება და შფოთითა და მიწიერი საზრუნავებით სავსე ერში დაბრუნება: „ღმრთისა გამოვლინებულთა მათ წმიდათა განყენებად დ[ა]ყუდებისაგან არა ჰნებავენ, იციედ, რამეთუ მისგა[ნ] მოიგნეს სათნოებანი“ [Sin 35: 47r]. „ანტონი დიდის ცხოვრებაში“ ნათქვამია: „დაღათუ იგინი ღმრთისათვს დაფარულად იქმედ და დავიწყებად უნებნ, არამედ ღმერთმან იგინი, ვითარცა სანთელნი, უჩუენნის ყოველთა, რადთა ესრფთ, რომელთა ესმეს, იცოდინან შემძლებელ ყოფად მცნებანი ღმრთისანი და წარსამატებელად და საბამველად სათნოებისა მის გზისა მოღებისათვს“ [იმნაიშვილი 1970: 82-83].

სხვა ადგილას ანტონი დიდი განმარტავს, თუ რატომ გაურბიან მოსაგრეები ხალხმრავლობას: „ვითარცა თევზთაღა დაყოვნინან ჰმელსა ქუეყანასა და მოსწყდიან, ეგრეცა მონაზონთა თუ დაყოვნონ თქუენ თანა, და თუ თქუენ შორის იქცეოდინან, დაჰსნდენ. ჯერ-არს, ვითარცა თევზთაღ ზღუასა შინა, ეგრეცა ჩუენი მათთა გარე ყოფად, ნუუკუე დაყოვნოთ და დაგუავიწყდეს შინაგანი“ [იმნაიშვილი 1970: 73]. ამის გამო მრავალი მოღვაწე გაურბოდა არათუ ეპისკოპოსობასა და ყოველგვარ სამღვდელო ხარისხს, არამედ ადამიანებსაც კი, გავიხსენოთ მარიამ მეგვიპტელის ცხოვრება, როგორ გაურბის იგი ზოსიმეს. როგორც გვახსოვს, ამონამ ამის გამო ყურიც კი მოიკვეთა, მაგრამ საჭირო დროს ისინი მაინც თავს იღებდნენ ამ საპასუხისმგებლო საქმეს. სხვათათვის შემწეობის გაწევას მათ სიყვარული და ღმრთის მორჩილება აიძულებდათ: „ხოლო რადთა არა ურჩ ექმნენ შემოქმედსა და მ[ო]ვიდიან სხუათა აღშეწნების[ა]თვს“ [Sin 35: 47r]. ღმერთი კი ამგვარი ღვაწლისთვის მხოლოდ განწმენდილებს მოუწოდებს, რადგან ისინი პირადად განასახიერებენ ჭეშმარიტ ქრისტიანს და მაგალითს წარმოადგენენ სხვებისთვის: „ხოლო მოავლინნის მაშინ, ოდესცა ყოველი უძლურებად მათი განკურნებულ არნ, რამეთუ შეუძლებელ არს, ვითარმცა ღმერთმან მოავლინნა კაცთა აღსაშეწნებელად და აქუნდამცა რამე უძლურებად“ [Sin 35: 46r]. ამის ნათელი მაგალითია წმ. მაქსიმე აღმსარებელი, რომელმაც სხვა მამებივით შეიყვარა დაყუდება და „წადიერ იყო მარტოდ-ყოფასა“ [მრავალთავი 2015: 77A]. არ სურდა არც მყუდრო

სენაკიდან გასვლა და არც მასთან მისულთა შეწყნარება, მაგრამ მალე ღმრთის ანგელოზი ეჩვენა და უთხრა: „მაქსიმე, მონაო ღმრთისაო, რადასათვს შეწყუდეულ ხარ ამას უდაბნოსა და შენსა ხოლო სულსა აცხოვნებ და სოფელი ყოველი იდელების ბოროტითა წვალებითა. ბრძანებითა ღმრთისადათა აღდეგ და შევედ ქალაქად ჰრომედ“ [მრავალთავი 2015: 77B]. ამ მკურნალთაგან განსხვავებით, არიან ისეთებიც, რომლებიც თითქოსდა მოყვასის სიყვარულის გამო, სინამდვილეში კი პატივმოყვარეობით აღძრულნი, ვნებათაგან განმწმენდელი ფიცხელი ღვაწლის თავსდების გარეშე „მხსნელად“ მოევლინებიან ადამიანებს. მათ შესახებ ამონა ამბობს: „რომელნი მოვლენედ პირველ სრულ[ლ]ყოფისა, თვისითა ნებითა მ[ო]ვიდიან და არა ღმრთისადათა, რამეთუ ღმერთი იტყვს ეგე ვითართათვ[ს]: „მე არა წარვაგლინებ და იგინი რბიოდეს“. ამისთვის ვერცა თავნი თვისნი დაიმარხნიან ცოცხლად და ვერც[ა] სხუად სული აღაშეწნიან“ [Sin 35: 47v].

ამ სიტყვებით ამონა თავის სამწყსოს შეუორგულებლობის და ნების მოკვეთისკენ მოუწოდებს. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი ვერ სძლევენ ვნებისმიერ გულისწადილს და შესაბამისად, ვერც ღმრთის განმაცხოველებელ მადლს მიიღებენ: „რომელთა დაუტევებიეს დაყუდებისა ძალი, ვერ კელეწიფე(ბი)ს, ვითარმცა წარიმართეს და სძლეს ნებასა თვისსა, ვერცა წინა აღუდგენ განწყობილსა მათა მიმართ ბრძოლასა“ [Sin 35: 47v], რადგან ღმრთის ძალი არ მკვიდრობს საკუთარ ნებას დამორჩილებულ და გულისთქმებს აყოლილ ადამიანში.

2.2. სწავლება „მადლის მომუშავეების შესახებ“ (ტერმინების: „ισχυρ“ და „δυναμις“ განსხვავება)

პირველ ეპისტოლეს, რომელსაც ქართულად სათაური არ აქვს, ბერძნული ტექსტი განსაზღვრავს როგორც სწავლებას: „მადლის მომუშავეების შესახებ“ – „Τὸν αὐτοῦ: πᾶρι ყεαργιάς τῆς χύριτος“. აქ წმ. ამონა სულიერი ძალის ანუ საღმრთო მადლისა და მისი მოპოვებისათვის აუცილებელ ძალისხმევაზე საუბრობს. ქართულ თარგმანში მორწმუნის სულიერი შრომა და შედეგად ღმრთისგან მასზე გარდმოვლენილი წყალობა, და მცველი ძალა, ერთი სიტყვითაა გადმოცემული – „ძალი“. მაგრამ თუ შინაარსს დავაკვირდებით, დავინახავთ, რომ აქ ორგვარ ძალაზეა საუბარი. შედარებით სხვა ვითარება გვაქვს

ბერძნულში. აქ ეს ორგვარი „ძალი“ ტერმინოლოგიურად სხვაობს, მაგრამ მათი მნიშვნელობა ერთმანეთისგან მკვეთრად არ არის გამოიჯნული.

მოღვაწის მხრიდან აუცილებელ შრომაზე ქართულ თარგმანში აღნიშნულია: „უკუეთუ ვინმე შეიყუაროს უფალი ყოვლითა გულითა და ყოვლითა სულითა და ყოვლითა ძალითა თვისითა, შეეყოს შიშსა მისსა. შიშმან უშვის ტირილი და ტირილმან უშვის მას სიხარული და სიხარულმან უშვის მას ძალი და მის გამო სული იგი ყოველსა შინა ნაყოფიერ იქმნის“ [Sin. 35: 43v]. როგორც ვხედავთ, თხრობა იწყება სახარების ალუზიით, რომელიც ბერძნულად ასე ჩაიწერება: „Καὶ ἀγαπήσεις Κύριον τὸν Θεόν σου ἐξ ὅλης τῆς καρδίας σου καὶ ἐξ ὅλης τῆς ψυχῆς σου καὶ ἐξ ὅλης τῆς διανοίας σου καὶ ἐξ ὅλης τῆς ἰσχύος σου“ (მარკ. 12,30). ეპისტოლეს ბერძნულ ტექსტში ეს მონაკვეთი, კერძოდ კი, „ყოვლითა ძალითა შენითა“ შეცდომითაა თარგმნილი: „Πάσῃ δυνάμει“. რამდენადაც სახარების ეს მონაკვეთი სწორედ ადამიანისგან გამოვლენილ ძალისხმევაზე მიუთითებს, რომელიც გამოხატავს მის ნებას, რომ ნამდვილად სურს ღმრთის მსახურება. აქ უნდა იყოს გამოყენებული სიტყვა „ἰσχύς“ – ძლიერება, სიმრთელე („γίγας οὐ σαθήσεται ἐν πλήθει ἰσχύος αὐτοῦ – „გმირი არა განერეს სიმრავლითა ძალისა მისისადათა“ (ფს. 32,16)) [კვირიკაშვილი 2005: 163], და არა „δύναμις“, რომელსაც ანტიკურ ფილოსოფიაში მრავალი გაგება აქვს, აღნიშნავს პოტენციურ ძალას, რომელიც ადამიანში გამოვლინდება და რომელმაც სახარებასა და ქრისტიანულ ლიტერატურაში საღმრთო ძალის („Ἐψάθητι, Κύριε, ἐν τῇ δυνάμει σου“ – „აღმაღლდი, უფალო, ძალითა შენითა“ (ფს. 20,14)), ან უკეთ რომ ვთქვათ, მაღლის მნიშვნელობა შეიძინა [კვირიკაშვილი 2003: 411]. მოგვიანებით, როცა უკვე ღმრთისგან ჯილდოდ მონიჭებულ ამ დამცველ ძალაზეა საუბარი, მოსალოდნელი „δύναμις“, ჩანაცვლებულია სიტყვით „ἰσχύς“. ამის შემდგომ მთელ სწავლებაში ეს აღრევა აღარ გვხვდება და „δύναμις“ კონტექსტში სწორად გამოიყენება. მაღლის ეს სახეები სათაურის სიტყვა „χάρις“-შია ნაგულისხმები, ძალისხმევის, ანუ მომუშავეების ყველა ფორმა კი „ἡ γεαργία“-ში მოიაზრება.

წმ. ამონას თქმით, როცა ადამიანი მთელი გულით, სულითა და ძალით შეიყვარებს ღმერთს, სანაცვლოდ მაღლს (δύναμις) მიიღებს, რომლის მეშვეობითაც „სული იგი ყოველსა შინა ნაყოფიერ იქმნის“ [Sin. 35: 43v]. მას შემდეგ, რაც ღმერთი იხილავს კეთილ ნაყოფს, შეიწყნარებს და ანგელოზებთან ერთად გაიხარებს, მოღვაწეს მიანიჭებს მცველს,

რომელიც „ადგილსა მას განსასუენებელისასა“ მიუძღვის და ეშმაკს განაგდებს: „რამეთუ რაჟამს იხილის ეშმაკმან მცველი იგი, ესე იგი არს გარემოდგომილი იგი ძალი (δύναμις) სულსა მას, ივლტინ კაცისა მისგან და ვერ იკადრის მიახლებად მისა, ეშინინ გარემოდგომილისა მის ძალისა“ [Sin. 35: 43v]. როგორც ვხედავთ, აქ საუბარია ღმრთისგან ადამიანზე გარდამოვლენილი მადლის სხვადასხვა საზომზე. თავდაპირველად ეს მადლი მოშურნეს ეხმარება, გაიხაროს და სათნოების მრავალი ნაყოფი გამოიღოს, შემდეგ კი ღმერთი სხვა საზომით ანიჭებს მადლს, რომელიც იცავს ადამიანს და ეშმაკთა საცდურისგან განარიდებს. აი, ამ მადლის მოპოვებისკენ მოუწოდებს მოწაფეებს ამონა: „რადთა განჰბრძნდეთ ყოველსა შინ[ა] საქმეთა და სიტყუათა თქუენთა და სიტკობება იგი მადლისაჲ მის მოიწიოს თქუენ ზედა და აღაორძინოს ნაყოფი თქუენი“ [Sin. 35: 43v]. ავტორი იქვე დასძენს, რომ ამ მადლის მოპოვება მონაზონთა მცირე ნაწილმა შეძლო („იშუითთა და ადგილდ-ადგილდ“), რადგან „არცაღა ქმნეს საქმჳ იგი ძალისაჲ მის („ισχύς“), ამი[ს]თვისცა მათ ესე არა მისც[ა] უფალმან, რამეთუ ყოველთა, რომელნი იქმან საქმეთ[ა] მათ მისთა, მათ ხოლო მისცემს ღმერთი, რამეთუ არა აქუს თუალთლება“ [Sin. 35: 44r].

ავტორის თქმით, აღნიშნული მადლის მოპოვება აუცილებელია სხვა მიზეზის გამოც: „რამეთუ არიან ძალნი აერთა ზედა³², რომელნი აყენებენ კაცთა და არა ჰნებავს აღსლვად მათი ღმრთისა“ [Sin. 35: 44r]. სიცოცხლეში მოღვაწეობით მოპოვებული ეს მადლი ადამიანს ცეცხლის სახით გარს აკრავს და გარდაცვალების შემდეგაც იცავს ბოროტი ძალებისგან „რამეთუ მართალთა აქუს ესე ძალი საღმრთოდ მათ თანა და ვერვის ჰელეწიფების მათა დაბრკოლებად“ [Sin. 35: 44r]. ჰაერში არსებული ამ ბოროტი ძალების შესახებ „წმ. ანტონი დიდის ცხოვრებიდანაც“ ვიგებთ: „და იხილნა ვინმე მწარენი და ფიცხელნი ჰაერთა ზე, რომელთა უნდა დაბრკოლებად მისი, რადთამცა არა გარე-წარჰკდა მათ“ [იმნაიშვილი 1970: 52].

რაც შეეხება ღმრთის სათნო საქმეებს, რომლებიც მადლის მოსახვეჭადაა აუცილებელი, ამონა ამის შესახებ წერს: „ხოლო საქმენი მისნი ესე არიან, ვიდრემდის დაიმკვდროს ძალმან კაცისა თანა“: 1. „რადთა შეურაცხყოს კაცმან ყოველი შეურაცხება

³² Εἰσὶ γὰρ ἐνέργεια ἐν τῷ ἁέρι. ამ შემთხვევაში „ძალი“ არა სიტყვებით δύναμις ან ἰσχύς, არამედ ἐνέργεια-ით არის გამოხატული.

კაცთა და ყოველი პატივი მათი“; 2. „მოიძულოს ყოველი საჯმარი ამის სოფლისაჲ, რომელი, რეცა პატიოსნად საგონებელ იყოს“; 3. „მოიძულოს ყოველი განსუენებაჲ ჯორცთაჲ“; 4. „განიწმიდოს გონებაჲ თჳსი ყოვლისაგან გულის-სიტყჳსა მწიკულებანისა და ყოვლისაგან ამოდსა ზრახვისა ამის სოფლისა“; 5. „რადთა ითხოვდეს მარხვითა და ცრემლითა ღამეჲ და დღეჲ“ [Sin. 35: 44r].

წმ. ამონასთან სწავლება საღმრთო მადლის შესახებ (ή δὲναμὶς ἢ Θείκη) ერთ-ერთი ძირითადი საკითხია. მეორე ეპისტოლეში, რომელიც კაცთმოთნეობასა და ცუდმედიდობას შეეხება³³, ის ამბობს, რომ მადლი კაცთმოთნე ადამიანთან არ დაიმკვიდრებს: „ძალმან საღმრთომან არა დაიმკვიდრის მათ შორის, რამეთუ დასნეულებულ არიედ ყოველთა შინა საქმეთა მათთა, რომელსა ჳელი შეყვიან“ [Sin. 35: 44v]. ასეთი ადამიანები ყოველგვარ კეთილ საქმეს მხოლოდ და მხოლოდ სხვათა დასანახად, მათგან განსადიდებლად აღასრულებენ და არა ღმრთის სათნოყოფისთვის: „ამის გამოცა ძალი იგი არა მოსცა მათ, არამედ დაუტევნა იგინი ცუდნი, რამეთუ არა კეთილად ჰოა ნაყოფი მათი და დააკლო მათ ეგოდენი იგი სიტკბოებაჲ მადლისაჲ მის“ [Sin. 35: 44v]. ეს არის სწორედ ის განმაცხოველებელი ძალა, რომელსაც ძალუმს, ცოდვის გამო სულში წარმოშობილი „სიცივე“ აღმოფხვრას და ადამიანი კვლავ ღმრთისკენ მიმართოს: „სიცივეჲ იგი სულისაჲ თჳსითა ძალითა მჯურვალეებაჲ გარდააქცის“ [Sin. 35: 45r].

2.3. სწავლება სინანულის სულის შესახებ („სული სინანულისაჲ ყოველთა უწესს“)

წმ. ამონა ერთმანეთისაგან განარჩევს სულიწმინდის მადლის გამოვლინების სახეებს. მოწაფეებს სთხოვს, თუკი შეამჩნევენ, რომ შრომის, ლოცვის, მარხვის სურვილი უნელდებათ და მოწყენილობა ეუფლებათ, „ღამეჲ, დღეჲ ითხოვდით ყოვლითა გულითა სულსა მას ცეცხლისასა და მოგცეს თქუენ, რამეთუ ესევე იყო ელიამს თანა თეზბელისა და ელისეჴს თანა და სხუათა მათ თანა წინასწარმეტყუელთა. იხილეთ, ნუ[უ]კუე

³³ Τοῦ ἐν ἄγιοις πατρὸς ἡμῶν Ἰββᾶ Ἀμμωνὰ λόγος περὶ ἀνθρωποπαρεσκειᾶς, καὶ κενοδοξίας – ჩვენი წმიდა მამის, აბბა ამონას სიტყვა კაცთმოთნეობისა და ცუდმედიდობის შესახებ (ი. ც.).

შეგიჯდეს გულისსიტყუა ორგულებსა და გულთა თქუნთა“ [Sin. 35: 50v]. ქრისტიანის და მით უფრო განდევნილობის არაფერია ნელთბილობაზე უფრო დამღუპველი. იოვანეს გამოცხადებაში ვკითხულობთ მაცხოვრის სიტყვებს: „არამედ ესრეთ ნელ-ტფილი ხარ და არცა გრილი, არცა ტფილი. მეგულების აღმოგდება შენი პირისაგან ჩემისა“ (გამოც. 3.16). ამის შესახებ წმ. ამონა მონაზვნებს აფრთხილებს: „**არა რა არს მისა უსულმცირეჲს, უკუეთუ იხილოთ, ვითარმედ განდგა და დაგიტევნა თქუნ საღმრთო მან მჭურვალე ბამან**“ [Sin. 35: 51v]. და სულიერი მჭურვალეებისა და დაუცხრომელი მოღვაწეობის საჭიროებას განუმარტავს, მოჰყავს სახარებიდან მაცხოვრის სიტყვები: „**ცეცხლისა მოვედ მიფენად ქუეყანასა ზედა და რა მნებავს, რა მათა აწვე აღეგზნეს**“ (შდრ. ლუკ. 10,49) და იქვე დასძენს: „იგივე სიტყუა არს, რამეთუ რომელნი შეუდგეს კუალსა მისსა, **დაემკვდრა მათ შორის ცეცხლი იგი ღმრთე[ე]ბისა. მაშინ პოვის მარგალიტი იგი სულისა და მოიკუდივნეს ყოველნი იგი ნებანი ჯორციელად**“ [Sin. 35: 61v]. მიუხედავად ამისა, მიიჩნევს, რომ ეს ისეთი საკითხია, რომლის სრულყოფილად გადმოცემა წერილობითი ფორმით შეუძლებელია და ყოველ მათგანთან აუცილებლად უშუალოდ საუბარს საჭიროებს. ამიტომ მათთან ადრე მისვლას იმედოვნებს: „**ოდეს მოვიდე, უსრულეჲსადრე გითხრა თქუნ სულისა მისგან ცეცხლისა და ვითარ იგი ღირს მისი მოგება და გაუწყო თქუნ ყოველივე იგი მისი სიმდიდრეჲ, რომლისათვის ვერ ძალმიც აწ ქარტასა რწმუნებად**“ [Sin. 35: 56v].

სხვა ადგილას ავტორი მშვიდობის სულის, როგორც მაცხოვრის მიერ კაცობრიობისთვის მონიჭებული უდიდესი წყალობის შესახებ საუბრობს. იოვანეს სახარებაში ვკითხულობთ მაცხოვრის სიტყვებს: „**მშდობასა დაგიტევებ თქუნ, მშდობასა ჩემსა მიგცემ თქუნ; არა ვითარ სოფელმან მისცის, მიგცემ თქუნ. ნუ შეპრწუნდებიან გულნი თქუნნი, ნუცა ემინინ**“ (იოან. 14, 27). აბა ამონაც სიმშვიდის სულის მოპოვებისკენ მოუწოდებს მონაზვნებს, რადგან მხოლოდ მშვიდ ადამიანში აღორძინდება კეთილი ნაყოფები, მაგრამ ეს სული ყველასთან არ მკვიდრობს, არამედ მხოლოდ განწმენდილსა და სიძულვილისაგან თავისუფალ მოღვაწეებში. მაცხოვარმა მოციქულებს მხოლოდ განწმენდის შემდეგ უბოძა მადლი. წმ. ამონა ამგვარად ახასიათებს მას: „**გიკითხავ თქუნ სულითა მით ყუდროებისა მათა, რომელ არს მშდობისა, რომელი სულნელებას სცემს სულსა მართალთასა, რამეთუ იგი სული არცა**

ერთსა სულსა ზედა მიიწევს, გარნა რომელთა განიწმიდნეს თავნი მათნი სრულიად სიძულილისაგან მათისა, რამეთუ წმიდაა არს და ვერ შევალს არა წმიდასა სულსა“ [Sin. 35: 61r]. ამონას თქმით, ეს არის „სული მშვიდობისა და ჭეშმარიტებისა“, რომელიც ღმერთმა მოციქულებს აღუთქვა, მაგრამ იგივე სულია, რომელიც „აბელისითგან ვიდრე დღე[ი]ნ-დღელად დღედმდე მისცემს თავსა თვს[ს]ა მართალთა სულთა, რომელთა სრულიად განიწმიდნეს თავნი თვსნი“ [Sin. 35: 49r].. ეპისტოლეთა დასასრულს ხშირად გვხვდება მოკითხვის ასეთი ფორმები: „განძლიერდით, საყუარელნო, **სულითა მით მშვიდობისადათ!**“³⁴

მე-11 ეპისტოლეში მნიშვნელოვანი ადგილი „**სინანულის სულის**“ შესახებ თხრობას უკავია. ზემოთ ნახსენებ სულიწმინდის მადლთაგან განსხვავებით, რომელთა მოსაპოვებლად მორწმუნეს ძალისხმევა და განწმენდა სჭირდება, სინანულის სული თავისი ბუნებით ყოველ ადამიანს სიწმინდით ცხოვრებისკენ მოუწოდებს: „**სული იგი სინანულისაა ყოველთა უწესს და განსწმედს არაწმიდებისაგან მათისა და რაჟამს განწმიდნეს იგინი სრულიად, მისცნეს იგინი სულსა წმიდასა მიფენად მათ ზედა სულნელებისა**“ [Sin. 35: 51r]. მიუხედავად ამისა, არიან ისეთებიც, რომელთაც არც სინანულის სული მოიხილავს, რადგან არ სურთ საკუთარ თავში ბიწის დანახვა.

წმ. ანტონი დიდის პირველ ეპისტოლეში ვრცელი და საინტერესო მსჯელობაა წარმოდგენილი სინანულის სულის შესახებ, თუ როგორ მიუძღვის და განსწავლის იგი ადამიანს. მორწმუნე ჯერ გამოიცდება, ნამდვილად სურს ამ გზაზე სვლა და მონანიება, თუ არა. ამის შემდეგ „**წინამძღუარმან სულთამან იწყის ახილვად თუალთა სულისა მათისათა, რადთა მოსცეს მათ თვსი სინანული, რადთა წმიდა-ჰყოს**“ [ეპისტოლეები 2008: 2, 26.] თუკი ადამიანი გადაწყვეტს, თავი ღმერთს მიუძღვნას, იღებს სინანულის სულს, რომელიც: „**უწამებნ მას თითოეულთა მათ სნეულებათა, რადთა შეინანოს მათთვს**“. [ეპისტოლეები 2008: 7, 7] ცხადია, ასეთ ადამიანს ბოროტ სულთაგან უამრავი წინააღმდეგობის დაძლევა უწევს, მაგრამ თუ არ მიიდრიკება სინდისის განმსწავლელი ხმისაგან და სრულიად მოიკვეთს ხორციელ ვნებებს, ღმერთი ამ ღვაწლისთვის აუცილებლად მოხედავს მას და შეეწევა. [ეპისტოლეები 2008: 8-9]. განმწმენდელი გზის გავლის შემდეგ ადამიანის სული და გონება „**განჩინებასა მოსცემნ ჯორცთა მათ,**

³⁴ Ἐρίπασθε ἐν Κυρίῳ, ἀγαπίτοι, ἐν πνεύματι τῆς πρώτης [P.O. 134]

ნაყოფითა აღრეულისა მისგან ყოველთა თანა ჯორცისა ბუნებათა, ვინაძთგან იგი რჩულისა გარდასლვად იქმნა“³⁵ [ეპისტოლეები 2008: 2, 14]. მხოლოდ რჯულის დარღვევამ გააუცხოვა ერთმანეთისგან ადამიანის ხორცი, სული, საგრძნობელნი, გონება, დაარღვია ჰარმონია და ერთმანეთის მტრებად აქცია ისინი. სინანულითა და მოღვაწეობით „ჯორცნი იგი იქმნიან კელმწიფებასა ქუეშე გონებისასა, და ისწავებინ იგი სულისა მისგან, მსგავსად სიტყვსა მის პავლე მოციქულისა: „აღვიკრძალავ ჯორცთა ჩემთა და დავიმონებ“ [ეპისტოლეები 2008: 2, 17]. ამგვარად უბრუნდება ადამიანი თავდაპირველ, ცოდვით შეურყვნელ მდგომარეობას.³⁶

სინანულისა და ჭეშმარიტების სულს აბზა ამონა ერთმანეთისაგან მხატვრული ხერხის გამოყენებით განასხვავებს: „სული იგი ჭეშმარიტებისაჲ ნათესავად-ნათესავად ძნად დაიმკვდრებს იშუითთა ხოლო სულთა, ვითარცა იგი მარგალიტი არა ყოველთა შინა სახლთა იპოვების, არამედ ძნად თუ სადამე სამეუფოთა შინა ტაძართა“ [Sin. 35: 49r]. ვინც ღირსი გახდება ჭეშმარიტების სულის მიღებისა, მისთვის ღამე დღესავით განათლდება³⁷ და ღმრთისგან მრავალი საიდუმლო განეცხადება.

2.4. კეთილისა და ბოროტის გარჩევის მადლის შესახებ ანუ „სული განკითხვისაჲ“

რჯულის დარღვევისა და ცოდვით დაცემის შედეგად დაზიანებულ ადამიანს თავისთავად, განწმენდისა და ღმრთის მადლის შეწევნის გარეშე არ ძალუძს ერთმანეთისგან განარჩიოს საკუთარ გონებასა და გულში შემოსული აზრები და ემოციები, სახელდობრ, რომელია მათგან ღმრთისმიერი, კეთილი და რომელი – ბოროტისმიერი. შესაბამისად, ქრისტიანულ ღმრთისმეტყველებაში ერთ-ერთ მთავარ

³⁵ ზუსტად ამგვარ ფრაზას, მაგრამ განსხვავებულ კონტექსტში წმ. ამონას მე-3 ეპისტოლეშიც ვხვდებით: „ვინაძთგან რჩულისა გარდასლვად იქმნა, ვერ ძალუც სულსა მას, რომელი რჩულსა გარდასრულ არს, ვითარმცა ადვილად იცნა ღმერთი, უკუეთუ არა განაშოროს თავი თვისი კაცთაგან და ყოვლისა ამისგან ზრახვისა“ [Sin. 35: 46r].

³⁶ ცოდვათაგან განწმენდისა და განღმრთობის შესახებ საინტერესო სწავლებას გვაძლევს ანტონი დიდი: „დაუმარხნეთ უფალსა სულნი ჩუენნი, რადთა მან თავადმან იცნას ქმნული თვისი ეგრწით გებულად სული, ვითარცა შექმნა მან“ [იმნაიშვილი 1970: 31].

³⁷ შდრ. მთ. 4, 16.

საკითხს სწორედ ნამდვილის, კეთილისა და ეშმაკის ნატყუარის, ანუ ბოროტის გარჩევა წარმოადგენს. მორწმუნე ადამიანი მუდმივად უნდა ცდილობდეს, იყოს სულიერად ფხიზელ მდგომარეობაში, გონების თვალი **თანაცნობისადმი**³⁸ ჰქონდეს მიპყრობილი და გულში მხოლოდ სულიწმინდისეულ საუნჯეს შემოიკრებდეს, მსგავსად სოლომონ ბრძენის პირით თანქვამი ღმრთის სიტყვებისა: „შვილო, **თქუმულთა ჩემთა ეკრძალე, და სიტყუათა ჩემთა მოეც გონებაჲ შენი**, რათა არა მოგაკლდენ შენ წყარონი ცხორებისანი. დაიმარხენ იგინი გულსა შენსა, რამეთუ ცხორებაჲ არს, რომელთა პოონ იგი, და ყოველთა ჯორცთა მათთა ლხინებაჲ. და ყოველი საცოჲ დაიმარხე გულსა შინა, რომლისაგან არიან გამოსავალნი ცხორებისანი“ [იგავ. 4, 20-23]. ანტონი დიდი მე-4 ეპისტოლეში ღმრთისაგან ითხოვს, რომ მის სულიერ შვილებს მიმადლოს „**გული მეცნიერებისაჲ და სული განკითხვისაჲ**“ [ეპისტოლეები 2008: 4, 5]. მის ცხოვრებაში კი ვხვდებით სწავლებას, რომლის მიხედვითაც მოღვაწეობის დასაწყისში დაუცხრომელი ვედრებაა საჭირო, რათა ღმერთმა მოგვანიჭოს მაღლი „**განკითხვად სულთა**“, რათა შევძლოთ, ერთმანეთისგან გავარჩიოთ, რომელი საქმეა კეთილი და რომელშია შერეული ეშმაკის მზაკვრობა. ამ აზრს იზიარებს წმ. გრიგოლ ნოსელი და გვასწავლის, რომ მოღვაწე უნდა განემოროს სოფელსა და ყველა მის საქმეს, „რადთა არა შეექცეს ესევეითართა მათ მიერ საცთურთა და ცთომითა ჯორციელთა საცნობელთაჲთა შერევნაჲ და ცთომაჲ ქმნას განყოფასა შინა ჭემმარიტისა კეთილისასა ცრუდსა მის და მტყუვარისა კეთილისაგან“ [ნოსელი 2011: 138]. ყოველდღიური საზრუნავებითა და ვნებებით შებორკილ ადამიანს არ ძალუძს „დაყუდება გონებისაჲ“, რის გამოც გამუდმებული შფოთი, გონებასა და გულში ცოდვების შედეგად წარმოქმნილი „ხმაური“ ხელს უშლის ერთმანეთისგან განასხვავოს ჭემმარიტად კეთილი და ნატყუარი, ანუ სიკეთის სახელს ამოფარებული სიცრუე.

რწმენის ნაკლებობა და სინდისის ხმის უგულვებელყოფა ადამიანს ძალასა და უნარს აცლის საიმისოდ, რომ გაარჩიოს რა არის მისი სულისთვის მაცხოვრებელი და რა დამღუპველი. ასეთს ეშმაკი ყალბი სიკეთეებითა და ღირებულებებით ეთამაშება და

³⁸ ამონა მონაზონი მე-13 ეპისტოლეში ამ ტერმინს რამდენჯერმე იყენებს, როგორც განყოფილად: „შენ **თანაცნობაჲ** იგი ზრახვიდეს“ (თუმცა, სავარაუდოდ, აქაც უნდა ყოფილიყო: „შენ თანა თანაცნობაჲ იგი ზრახვიდეს), ასევე ერთ სიტყვად: „ნუმცა ვსცემთ დაბრკოლებასა **თანაცნობასა** ჩუენსა“, ან „**დაემორჩილნეს წმიდასა მას თანაცნობასა მათსა საღმრთოსა**, ვიდრემდის დაიმკვდრონ სასუფეველი საუკუნოდ“. ვფიქრობთ, მთარგმნელს ამ სიტყვით უნდა გადმოჰქონდეს ბერძნული „Συνηδόν“ – გონება, გონების-[შორისი] იჭვი, ან „Συνηδόν“ – სწინდისი, გონება [კვირიკაშვილი 2007: 183-184]

გამუდმებით აქეთ იქით დაატარებს, ამიტომაცაა, რომ ისინი მუდმივად იცვლიან შეხედულებებს, არ გააჩნიათ მკაფიო ზნეობრივი პრინციპები, სულიერი ღირებულებები და ა.შ. კაცობრიობის მტერმა იცის, რომ ადამიანი ბუნებით მუდმივად სიკეთისკენ ისწრაფვის, ამიტომ თავის სიცრუეს სიკეთის საფარველქვეშ მალავს და ამით ატყუებს გონებადაბინდულ ადამიანს; აწვდის რა მუდმივად სხვადასხვა „კეთილ“ აზრს, ამგვარად ადამიანის შინაგან სამყაროში სრულ ქაოსს იწვევს და იმორჩილებს მას. ამ საკითხზე მსჯელობს წმ. იოვანე დამასკელი ხატთა დასაცავ მე-3 აპოლოგეტურ სიტყვაში. მისი თქმით, რადგან ეშმაკმა ღმერთად გახდომის სურვილი, ამპარტავნება იმთავითვე ჩათესა ადამიანის გულში, ამ გზით პირუტყვამდე დაამდაბლა და იმ დროიდან, „განუმტკიცებელთა გულების“ ჭეშმარიტებისგან მიდრეკას ცდილობს. კაცობრიობის ისტორიას თუ დავაკვირდებით, მან მრავალი დაარწმუნა, თაყვანი ეცათ მრავალი ღმერთისთვის, ან ციური სხეულებითვის, ან კიდევ ღმერთის სრულ უარყოფამდე მიიყვანა ესა თუ ის ადამიანი თუ ერი. წმ. იოვანე ამგვარი მიმოხილვის შემდეგ სვამს კითხვას: „ვინ არ იცის, ვისაც კი ღმრთეებრივი ცოდნა და სულიერი ჭვრეტა აქვს, რომ ეს ეშმაკისგანაა შთაგონებული?“ [დამასკელი 2013: 199].

სწორედ ამ ღმრთეებრივი ცოდნისა და სულიერი ჭვრეტის ანუ „განკითხვის სულის“ მოპოვებისათვის შრომისკენ მოუწოდებს წმ. ამონა მე-4 ეპისტოლეში საკუთარ სამწყსოს. ის, როგორც სულიერი მამა, ლოცულობს, რათა ღმერთმა სულიერ შვილებს მიანიჭოს „განკითხვად და ახილვად, რადთა ისწაოთ გამორჩევად თითოეულებად იგი ბოროტისად და კეთილისად ყოველსა შინა, რამეთუ წერილ არს: „სრულთად არს მტკიცეც იგი საზრდელი, რომელთა იგი სახითა გონებანი წრთუილნი ჰქონედ გამორჩევად კეთილისა და ბოროტისა“ [Sin. 35: 47r]. მეუდაბნოე მამა ასწავლის მათ, რომ ეშმაკი რეალური სახით კი არ მიდის ადამიანთან, არამედ ყოველთვის ცდილობს, სისუსტე უპოვოს, მოატყუოს და ამგვარად მოიპოვოს მასზე ძალაუფლება, ამიტომაც სიკეთის სახელით აკეთებინებს სასურველ საქმეს: „შეიპყრობვის კაცი კეთილისა მიზეზითა და მრავალნი ესრეწთ სცთებიან, რამეთუ არა მო[უ]ღებიეს ღმრთისაგან ესე ახილვად“ [Sin. 35: 48r]. საინტერესოა, რომ ზუსტად ამ აზრის შემცველ სიტყვებს ვკითხულობთ წმ. ათანასეს მიერ ამონასადმი მიწერილ წერილშიც. მისი თქმით, მრავალფეროვანია ეშმაკის ხრიკები, რომელიც გამხრწნელი ფიქრების ჩათესვას სიწმინდით მცხოვრებთა გულებში

ცდილობს, მაგრამ ამას არა პირდაპირ, არამედ ტყუილითა და შეპარვით აკეთებს.³⁹ თხრობის დასასრულს, ამონა მონაზვნებს მოუწოდებს დღე და ღამე დაუღალავად, ცრემლით ითხოვდნენ „შინაგან მხედველსა მას მადლსა, რადთა მოიწიოს მათ ზედა რომელი აქამომდე არა მოწევნულ არს“. ასკეტის სწავლებით, შედეგი ამ მადლის მვედრებელზე დამკვიდრებისა შემდეგია: „უკუეთუ მოეცეს ესე მათ რომელსავე შინა საქმესა, არღარა დაშურებოდიან, არცაღა ეშინოდის მიერთგან რომელსავე ზედა შიშსა, არამედ მხიარულებად ღმრთისად იყოს მათ თანა ღამეც და დღეც და საქმეც ღმრთისად დასტკბნეს მათ ყოველსა შინა უფროდს თაფლისა გოლისა და ღმერთი იყოს მათ თანა და მოსცნეს მათ გამოცხადებანი, დიდ-დიდნი საიდუმლონი, რომელთათვის ვერ ძალ-მიც სიტყუად ენითა“ [Sin. 35: 48r].

2.5. ეგზეგეტიკის მაგალითები წმ. ამონა მონაზვნის ეპისტოლეებში

წმ. ამონა მონაზვნის ეპისტოლეებში არსებული ეგზეგეტიკური ხასიათის სწავლებანი რამდენიმე ნიშნითაა მნიშვნელოვანი. უწინარესად გასათვალისწინებელია, რომ ავტორს არ ჰქონდა სპეციალური განათლება, არ იცნობდა ეგზეგეტიკურ ლიტერატურას, შესაბამისად, წმიდა წერილიდან მოყვანილ ადგილებს საკუთარი და მის გარშემო დამკვიდრებული დიდი ასკეტების გამოცდილების გათვალისწინებითა და ღმრთის შთაგონებით განიხილავს. მის სწავლებებს მრავალწლიანი მოუღალავი მარხვა, ლოცვა, ვნებებთან ბრძოლა და მკაცრი ასკეზა უდევს საფუძვლად.

ზემოთ უკვე ვისაუბრეთ „სული ცეცხლისად“ შესახებ, რომელიც მოღვაწეობის რთულ გზაზე მორწმუნეს განამხნევებს და შეეწევა. წმ. ამონას თქმით, არის პერიოდი, როცა ადამიანს გული უმძიმებდება და ამჩნევს, რომ მოწყენილობა და მწუხარება ეუფლება. ამის მიზეზი როგორც ცოდვა, ასევე ღმრთისგან მოვლენილი განსაცდელი შეიძლება იყოს, რათა მორწმუნის გულმოდგინება და მოთმინება გამოსცადოს და კიდევ უფრო დიდი მადლი მიანიჭოს. მეუდაბნოე მამა გვასწავლის: „უკუეთუ იხილოთ, ვითარმედ განდგა და დაგიტევნა თქუენ საღმრთომან მან მჭურვალეზამან, კუალად

³⁹ იხ. ბმული: http://library.church.ge/index.php?option=com_content&view=article&id=226%3A2010-07-30-11-49-29&catid=34%3A2009-12-29-11-31-18&Itemid=59&lang=ka.

ეპიბდით და მოგიჯდეს თქუენ“ [Sin. 35: 45r]. გულმოდგინე ძიებასა და ლოცვას ღმერთი შეიწირავს და წყალობას მოიღებს, რის შედეგადაც კვლავ საღმრთო მადლით გათბება მვედრებელის გული: „ესრეთ მ[ე]ყსეულად განტფეს და განჯურდეს ღმრთისა მიერ“ [Sin. 35: 45r], ისევე, როგორც ეს დავით მეფსალმუნეს შეემთხვა: „დავითცა წინასწარმეტყუელმან, რაჟამს იხილა გული თვისი დამძიმ[ე]ბული, იტყოდა ესრეთ: „და ნუგეშინის-ვიეც სულსა ჩემსა, მოვიჯსენე დღეთაჲ მათ პირველთაჲ და ვზრახევდ ყოველთა შინა საქმეთა შენთა. განვიპყრენ შენდამი კელნი ჩემნი და სული ჩემი, ვითარცა ქუეყანაჲ წყურიელი არს შენდამი“ [Sin. 35: 46v. შდრ. ფს. 142, 5-6]. ამ სიტყვებით დავითმა ღმერთს მაშინ მიმართა, როცა საკუთარი გული დამძიმებული და გაციებულ იხილა. იგი არ დამცხრალა ღმრთისადმი ვედრებისგან, ვიდრე კვლავ არ იგრძნო საღმრთო მხურვალეობა და სისავსე. ამონა 142-ე ფსალმუნის ამ სიტყვებს სხვა ადგილასაც ახსენებს და დასძენს: „ოდეს ესე რქუა სულსა თვისსა და ამხილებდე მას დღეჲ და ღამეჲ და ყოველსა ჟამსა, მესყეულად მოიწიოს კაცისა მის ზედა ღმრთისა მიერი იგი მჯურვალეობაჲ და მეორეჲ იგი მჯურვალეობაჲ უმჯობეჲს არნ პირველისა მის“ [Sin. 35: 54r]. ამგვარად, ამონა მე-2 ეპისტოლეში მოწაფეებს ფსალმუნის სიტყვებსაც განუმარტავს და საკუთარ გამოცდილებასაც დავით მეფსალმუნის მიერ წარმოთქმული, ყველასთვის ნაცნობი სიტყვებით განამტკიცებს.

წმიდა მამა სამოციქულო ეკლესიაში არსებული უწყვეტი სულიერი ჯაჭვის შესახებაც საუბრობს. მაცხოვარმა ხელნი დაასხნა მოციქულებს, მოციქულებმა თავიანთ მოწაფეებს, სულიერი მამებისგან შვილებზე ხელდასხმის საიდუმლოება ეკლესიაში დღემდე უდიდესი მნიშვნელობის მქონეა, ეს არის ეკლესიის მთლიანობის ერთ-ერთი ნიშანი. მამათაგან შვილებზე მადლისა და კურთხევის გადაცემის ტრადიციას უფრო დიდი ისტორიაც აქვს. ძველ აღთქმაში მოთხრობილია როგორ ასხამდნენ ხელს მამამთავრები ხორციელ შვილებს, მემკვიდრეებს და ამგვარად გადასცემდნენ ღმრთის მადლს. ახალ აღთქმაში მამობის ეს მადლი უკვე სულიერ შვილებზე გადადის.

წმ. ამონა ძეთაგან მამათა კურთხევის მიღების რამდენიმე ფორმაზე მე-7 ეპისტოლეში საუბრობს. ერთია სულიერი მამის, როგორც თვალსაჩინო მაგალითის, მიბაძვა და მის მსგავსად სათნოებებში განმტკიცება: „გამოიძიეთ ღმერთი და მოზამავ იქმნენით მამისა თქუენისა და მრწამს, რამეთუ იგივე აღთქმანი მოიხუნეთ, რამეთუ შეერაცხენით მისა

ბეზად, რამეთუ ძეთა დაიმკვდრიან მამათა კურთხევად ამისთვის, რამეთუ მათსა შურსა ჰბადვიდეს“ [Sin. 35: 49r]. შემდეგ ამ სიტყვებს ძველი აღთქმიდან მოხმობილი მაგალითით განმარტავს, რომლის მიხედვით, იაკობს მამისგან მიღებული კურთხევის შემდეგ სულიერი თვალი აეხილება და ზეცად აღმავალ ანგელოზებს იხილავს: „ნეტარი იაკობ, რამეთუ მობაძავ იქმნა ყოვლითავე ღმრთისმოყუარებასა მამათასა, მამათა კურთხევად მოიწია მის ზედა და ვითარცა იკურთხა მამათაგან, მუნთქუესვე იხილნა კიბენი აღმართებულნი და ა(ნ)გელოზნი აღმავალნი და გარ(დ)მომავალნი“ [Sin. 35: 49r. შდრ. შეს. 28, 11-12]. იაკობის მსგავსად, როდესაც შვილები მამებისაგან იკურთხებიან, ღმრთისაგან წყალობასა და მადლს იღებენ და „იხილნიან საღმრთონი ძალნი“. ამონა იაკობის კურთხევის შესახებ მე-9 ეპისტოლეშიც აგრძელებს თხრობას. აქ წარმოაჩენს, რომ კურთხევისა და მადლის მიღების შემდეგ ღმერთი აუცილებლად კვლავ გამოსცდის ადამიანს. იაკობიც ამგვარად გამოიცადა: „იკურთხა იაკობ მამისაგან, მ[ე]ყსეულად განსაცდელი იგი ესავისი წარმოუდგა მას, რამეთუ ეშმაკმან აღძრა გული მისი იაკობის ზედა და უნდა, რადთამცა განრყუნა კურთხევად იგი მისი, [არამედ] ვერ ძალუც მართალთა მიმართ, რამეთუ წერილ არს: „არა დაუტეოს უფალმან კურთხი ცოდვილისად ნაწილსა ზედა მართალთასა“ [Sin. 35: 51r. შდრ. ფს. 124, 3]. იაკობსაც არ დაუკარგავს ეს მადლი და დღითი-დღე ამრავლებდა მშობლების მორჩილებით, ხოლო როცა თავადაც განმტკიცდა ღმრთის ნებისა და აღთქმათა აღსრულებაში, ღირსი გახდა წინაპართაგან მიღებული მადლი შვილებისთვის გადაეცა. ამონაც საკუთარ თავს ამ უწყვეტი ჯაჭვის ნაწილად მიიჩნევს: „და მეცა, მამად თქუენი, უკუეთუმცა წინაით ვერძდი სულიერად [მშ]ობელთა ჩემთა, არამცა [გა]მომიცხადა ღმერთმან ნებათ თ[კსი]“ [Sin. 35: 54r]. მისი განმარტებით, როდესაც ეს საღმრთო ძალი იხილა და მისით განმტკიცდა, პავლე მოციქულმა სწორედ მაშინ წარმოთქვა ეს სიტყვები: „ვინ განმამოროს მე სიყუარულსა მას ქრისტეჴსა: მახვლმან, ანუ სიყმილმან, ანუ შიშლო[ე]ბამან?! არამედ არცა ანგელოზთა, არცა მთავრობათა, არცა სიმაღლეთა, არცა სიღრმეთა, არცა სხუამან დაბადებულმან შემიდლოს მე განყენებად სიყუარულსა მას ქრისტეჴსა“ [Sin. 35: 49v. შდრ. რომ. 8, 35]. ამის შემდეგ ამონა მოწაფეებს მიმართავს: „დაუცადებელად ვითხოვდეთ ღამეჴ და დღეჴ, რადთა კურთხევანი მამათა ჩუენთანი და ჩემნი მოვიდენ თქუენდა და რადთა ანგელოზთა ძალნი დაემკვდრნენ თქუენ თანა“ [Sin. 35: 49v].

ამონა მამათა და შვილთა სულიერი კავშირის, მოძღვართაგან მოწაფეების განსწავლის სხვა მხარესაც წარმოაჩენს, საიდანაც ვიგებთ, რატომ ახსენებს ასე ხშირად, რომ წერილით არ ძალუძს ჯეროვნად გადასცეს ცოდნა და რატომ სურს ასე ძალიან მოწაფეებთან მისვლა და პიროვნული ურთიერთობა.

პავლე მოციქულის ერთ-ერთი სულიერი შვილი ტიმოთე იყო. გარდა იმისა, რომ მოციქული მასაც წერდა ღრმად სულიერ ეპისტოლეებს და ამგვარად განსწავლიდა, ამასაც წერდა: „მნებავს მისლვად თქუენდა, რამეთუ მი-რად-მიგცე მე თქუენ მიცემად მაღლი სულიერი დასამტკიცებელად თქუენდა“ (2 ტიმ. 1, 3-5). ამონას ეპისტოლეებში ვკითხულობთ: „დაღათუ სწავლულ ხართ თქუენ სულისა წმიდისა მიერ, არამედ უკუეთუ მოვიდე თქუენდა, ფრიად განგამტკიცნე თქუენ სულისა წმიდისა მოძღურებითა და გამოგიცხადოთ სხუადცა, რომელი წიგნსა ამას ვერ ძალმიც დაწერად“ [Sin. 35: 48v]. სხვა ადგილასაც მსგავსადვე ამბობს: „ვითხოვ ღმრთისაგან, რადთა რომელი მომცა მამასა თქუენსა, მოგცეს თქუენცა და ვილოცავ, რადთა მოვიდე თქუენდა, რადთა სხუანიცა მიგცნე თქუენ საიდუმლონი, რომელთაჲ ვერ ძალ(მიც) მიცემად თქუენდა ქარტითა“ [Sin. 35: 50r]. როგორც ვხედავთ, ამონა გამუდმებით აღნიშნავს, რომ მისვლითა და ერთმანეთის მოკითხვით მაღლი უშუალოდ უნდა გადაეცეს: „მივავლინე თქუენდა შვილი ჩემი, ვიდრემდის მომმადლოს ღმერთმან მეცა მოსლვად თქუენდა ჳორციითა, რადთა უმეტეჴსი წარმატებულებაჲ მიგცე თქუენ რავდენ ეგე ხართ, რამეთუ ოდეს შეემთხვნინ მამანი შვილთა, მათ შორის არნ ღმერთი ორკერძოვე“ [Sin. 35: 49r]. პავლე მოციქულმა რომაელებსაც მსგავსადვე მიწერა, რომ სურდა მისვლა და მათი ხილვა, რათა გადაეცა ის მაღლი, რომელიც ღმრთისგან მიიღო: „მი-რაიმე-გცე თქუენ მაღლი სულიერი დასამტკიცებელად თქუენდა“ (რომ. 1,11).

მე-11 ეპისტოლეში აღწერილია წინასწარმეტყველი ეზეკიელის ხილვა. ამ სწავლებაში ამონა გამოვლილი განსაცდელების შესახებ საუბრობს, შემდეგ კი ეზეკიელის ხილვას იხსენებს, რომლის მიხედვით, მან მრავალსახოვანი ქერუბიმი იხილა: „ცხოველი იხილა მდინარესა ზედა ქობარისასა, რომელსა [ე]დგ[ნ]ეს ოთხნი პირნი და ესხნეს ოთხნი ფერწნი და ოთხნი ფრთენი. ერთი იგი პირი ქერობინისაჲ მის იყო ლომისაჲ და ერთი კაცისაჲ და ერთი ორბისაჲ და ერთი ზუარაკისაჲ“ [Sin. 35: 54r. შდრ. ეზკ. 1, 1-10] და წარმოდგენილ მონაკვეთს საინტერესოდ განმარტავს. მისი თქმით, როცა ღმერთს

მოღვაწეზე სხვადასხვა სახის მაღლის გარდამოვლინება სურს, სხვადასხვა სახით გამოუჩნდება ხოლმე. ქერუბიმის ერთ-ერთი, ლომის სახე ძლიერებას გამოხატავს და ამ სახით გამოუჩნდება: „რაჟამს სულმან ღმრთისამან განისუენის სულსა ზედა კაცისასა, მოაქუნ ძალი ღმრთისად, განაფრთხვის იგი ძლიერად და ასწავის მას გალობად ტ(კ)ბილითა და შუენიერთა ჳმითა“ [Sin. 35: 55v]. როცა გარდამოსვლა ვინმეს განსწავლისა და დამოძღვრისთვის სჭირდება, იგი ადამიანის სახეს იღებს: „პირი კაცისად მოიღის“ [Sin. 35: 55v]. ზვარაკის, ანუ ხბოს სახით წარმოუჩნდება მაშინ, როდესაც მორწმუნე სული სულიერ ბრძოლაშია ჩაბმული. ამ დროს „სული ღმრთისად შეეწევენ მას და მოსცის ძალი ზუარაკისად, რადთა შეუძლოს და ურქენდეს ეშმაკსა“ [Sin. 35: 55v]. და ბოლოს, ორბის თვისებაა სხვა ფრინველებზე უფრო მაღლა დაფრინავდეს და ცის უფრო მაღალ სივრცეებს იპყრობდეს, ამიტომ: „რაჟამს სული კაცისად სიმაღლესა მოვიდეს, სული წმიდად მოვიდის მისა და აქუნ მას ხატი, ვითარცა პირი ორბისად და ასწავის მას დადგრომად სიმაღლესა შინა და მახლობელ-ყოფად ღმრთისად“ [Sin. 35: 55r], ანუ ორბის სახით მაშინ გამოუჩნდება, როცა მოღვაწის საღმრთო საიდუმლოებებში განსწავლა სურს.⁴⁰

⁴⁰ წმ. ამონას ამ სწავლებასთან მიმართებით, საინტერესოა პარალელის გავლება ვაჟა ფშაველას შემოქმედებაში არწივის სახესთან, მაგალითად, შდრ. ლექსი „მარტოობა“. შესაძლოა, პოეტს ეს გაცნობიერებული არ ჰქონდა, მაგრამ მსგავსება აშკარაა

დასკვნა

წმ. ამონა მონაზვნის ასკეტიკურ-მისტიკური სწავლებები თხზულებათა იმ რიცხვს მიეკუთვნება, რომლებითაც ასკეტიკის სფეროში მათი ღირებულების გამო ქართველი მთარგმნელები ადრევე დაინტერესებულან და მე-10 საუკუნემდე უთარგმნიათ. ამონა მონაზვნის ეგზეგეტიკურ და ასკეტიკურ-მისტიკურ სწავლებათა მრავალმხრივობასთან ერთად, ეპისტოლეებისადმი განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ისიც, რომ ისინი მნიშვნელოვან ქართულ ხელნაწერებშია მოთავსებული და ყოველთვის ისეთი ავტორების თხზულებათა გვერდით, როგორებიც არიან ანტონი დიდი, მარკოზ მონაზონი, ევაგრე პონტოელი, საჰაკ მონაზონი და სხვები.

ეპისტოლეები დიდი მნიშვნელობის მქონეა ეგვიპტეში მონაზვნური ცხოვრებისა და ქრისტიანული ასკეტიკის ისტორიის შესასწავლად, რის გამოც ისინი უცხოელ მკვლევართა აქტიური კვლევის საგნად იქცა მაშინ, როცა ქართულ სამეცნიერო სივრეში წინამდებარე ნაშრომი ამონა მონაზვნისა და მისი ეპისტოლეების შესწავლის პირველ მცდელობას წარმოადგენს და ამდენად, სრულყოფილების პრეტენზია ვერ ექნება; ეპისტოლენი და მათი ავტორი უფრო ფართო და ღრმა კვლევისა და მნიშვნელოვანი დასკვნების გამოტანის საშუალებას იძლევა.

ნაშრომში კვლევა ორი ძირითადი მიმართულებით წარიმართა: 1. პირველ თავში ეგვიპტეში მონაზვნური ცხოვრების პირველ პერიოდის ისტორიაა გადმოცემული; დღემდე მოღწეულ ცნობებზე დაყრდნობით, მიმოხილულია მეცნიერებაში ავტორის ვინაობის შესახებ გამოთქმული განსხვავებული მოსაზრებანი, გამოთქმულია ვარაუდები, ამონას სახელით ცნობილ მოღვაწეთაგან რომელს უფრო შეეფერებოდა ზემოხსენებულ ეპისტოლეთა ავტორობა და სათანადო არგუმენტაციით, ავტორად მიჩნეული ამონა ეგვიპტელ-არაბიელის მოკლე ბიოგრაფიაა წარმოდგენილი; ამ ნაწილშივე ეპისტოლეები ისტორიულ-ტექსტოლოგიური კუთხით არის გააზრებული. წარმოდგენილია ხელნაწერის აღწერილობა, საუბარია მისი გადაწერის, გადაწერის ადგილისა და სხვა ისტორიულ საკითხებზე; გამოკვეთილია პალეოგრაფიული და ფონეტიკური მახასიათებლები; აღნიშნულია ილია აბულაძის „მამათა სწავლანის“ სახელით გამოცემულ წიგნში არსებული წმ. ამონას სახელით ცნობილი ერთი სწავლების წინამდებარე ნაშრომში დადგენილ ეპისტოლეებთან მსგავსება; 2. ავტორის ერთ-ერთი

მოდღვრის, ანტონი დიდის ეპისტოლეების, ასევე მისი თანამედროვისა და სავარაუდოდ, ეპისკოპოსად ხელდამსხმელის⁴¹, ათანასე ალექსანდრიელის „ანტონი დიდის ცხოვრებასა“ და ეკლესიის სხვა გამოჩენილ მამათა ნაშრომების გათვალისწინებით, გაანალიზებულია ამონას ეპისტოლეებში არსებული რამდენიმე მნიშვნელოვანი საღმრთისმეტყველო საკითხი, კერძოდ კი: აღნიშნულია მეუდაბნოე მამათა როლი ეკლესიის ისტორიაში და ეს საკითხი დაკავშირებულია წმ. ამონა მონაზვნის სწავლებას განდევნილ მამათა ღმრთის მიერ ერში მივლინების შესახებ; შეკრებილი და განხილულია ეპისტოლეებში არსებული სწავლანი სულიწმინდის მადლის გამოვლინებასთან დაკავშირებით; საუბარია ადამიანში სინანულისა და სინდისის განმწმენდელი მოქმედების ავტორისეულ ხედვაზე და ბოლოს, ყურადღება გამახვილებულია ეპისტოლეებში არსებულ რამდენიმე ეგზეგეტიკური ხასიათის მნიშვნელოვან მონაკვეთზე.

როგორც ზემოთაც აღინიშნა, ნაშრომს, მითუმეტეს, რომელიც პირველი ცდაა ამ საკითხების კვლევისა, წარმოდგენილი პრობლემატიკის ამომწურავად გაანალიზების პრეტენზია ვერ ექნება. ჩვენ მხოლოდ ვიმედოვნებთ, რომ იგი ხელს შეუწყობს ასკეტიკისა და მონაზვნური ცხოვრების ისტორიის მკვლევართა შორის ინტერესის ამ მიმართულებით გაღვივებას, ხოლო წინამდებარე ნაშრომი მცირე წვლილს მაინც შეიტანთ ასკეტიკის ისტორიისა და ასკეტიკური ლიტერატურის კვლევაში.

⁴¹ ეს მოსაზრება ემყარება ათანასეს წერილს ამონასადმი, რომელშიც ალექსანდრიელი მთავარეპისკოპოსი მიმართავს ღმრთის სიტყვისამებრ „განსწავლოს მისდამი რწმუნებული სამწყსო“. იხ. ბმული: http://library.church.ge/index.php?option=com_content&view=article&id=226%3A2010-07-30-11-49-29&catid=34%3A2009-12-29-11-31-18&Itemid=59&lang=ka

გამოყენებული ლიტერატურა:

1. **აბულაძე 1955:** აბულაძე ი., მამათა სწავლანი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბ., 1955.
2. **აბულაძე 1973:** აბულაძე ი., ძველი ქართული ენის ლექსიკონი, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბ., 1973.
3. **ალექსიძე 2005:** სინას მთაზე წმ. ეკატერინეს მონასტერში 1975 წელს აღმოჩენილ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, შეადგინეს ზ. ალექსიძემ მ. შანიძემ, ლ. ხევსურიანმა და მ. ქავტარიამ, გამომცემლობა „ეპტალოგოს“, ათენი, 2005.
4. **გაბიძაშვილი 2006:** გაბიძაშვილი ე., ძველი ქართული მწერლობის ნათარგმნი ძეგლები, ასკეტიკა-მისტიკა, ტ.2, „არტანუჯი“, 2006.
5. **დამასკელი 2013:** წმ. იოვანე დამასკელი, სამი აპოლოგეტური სიტყვა წმიდა ხატთა დასაცავად. მესამე სიტყვა ძველი ბერძნულიდან თარგმნა გვანცა კოპლატაძემ. საქართველოს ეკლესიის კალენდარი, სსგ. თბ., 2013.
6. **დვალი 2014:** თეოფილე ხუცესმონაზონი, მამათა სწავლანი და თხრობანი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთეს მანანა დვალმა და დალი ჩიტუნაშვილმა, ტ. III, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, თბ., 2014.
7. **იმნაიშვილი 1970:** ათანასე ალექსანდრიელი, „ცხოვრებაჲ წმიდისა ანტონისი“, ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ვ. იმნაიშვილმა, ა. შანიძის რედაქციით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 1970.
8. **კეკელიძე 1980:** კეკელიძე კ., ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბ., 1980.
9. **კვირიკაშვილი 2003:** ბერძნულ-ქართული დოკუმენტირებული ლექსიკონი, სიმონ ყაუხჩიშვილის საერთო რედაქციით, პასუხისმგებელი რედაქტორი ლიანა კვირიკაშვილი, ტ. II, თბ., 2003.
10. **კვირიკაშვილი 2005:** ბერძნულ-ქართული დოკუმენტირებული ლექსიკონი, სიმონ ყაუხჩიშვილის საერთო რედაქციით, პასუხისმგებელი რედაქტორი ლიანა კვირიკაშვილი, ტ. III, თბ., 2005.

11. **კვირიკაშვილი 2007:** ბერძნულ-ქართული დოკუმენტირებული ლექსიკონი, სიმონ ყაუხჩიშვილის საერთო რედაქციით, პასუხისმგებელი რედაქტორი ლიანა კვირიკაშვილი, ტ. V, თბ., 2007.
12. **კოპლატაძე 2019:** კოპლატაძე გ., ქრისტიანული ეკლესიის ისტორია, ტ. I, საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, თბ., 2019.
13. **მამასახლისი 2010:** წმ. პალადი ჰელენოპოლელი „ლავსაიკონი“, ევრემ მცირისეული თარგმანის კრიტიკული ტექსტი დაადგინა ქეთევან მამასახლისმა, გამომცემლობა „ახალი ივირონი“, თბ., 2010.
14. **მრავალთავი 1978:** მრავალთავი, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, ტ. VI, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბ., 1978.
15. **მრავალთავი 2015:** საღმრთისმეტყველო, ასკეტურ და ჰაგიოგრაფიულ თხზულებათა დიდი მრავალთავი, კრებული შეადგინა, საძიებლები დაურთო და გამოსაცემად მოამზადა გრიგოლ რუხაძემ, საპატრიარქოს გამომცემლობა, ნაკვეთი I, თბ., 2015.
16. **მცხეთური ხელნაწერი,** გამოსაცემად მოამზადა ე. დოჩანაშვილმა, თბ., 1985.
17. **ნოსელი 2011:** წმიდა გრიგოლ ნოსელი „ქალწულებისათვის და საღმრთოდესა მოქალაქობისა“, თარგმანი ექვთიმე ათონელისა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, კომენტარები და ტერმინოლოგიური ლექსიკონი დაურთო პროტოპრესვიტერმა გიორგი ზვიადაძემ, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ., 2011.
18. **პარაკლიტონი 1998:** რვახმათა ანუ პარაკლიტონი, დაიბეჭდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის, უწმიდესის და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, რედაქტორი დეკანოზი ზაქარია ძინძიბაძე, თბ., 1998.
19. **სარჯველაძე 1984:** სარჯველაძე ზ., ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, თბ., 1984.
20. **სინელი 1965:** იოვანე სინელის „კლემაქსი“ თარგმნილი ბერძნულიდან ექვთიმე ათონელის მიერ (XII საუკუნის ხელნაწერების მიხედვით). მ. ცინცაძის დისერტაციის დანართი. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, 1965.

21. **სოდომენე 2017:** ჰერმას სოდომენე, საეკლესიო ისტორია, გამომცემლობა „ახალი ივერონი“, ბერძნულიდან თარგმნა, წინათქმა და შენიშვნები დაურთო ზურაბ ჯაშმა, თბ., 2017.
22. **ერესტომათია 1993:** ბიზანტიური მწერლობის ერესტომათია, რედ. ლ. კვირიკაშვილი, ტ. II, გამომცემლობა „ქველი“, თბ., 1993.
23. **ციხელაშვილი 2018:** ციხელაშვილი ლ., ძველი ქართული ენა, საბაკალავრო სალექციო კურსი, ნაწ. I, თბ., 2018.
24. **წმიდა იოხთავი, წმ. გიორგი მთაწმიდელის რედაქცია, დასაბეჭდად მოამზადა გრიგოლ რუხაძემ, საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, თბ., 2018.**
25. **ჯავახიშვილი 1947:** ჯავახიშვილი ივ., სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბ., 1947.
26. **ჯუღელი 2011:** ჯუღელი ვ., ნეტარი თეოდორიტე კვირელი, ტ. II, გამომცემლობა „ლოგოსი“, თბ., 2011.
27. **Сократ 1996:** Сократ Схоластик, Церковная История. Москва, РОССПЭН, 1996.
28. **Март 1940:** Н. Я. Март, Описание грузинских рукописей Синайского монастыря, Издательство Академии наук СССР, Москва, 1940.
29. **Руфин 2002:** Пресвитер Руфин, Жизнь Пустынных Отцов, Фонд <<Христианская Жизнь>>, Клин 2002.
30. **Цагарели 1889:** Цагарели А.А. Сведения о памятниках грузинской письменности, Выпуск II, Санктпетербург, 1889.
31. **P.G.: Patrologia graeca, J. P. Migne, T. LXVII, 1864.**
32. **P.O. 1915:** R. Graffin, F. Nau - Patrologia Orientalis, P. XI, Paris, 1915. იხ. ბმული: <https://archive.org/details/patrologiaorient11pariuoft/page/432/mode/2up>.
33. **Chitty 1997:** Chitty D. J., Brock. S., The letters of Ammonas, by oxford ebook production, 1997.
34. **Cross 2005:** The Oxford dictionary of the Christian Church, Edited by Cross F. L., Livingstone E. A., Oxford, U.S., 2005.

35. **Gabra 2002:** Gabra G., Coptic Monasteries, Egypt's Monastic Art and Architecture, The American University in Cairo Press, Egypt, 2002.
36. **Garitte 1956:** Garitte G., Manuscripts Georgiens Litteraires Du Mont Sin. ai, Paris, 1956.
37. **Harmless 2004:** William Harmless, S.J., Desert Christians: an introduction to the literature of early monasticism, Oxford, New York, 2004.

ინტერნეტ რესურსები:

1. **ეპისტოლეები 2008:** წმ. ანტონი დიდის შვიდი ეპისტოლე, დაფუძნებულია ჟ. გარიტის გამოცემაზე (Lettres de S. Antoine, version georgienne et fragments coptes, Louvain, 1955), ტიტუსისთვის ელექტრონული ვერსია მოამზადა ი. გიპერტმა, ფრანკფურტი, 2008. იხ. ბმული: <http://titus.fkidg1.uni-frankfurt.de/texte/etcs/cauc/ageo/ascetica/antepist/anteplex.htm>.
2. **Бахметева 2010:** Бахметева А. Н., Полная История Христианской Церкви, 2010. წიგნის ელექტრონული ვერსია იხ. ბმულზე: <https://www.libfox.ru/359013-aleksandra-bahmeteva-polnaya-istoriya-hristianskoy-tserkvi.html>.

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Faculty of Humanities

Bachelor's degree program: Georgian philology

Ilia Tsetskhladze

Ascetical-mystical epistles of Ammonas in old Georgian manuscripts

A thesis submitted for the degree of Bachelor of Georgian Philology

Academic supervisor: **Lela Khachidze,**

Doctor of Philological Sciences,

TSU associate professor

Gvantsa Koplataдзе,

Doctor of Philological and Sciences,

TSU associate professor

Tbilisi

2020

დანართი N 1

წმიდა ამონა მონაზვნის ასკეტიკურ-მისტიკური ეპისტოლეები

Sin. 35 (907 წ.)

[] - ფრჩხილებში ჩასმულია სიტყვები, რომლებიც ხელნაწერში არ იკითხება, მაგრამ იმისათვის, რომ წინადადებაში გადმოცემულ აზრს დასრულებული სახე მისცემოდა, ჩვენ მათი აღდგენა-ჩასმა აუცილებლად მივიჩნით. იგივე უნდა ვთქვათ სიტყვებში ჩამატებული ასოების შესახებაც.

() - ფრჩხილებში ჩასმულია სიტყვები, რომლებიც ასომთავრულ ხელნაწერში სტრიქონებს აქა-იქ ხუცურად აქვს ზედწარწერილი და რომლებიც უნდა წარმოადგენდეს გადამწერის ჩასწორებებს.

(?) - მოსდევს გაურკვეველ სიტყვებს ან მონაკვეთებს, რომელთა ამოკითხვაც გაჭირდა, ან აღვადგინეთ, მაგრამ დარწმუნებული არ ვართ, რამდენად სწორად.

თქუმული ნეტარისა მამისა ჩუენისა ამონაჲსი ა'^{42*}

საყუარელთა მაგათ უფლისა მიერ სიხარული!

უკუეთუ ვინმე შეიყუაროს უფალი ყოვლითა გულითა და ყოვლითა სულითა და ყოვლითა ძალითა თჳსითა⁴³, შეეყოს შიშსა მისსა. შიშმან უშვის ტირილი და ტირილმან უშვის მას სიხარული და სიხარულმან უშვის მას ძალი და მის გამო სული იგი ყოველსა შინა ნაყოფიერ იქმნის; და რაჟამს იხილის ღმერთმან ნაყოფი იგი მისი ესრჳთ შუენიერად და შეიწყნაროს იგი ვითარცა სულნელებაჲ, და ყოველსა შინა ღმერთი იხარებდეს მისა მიმართ ანგელოზთა მისთა თანა და მოსცეს მას მცველი, რომელი სცვიდეს ყოველთა შინა გზათა მისთა, რადთა მიუძღუეს მას ადგილსა მას განსასუენებელისასა, რადთა არა ეუფლოს მას ეშმაკი; რამეთუ რაჟამს იხილის ეშმაკმან მცველი იგი, ესე იგი არს გარემოდგომილი იგი ძალი სულსა მას, ივლტინ კაცისა მისგან და ვერ იკადრის მიახლებაჲ მისა, ეშინინ გარემოდგომილისა მის ძალისა. ამისთჳს, საყუარელნო უფლისა

^{42*} Ἐπιστολή β΄. Τοῦ αὐτοῦ – περί γεωργίας τῆς χάριτος „მისივე - მაღლის მომუშავეების შესახებ“. ი.ც.).

^{43*} შდრ. მათ. 22,37; მარკ. 12,30.

მიერ, რომელთა გყუარობს სული ჩემი, ვიცი, რამეთუ ღმრთისმოყუარე ხართ, მოიპოვეთ თავისა თქუენისა ესე ძალი, რადთა ეშინოდის თქუენგან ეშმაკსა და რადთა განჰბრძნდეთ ყოველსა შინ[ა] საქმეთა და სიტყუათა თქუენტა და სიტკბოებად იგი მაღლისად მის მოიწიოს თქუენ ზედა და აღაორძინოს ნაყოფი თქუენი. რამეთუ სიტკბოებად იგი სულიერების[ა] მაღლისად „უტკბილესს არს უფროს თავლისა მის გოლ[ისა“^{44*} და არა მრავალთა მონაზონთ[ა] და არცა ქალწულთაგანთა ადრ[ე] ცნეს დიდი ესე სიტკბოებად მაღლისად მის ამისთვის, რამეთუ არა ითხოვეს საღმრთოდ იგი ძალი, არამედ იშუითთა და ადგილდ-ადგილდ, რამეთუ არცაღა ქმნეს საქმე იგი ძალისად მის. ამი[ს]თვისცა მათ ესე არა მისც[ა] უფალმან, რამეთუ ყოველთა, რომელნი იქმან საქმეთ[ა] მათ მისთა, მათ ხოლო მისცემს ღმერთი, რამეთუ არა აქუს თუალთღება, არამედ რომელნი იქმან საქმეთა მისთა, თითოეულსა შინა ნათესავსა მისცემს მათ.

ხოლო აწ, საყუარელნო, ვიცი, რამეთუ ღმრთისმოყუარე ხა[რთ], ვინადთგან ამას საქმესა მოხუედით, გიყუარს ღმერთი ყოვლით[ა] გულითა თქუენითა. ამის გამო მეცა შეგიყუარენ ყოვლითა გულითა ჩემითა, სიწრფოებისა მაგისთვის გულისა თქუენისა. ამიერითგან, მოიგეთ თავისა თქუენისა ძალი ესე სათნოდ, რადთა ყოველნი ჟამნი აღასრულნეთ აზნაურებასა შინა და სიხარულსა და მხიარულებასა, და რადთა საქმე ღმრთისად ადვილ იყოს თქუენდა. რამეთუ ესე ძალი, რომელი მოცემულ არს კაცისა, აქავე კუალად მიუძღვს მუნსა მას განსასუენებელსა, ვიდრემდის თანა წარჰკედეს „ყოველთა მათ ჳელმწიფებათა მტერისათა“. რამეთუ არიან ძალნი აერთა ზედა^{45*}, რომელნი აყენებენ კაცთა და არა ჰნებავს აღსლვად მათი ღმრთისა. აწ უკუე ვითხოვდეთ გულსმოდგინედ ღმრთისაგან, რადთა არა დამაბრკოლნეს ჩუენ აღსლვად ღმრთისა, რამეთუ მართალთა აქუს ესე ძალი საღმრთოდ მათ თანა და ვერვის ჳელეწიფების მათა დაბრკოლებად. ხოლო საქმენი მისნი ესე არიან, ვიდრემდის დაიმკვდროს ძალმან კაცისა თანა, რადთა შეურაცხყოს კაცმან ყოველი შეურაცხებად კაცთად და ყოველი პატივი მათი და მოიძულოს ყოველი საწმარი ამის სოფლისად, რომელი, რეცა პატიოსნად საგონებელ იყოს, და მოიძულოს ყოველი განსუენებად ჳორცთად და განიწმიდოს გონებად თვისი ყოვლისაგან გულის-სიტყუსა მწიკულებანისა და ყოვლისაგან ამოღსა ზრახვისა ამის

⁴⁴24 შეურაცყოს. ²⁵ პატიოსნად პატიოსნად.

* შდრ. ფს. 18, 11.

⁴⁵* შდრ. ეფეს. 2,2.

სოფლისა, და რაფთა ითხოვდეს მარხვითა და ცრემლითა ღამეჲ და დღეჲ. და სახიერმან ღმერთმან არა აყოვნოს მოცემად იგი თქუენდა და ოდეს მოგცეს იგი, აღასრულნეთ ჟამნი ცხორებისა თქუენისანი განსუენებასა და ფართოებასა შინა და დიდი განსუენებაჲ ჰპოოთ წინაჲ ღმრთისა, და ყოველი თხოვად თქუენი მოგცეს თქუენ,^{46*} ვითარცა წერილ არს.

მრავალი არს, რომელი მნებავს მიწერად თქუენდა და მცირედი ესე მივწერე დიდისა მისთვის სიყუარულისა, რომელი მაქუს თქუენდა მიმართ.^{47*} განძლიერდით უფლისა მიმართ გულითა თქუენითა ღმრთისმოყუარენო პატიოსანნო ძმანო!

წმიდისა ამონადისი ბ^{48*}

პატიოსანთა მაგათ ძმათა უფლისა მიერ სიხარული!

მივჰწერ თქუენდა ამას წიგნსა ვითარცა ღმრთისმოყუარეთა, რომელნი გამოემიებთ ყოვლითა გულითა, რამეთუ ესევითართაჲ ისმინის ღმერთმან, ილოცევდ რაჲ იგინი და აკურთხნის იგინი ყოველსა შინა და მოსცის მათ ყოველივე თხოვად სულისა მათისაჲ, ითხოვედ რაჲ მისგან. ხოლო რომელნი მოვლენ მას[მისა] არა ყოვლითა გულითა, არამედ ვითარცა ორგულებით და ჰყოფენ საქმესა მათსა, რაფთამცა იდიდებოდეს კაცთაგან, ესევითართაჲ არა ისმინის ღმერთმან, უკუეთუ რასმე ითხოვედ მისგან, არამედ უფროდსლა განრისხნებინ საქმეთა ზედა მათთა, რამეთუ წერილ არს, ვითარმედ: „ღმერთმან განაზნინეს ძულანი კაცთ-მოთნეთანი“.^{49*} ხედავთა, ვითარ ღმერთი განრისხნების საქმეთა მათთა ზედა და არა მოსცის მათ თხოვად იგი, რომელსა სთხოვედ მას, არამედ უფროდსლა წინა აღუდგის მათ, რამეთუ საქმეთა მათთა ჰყოფედ არა სარწმუნოებით, არამედ კაცთა საჩუენებელად ჰყოფედ მათ. ამისთვისცა, ძალმან საღმრთომან არა დაიმკუდრის მათ შორის, რამეთუ დასნეულებულ არიედ ყოველთა შინა საქმეთა მათთა, რომელსა ჯელი შეყვიან. ამისთვისცა, ვერ ცნეს ძალი იგი მადლისაჲ მის, არცა სულმცირებაჲ (?) მისი და არცა სიხარული მისი, არამედ სული მათი დამძიმებულ არს ყოველთა შინა საქმეთა, ვითარცა ტვრთისაგან. აწ უკუე უმრავლესნი მონაზონნი ესრეთ არიან, რამეთუ არა შეიწყნარეს ძალი იგი მადლისაჲ მის, რომელი განაპოხებს

^{46*} შდრ. ფს. 36, 4-5.

^{47*} შდრ. 2 იოან. 1, 12.

^{48*} გამოცემული აქვს ჟ. გარიტს - G. Garitte, De unius ex Ammonae epistulis versione Iberica, Museon, vol. 89, fasc 1-2, Louvain, 1976, 123-131.

^{49*} ფს. 52, 6.

სულსა და განუმზადებს სიხარულსა და მოსცემს მათ მხიარულებასა დღითი-დღედ, რომელი განაჯურვებს სულსა მას ღმრთისა მიერ, რამეთუ საქმესა მას, რომელსა ჰყოფედ, კაცთათჳს ჰყოფედ. ამისთვისცა, არა მოვიდა მათ ზედა მაღლი იგი, რამეთუ საძაგელ უჩნდა ძალსა მას ღმრთისასა კაცი, რომელი ჰყოფნ საქმეთა თჳსთა კაცთა სათნოებისათჳს. ხოლო თქუნენ, საყუარელნო ჩემნო, რომელნი უყუართ სულსა ჩემსა და რომელთად ნაყოფი შერაცხილ არს ღმრთისა მიერ, წინა-განეწყვენით ყოველთა შინა საქმეთა თქუნეთა სულსა მას ცუდად მზაობრობისასა, რადთა სძლოთ მას ყოველსა შინა და ნაყოფი თქუენი ყოვლადვე შეწირულ იყოს და ეგოს ცოცხლად შემოქმედისა თანა; და რადთა მოილოთ ძალი იგი მაღლისად მის, რომელი ამის ყოვლისა უმჯობეჭს არს; რამეთუ დამიჯერებებს თქუნეთჳს, ძმანო, ვითარმედ მსგავსად ძალისა თქუნისა ჰყოფთ და წინა-აღუდეგებით სულსა მას ცუდადმზაობრებისასა და ილუწით მისა მიმართ მარადის. ამისთვისცა, ნაყოფი თქუენი ცოცხალ არს, რამეთუ ესე სული მოუჭდეს კაცსა ყოველსა შინა სიმართლესა, რომელსა შინა ჰელი შეყვის კაცმან და უნებნ, რადთამცა განრყუნა ნაყოფი მისი და უკმარ-ქმნა იგი, რადთა არა უტეოს კაცთა ყოფად სიმართლისა ღმრთისათჳს, რამეთუ იგი უკეთური სული წინა-განეწყვის, რომელთა იგი უნებნ მორწმუნე ყოფად. აწ, უკუეთუ ვინმე იქმნეს კაცთაგანი, ვითარცა მორწმუნენი, გინა ვითარცა მშრომელნი, გინა ვითარცა მოწყალენი, მეყსეულად მან სულმან უკეთურმან ბრძოლა უყვის, რომელთა იგი უნებნ და რომელთამცა მძლე ექმნის და ნაყოფი მათი განანქრის და უჩინო ქმნის, რამეთუ სათნოებასა მას კაცთ სათნოებით ყოფად სცემნ და ესრეტთ წარწყმიდის ნაყოფი იგი მათი და ღმრთისაგან არა რად აქუნ. ამის გამოცა ძალი იგი არა მოსცა მათ, არამედ დაუტევნა იგინი ცუდნი, რამეთუ არა კეთილად ჰოა ნაყოფი მათი და დააკლო მათ ეგოდენი იგი სიტკბოებად მაღლისად მის; ხოლო თქუნენ, საყუარელნო ჩემნო, წინა აღუდეგით სულსა მას ცუდად მზაობრობისასა და მარადის ილოცევდით, რადთა სძლოთ მას ყოველსა შინა, რადთა მაღლი იგი ღმრთისად მარადის თქუნენ თანა იყოს და სძლოთ მას ყოველსა ჟამსა. და მეცა ვითხოვ ღმრთისაგან თქუნეთჳს, რადთა მოგცეს თქუნენ ესე ძალი და მაღლი კაცთმოყუარემან ღმერთმან ყოველსა ჟამსა. რამეთუ არა რად არს მისა უსულმცირეჭს, უკუეთუ იხილოთ, ვითარმედ განდგა და დაგიტევნა თქუნენ საღმრთომან მან მჭურვალეზამან, კუალად ეძიებდით და მოგიჭდეს თქუნენ. საღმრთოდ იგი მჭურვალეზად ეგრეჭთ არს, ვითარცა ცეცხლი, რომელმან სიცივეჭ იგი სულისად

თვსითა ძალითა მკურვალეზად გარდააქციის. უკუეთუ იხილოთ გული თქუენი მყის დამძიმებ[უ]ლად, წარმოიდგინეთ სული თქუენი წინაშე თქუენსა და გ[ო]ნიერითა გულის-სიტყვთა ზრახევდით გონებასა შინა თქუენსა და განიკითხ[ეთ] იგი და ესრეთ მ[ე]ყსეულად განტყვეს და განჯურდეს ღმრთისა მიერ, რამეთუ დავითცა წინასწარმეტყუელმან, რაჟამს იხილა გული თვისი დამძიმ[ე]ბული, იტყოდა ესრეთ: „და ნუგეშინის-ვიეც სულსა ჩემსა, მოვიკსენე დღეთად მათ პირველთად და ვზრახევდ ყოველთა შინა საქმეთა შენთა. განვიპყრენ შენდამი ჳელნი ჩემნი და სული ჩემი, ვითარცა ქუეყანად წყურიელი არს შენდამი“^{50*} და შემდგომი ამისი. ესრეთ ყო დავით, რაჟამს იხილა გული თვისი დამძიმებულად და ცივად, ვიდრემდის განატფო იგი და ესრეთ მოილო სიტკბოებად (იგი) მადლისად მის საღმრთოდად. ღამე და დღე იღვძებდა და ევედრებოდა. ჳყოფდით უკუე თქუენცა, საყუარელნო, და ესრეთ მიიწინეთ და გამოგიცხადებდეს (თქუენ) ღმერთი დიდთა საიდუმლოთა, ხოლო უფალმან დაგმარხენინ თქუენ უბრალოდ და მრთელად, სული თქუენი, საშუმინველი და გუამი, ვიდრემდის მიგიძლუეს თქუენ თვისსა მას საყოფელსა მამათა თქუენთა თანა, რომელთა იგი კეთილად ილუაწეს და აღასრულეს ქრისტეს მიერ სრზად მათი, რომლისად არს დიდებად საუკუნეთა მიმართ საუკუნოდასა.

წმიდისა ამონადას გ^{51*}

საყუარელთა მაგათ სიხარული უფლისა მიერ!^{52*}

საყუარელნო ძმანო ჩემნო, იცით თქუენცა, რამეთუ ვინაფთგან რჩულისა გარდასლვად იქმნა, ვერ ძალუც სულსა მას, რომელი რჩულსა გარდასრულ არს, ვითარმცა ადვილად იცნა ღმერთი, უკუეთუ არა განაშოროს თავი თვისი კაცთაგან და ყოვლისა ამისგან ზრახვისა. რამეთუ მაშინ იხილოს ბრძოლად იგი განწყობილი წინააღმდგომთად მათ თვისთად და სძლოს ჟამად-ჟამად მომავალთა მათ ზედა ბრძოლათა; მაშინ დაემკვდრის მის თანა სული წმიდად და გარდაექცის სიხარულად და მხიარულეზად და

^{50*} ფს. 142, 5-6.

^{51*} 'Επιστολή α'. Τοῦ ὄσιου καὶ θεοφοροῦ πατρός ἡμῶν ἄββα Ἰακώβου. Περὶ ἡσυχίας - „ღირსი და ღმერთშემოსილი მამა ამონისა. სიმშვიდის შესახებ“. (ი.ც.)

^{52*} ეს მიმართვა ბერძნულ ტექსტში არ გვაქვს.

შუებად. უკუეთუ კუალად იძლის ბრძოლათა მათ შინა, მაშინ მოიწინიან მის ზედა მწუხარებანი და ურვანი და სხუადცა მრავალი და მრავალსახეც სიმძიმე.

ამისთვისცა, წმიდანიცა იგი (პირველნი) მამანი უდაბნოთა ადგილთაგან ყენებულ იყვნეს, გინა თუ ელია თეზბელი, გინა იოვანე ნათლისმცემელი, გინა თუ სხუანი იგი მამანი. ნუ ჰგონებთ, ვითარმედ, რომელნი ესე კაცთა შორის იქცევიან მართალნი, კაცთა შორის ყოფითა წარიმართეს სიმართლევ, არამედ მრავალი დაყუდებად ყვეს პირველად და მოიღეს ძალი იგი საღმრთოძსა მის მადლისად და მაშინ ღმერთმან მოავლინნა კაცთა შორის, სავსენი ყოვლითა სათნოებითა, რადთა მოღუაწე ექმნენ კაცთა და ჰკურნებდენ მათსა მას უძღურებასა, რამეთუ მკურნალნი იყვნეს სულთანი და შემძლებელ იყვნეს კურნებად მათისა მის უძღურებისა. ამის საჭმრისაგან დაყუდებისაგან გამოიყვანნის და კაცთა მოუვლინნის, ხოლო მოავლინნის მაშინ, ოდესცა ყოველი უძღურებად მათი განკურნებულ არნ, რამეთუ შეუძლებელ არს, ვითარმცა ღმერთმან მოავლინნა კაცთა აღსაშეწნებელად და აქუნდამცა რადმე უძღურებად. ხოლო რომელნი მოვლენედ პირველ სრულყოფისა, თვისითა ნებითა მ[ო]ვიდიან და არა ღმრთისაძთა, რამეთუ ღმერთი იტყვს ეგე ვითართათვ[ს]: „მე არა წარვაავლინებ და იგინი რბიოდეს“⁵³⁴ და შემ[დ]გომი. ამისთვის ვერცა თავნი თვისნი დაიმარხნიან ცოცხლად და ვერც[ა] სხუად სული აღაშეწნიან.

ხოლო ღმრთისა გამოვლინებულთა მათ წმიდათა განყენებად დ[ა]ყუდებისაგან არა ჰნებავნ, იციედ, რამეთუ მისგა[ნ] მოიგნეს სათნოებანი, ხოლო რადთა არა ურჩ ექმნენ შემოქმედსა და მ[ო]ვიდიან სხუათა აღშეწნების[ა]თვის.

აჰა, ესერა გაუწყე თქუენ დაყუდებისა ძალი და ნაყოფი. აწ უკუე განძლიერდი[თ] ღმრთისა ჩუენისა მიერ საქმეთა შინა თქუენტა, ხოლო რომელთა დაუტევებიეს დაყუდებისა ძალი, ვერ ჰელეწიფე(ბი)ს, ვითარმცა წარიმართეს და სძლეს ნებასა თვისსა, ვერცა წინა აღუდგენ განწყობილსა მათა მიმართ ბრძოლასა. ამისთვისცა, ვერ დაიმკვდრეს ძალი იგი ღმრთისად თავთა შინა მათთა, რამეთუ ძალმან ღმრთისამან არა დაიმკვდრის მათ თანა, რომელნი ჰყოფედ ნებასა თავისა თვისისასა; არამედ თქუენ ვნებათა მათ სძლეთ დაყუდებითა და განკითხვითა და ყოვლისაგან ბოროტისა სივლტოლითა და ესრეწთ ძალი ღმრთისად თვთ მოვიდეს. განძლიერდით სულითა!

⁵³⁴ იოვანე.

* იერ. 23, 21.

წმიდისა ამონადსი დ'

საყუარელთა ძმათა ქრისტეს მიერ სიხარული!

იცით სამე, რამეთუ მივსწერ თქუენდა ვითარცა შვილთა საყუარელთა და შვილთა აღთქუმისათა და შვილთა სასუფეველისათა. ამისთჳსცა, მოვიკსენებთ თქუენსა ღამე და დღე, რადთა ღმერთმან დაგიცვნეს თქუენ ყოვლისაგან უკეთურებისა და მარადის ილუწის, რადთა ღმერთმან მოგცეს თქუენ განკითხვა და ახილვა, რადთა ისწოთ გამორჩევა თითოეულეზად იგი ბოროტისად და კეთილისად ყოველსა შინა, რამეთუ წერილ არს: „სრულთად არს მტკიცე იგი საზრდელი, რომელთა იგი სახითა გონებანი წრთუილნი ჰქონედ გამორჩევა კეთილისა და ბოროტისა“^{54*} ესენი ქმნულ არიან მედ სასუფეველისა და შერაცხილ არიან საზომსა მას შვილებისასა, რომელთა იგი (მისცა) ღმერთმან ახილვა ყოველთა შინა საქმეთა მათთა, რადთა [არა] ვინ აცთუნეს იგინი. რამეთუ შეიპყრობვის კაცი კეთილისა მიზეზითა და მრავალნი ესრეწთ სცთებთან, რამეთუ არა მო[უ]ღებიეს ღმრთისაგან ესე ახილვა. ამისთჳსცა, ნეტარმ[ა]ნ ჰავლე უწყოდა, რამეთუ ესე არს სიმდიდრე მორწმუნეთად, თქუა: „ესრეწთ მოვიდრეკ მუკლთა ჩემთა ღამე და დღე უფლისა მიერ იქსო ქრისტეჴსა თქუენთჳს, რადთა მოგცეს თქუენ გამოცხადება მეცნიერებითა თჳსითა და რადთა განანათლნეს თუალნი გონებათა თქუენთანი, რადთა იცოდით თქუენ რად იგი (არს) სივრცე და სიგრძე და სიმაღლე და სიღრმე ცნობად გარდარეული იგი მეცნიერებისა იგი სიყვარული ქრისტეჴსი“^{55*} და შემდგომი, რამეთუ შეიყუარნა იგინი ყოვლითა გულითა ნეტარმან ჰავლე. უნებს, რადთა დიდი იგი სიმდიდრე, რომელი იგი მას ეუწყა, რომელ არს ქრისტეჴს მიერ, მიცემად შვილთა თჳსთა, რომელ იგი შეიყუარნა. ამისთჳს, რამეთუ იცის, უკუეთუ მოეცეს ესე მათ რომელსავე შინა საქმესა, არღარა დაშორებოდიან, არცაღა ემინოდის მიერთგან რომელსავე ზედა შიშსა, არამედ მხიარულებად ღმრთისად იყოს მათ თანა ღამე და დღე და საქმე ღმრთისად დასტკბნეს მათ ყოველსა შინა უფროდს თაფლისა გოლისა და ღმერთი იყოს მათ თანა და მოსცნეს მათ გამოცხადებანი, დიდ-დიდნი საიდუმლონი, რომელთათჳს ვერ ძალ-მიც სიტყუად ენითა. აწ უკუე, საყუარელნო ჩემნო, რამეთუ შერაცხილ ხართ (ჩემდა) შვილად, ითხოვდით ღამე და დღე განმარტებულად

⁵⁴⁸ სარზდელი.

* ებრ. 5, 14.

^{55*} ევეს. 3, 14-19.

სარწმუნოებით და ცრემლით შინაგან მხედველსა მას მადლსა, რადთა მოიწიოს თქუენ ზედა რომელი აქამომდე არა მოწევნულ არს, ვინადთგან მოსრულ ხართ მონოზონება[დ] და მეცა, მდაბალმან ამან, ვილ[ო]ცო თქუენტვს, რადთა მოხვდეთ ამას წარმატებულებასა და ასაკსა, რომელსა ვერ მოვიდ[ენ] მონოზონნი მრავალნი, არამედ იშუითნი და ღმრთის-მოყუარენ[ი], ხოლო სრულნი ადგილდ-ადგილდ. ა[წ], უკუეთუ გინებს ამას საზო[მ]სა მოსლვად, სახელით ხოლო მონოზონი იყოს და უდებად იქცეოდის, ნუ დააჩუევთ თქუენდა მოსლვად, არამედ გამო[ა]ყენენით თავნი თქუენნი მათგან. უკუეთუ არა საღმრთოდ კერძო არა გიტევნენ (თქუენ) წარმ[ა]ტებად, არამედ მჭურვალებად იგი თქუენი დაშრიტონ, რამეთუ უდებთა მათ მჭურვალებად იგ[ი] არა აქუს, არამედ ნებასა თვსსა შეუდგ[ი]ან და თუ მოვიდ[ენ] თქუენდა ამის სოფლისასავე გეტყოდიან და ეგევითართა მით ზრახვითა მჭურვალებად იგი თქუენი დაშრიტონ და არა გიტევნენ თქუენ წარმატებად, ვითარცა წერილ არს: „სულსა ნუ დაშრეტთ, რამეთუ დადვსების [ა]მაოდსა სიტყვთა და საცთურითა“.^{56*} რაჟამს უკუე იხილნეთ ეგევითარნი, კეთ[ი]ლსა უყოფდით, ხოლო თანა ნუ აღერევით, რამეთუ იგინი არიან, რომელნი არა უტეობენ კაცთა წარმატებად ამ[ა]თ ჟამთა.

განძლიერდით, საყუარელნო, სულითა მით მშვდობისადათა!

[ა]მონადსივე ე'

საყუარელთა უფლისა მიერ!

იციით სამე, რამეთუ სიყუარული ღმრთისადა მოაქსენებს სიყუარულსა მოყუასსა თვსსა მარადის, ხოლო მოყუასი იგი არს, რომელი შერაცხილ არს ზეცისასა მას ჩინებასა. ესე ვითართათვს ღმრთისმსახური ლოცვასა შიგან არნ დღეწ და ღამეწ, ვითარცა თავისა თვსისათვს და რამეთუ თქუენცა მ[ო]ყუასად შერაცხილ ხართ, ამისთვს, ვსენებასა ვჰყოფ ღამეწ და დღეწ თქუენტვს ლოცვათა შინა ჩემთა, რადთა შეემინოს სარწმუნოებასა თქუენსა და მოიპოოთ ძალი უფროდსი. ამას ვჰყოფ თქუენტვს, რამეთუ შერაცხილ ხართ ჩემდა შვილად ღმრთისა მიერ. ტიმოთე შერაცხილ იყო შვილად პავლეწსა და მიუწერს

⁵⁶ ადგილდ-ადგილდ.

* 1 თეს. 5, 19.

ესრეწთ, ვითარმედ: „კსენებასა შენსა ვჰყოფ ღამეწ და დღეწ და მსურის შენდა. მომეკსენებთან ცრემლნი ეგე შენი, რადთა სიხარულითა აღვივსო. მოვიკსენე, რომელი ეგე არს შენთანა შეუორგულებელი სარწმუნოებად“.^{57*} აწ უკუე, საყუარელნო, ვითარცა იგი პავლე ჰყოფდა ტიმოთეწსა მიმართ და მსურის თქუენდა, მოვიკსენებ სულთქუმათა თქუენტა და საღმობასა გულისა თქუენისასა, არამედ ვიცი, რამეთუ თქუენცა გნებავს ხილვად ჩემი ფრიად, და რამეთუ საჯმარცა არს ესე თქუენდა ფრიად, რამეთუ ეტყოდა პავლე: „მნებავს მისლვად თქუენდა, რამეთუ მი-რად-მიგცე მე თქუენ მიცემად მაღლი სულიერი დასამტკიცებელად თქუენდა“.^{58*} დაღათუ სწავლულ ხართ თქუენ სულისა წმიდისა მიერ, არამედ უკუეთუ მოვიდე თქუენდა, ფრიად განგამტკიცნე თქუენ სულისა წმიდისა მოძღურებითა და გამოგიცხადოთ სხუადცა, რომელი წიგნსა ამას ვერ ძალმიც დაწერად.

განძლიერდით უფლისა მიმართ სულითა მით მშჯდობისადათა!

ამონაღსივე ვ'

ღამეწ და დღეწ ვევედრები, რადთა ძალი ღმრთისაჲ განდიდნეს თქუენ ზედა და გამოგიცხადნეს თქუენ დიდ-დიდნი საიდუმლონი ღმრთეებისანი, რომელთაჲ ვერ ძალმიც სიტყუად ენითა, რამეთუ დიდ არიან და არა არიან ამის სოფლისანი და არცა გამოვის-ეცხადების სულსა, გარნა მათ ხოლო, რომელთა [გა]ნიწმიდნეს გულნი მათნი ყოვლ[ისა]გან ამაოებისა ამის სოფლისა და რომელთა აუღები[ეს] ჯუარი თვისი და მას თან[ა] თავნიცა თვისნი მო-ვე[ედ]ულნეს და მორჩილ იქმ[ნეს] ყოველსა შინა. ესე ვითართა შორის ღმრთ[ე]ებაჲ დამკვდრე[ბუ]ლ არს და ზრდის სულთა მ[ა]თთა, ვითარცა იგი ძალი წყლისა, უკუეთუ არა მისწუდეს ხეთა, არა უძლიედ. ეგრეც[ა], უკუეთუ არა სულმან არა შეიწყნაროს სიხარული იგ[ი] ზეცისაჲ, ვერ შეუძლოს აღსლვად ზე. უკუეთუ ვიე[თ]მე შეიწყნარონ, რომელთა ღმერთმან გამ[ო]უცხადნეს ზეცისა საიდუმლონი, უჩუენებნ მათ ადგილსა მას მათსა, ვიდრე არიედ-ღა ჯორცთ[ა] შინ[ა] და მოსცის ყოველი თხოვად მათი და ესე არს ლოცვად ჩემი ღამეწ და დღეწ, რადთა ამას საზომსა ზედა მიიწინეთ და სცნათ

⁵⁷¹³ გამოგიცხადოს. ²⁵ ურძიედ.

* 2 ტიმ. 1, 3-5.

⁵⁸* რომ. 1, 11.

გამოუკულებელი იგი სიმდიდრეც ქრისტესი, რამეთუ მცირედნი არიან, რომელნი ესრეცთ სრულ ყოფილ არიან და ესენი არიან, რომელთათვის განმზადებულ არიან საყდარნი, რათა დასხდენ იქსუს თანა განკითხვად კაცთა, რამეთუ ნათესავად-ნათესავად იპოვებიან ეგე-ვითარნი კაცნი, რომელნი მოწევნულ იყვნენ მას საზომსა, რათა განიკითხვიდეს თითოეული თვისსა ნათესავსა, რომელსა მოუკლებელად თქუენთვის ვილოცავ სიყუარულისა მისთვის, რომელ მაქუს თქუენდა მიმართ, რამეთუ მოციქული მის მიერ შეყუარებულთა მათ ეტყოდა, ვითარმედ: „სათნო მიჩს მიცემად თქუენდა არა ხოლო სახარებად ესე ქრისტეცსი, არამედ სულნიცა თქსნი“.^{59*}

მივავლინე თქუენდა შვილი ჩემი, ვიდრემდის მომმადლოს ღმერთმან მეცა მოსლვად თქუენდა ჯორცითა, რათა უმეტეცსი წარმატებულებად მიგცე თქუენ რავდენ ეგე ხართ, რამეთუ ოდეს შეემთხვნიან მამანი შვილთა, მათ შორის არნ ღმერთი ორკერძოვე.

მშვდობით იყვენით და განძლიერდით.

ამონაღს ზ'

საყუარელთა უფლისა მიერ!

რომელნი შერაცხილ ხართ ნაწილსა მას ზეცისა სასუფეველისასა, რამეთუ ესრეცთ გამოიძიეთ ღმერთი და მობაძავ იქმნენით მამისა თქუენისა და მრწამს, რამეთუ იგივე აღთქმანი მოიხუნეთ, რამეთუ შერაცხენით მისა ძეებად, რამეთუ ძეთა დაიმკვდრიან მამათა კურთხევად ამისთვის, რამეთუ მათსა შურსა ჰბაძვიდეს. ეგრეცა, ნეტარი იაკობ, რამეთუ მობაძავ იქმნა ყოვლითავე ღმრთისმოყუარებასა მამათასა, მამათა კურთხევად მოიწია მის ზედა და ვითარცა იკურთხა მამათაგან, მუნთქუესვე იხილნა კიბენი აღმართებულნი და ა(ნ)გელოზნი აღმავალნი და გარ(დ)მომავალნი.^{60*} ოდეს იკურთხნიან ვინმე მამათაგან და იხილნიან საღმრთონი იგი ძალნი, რამეთუ რაჟამს იხილნა იგინი პავლე, შეურყეველ იქმნა და იტყოდა: „ვინ განმაშოროს მე სიყუარულსა მას ქრისტეცსა: მახვლმან, ანუ სიყმილმან, ანუ შიშლო[ე]ბამან?! არამედ არცა ანგელოზთა, არცა მთავრობათა, არცა სიმაღლეთა, არცა სიღრმეთა, არცა სხუამან დაბადებულმან შემიდლოს მე განყენებად სიყუარულსა მას ქრისტეცსა“.^{61*}

^{59*} 1 თეს. 2, 8.

^{60*} შეს. 28, 11-12.

^{61*} რომ. 8, 35.

აწ უკუე, საყუარელნო ჩემნო, დაუცადებელად ვითხოვდეთ ღამეჭ და ღღეჭ, რადთა კურთხევანი მამათა ჩუენთანი და ჩემნი მოვიდენ თქუენდა და რადთა ანგელოზთა ძალნი დაემკვდრნენ თქუენ თანა და აღასრულნეთ ნეშტნი დღეთა თქუენთანი ყოვლითა სიხარულითა გულისადთა, რამეთუ უკუეთუ ვინმე მოიწ[ი]ოს ამას საზომსა, სიხარული ღმრთისად იყოს მის თანა მარადის და მიერთგან ყოველსავე განსუენებულად იქმოდის, რამეთუ წერილ არს: „ნათელი მართალთად მოუკლებელ არს, ხოლო ნათელი უღმრთოთად დაშრტეს!“^{62*} ამასცა ვილოცავ, რადთა რომელსა ადგილსა მიმავალ ვარ, თქუენცა მოხვდეთ და ამას ვჰყოფ მორჩილებ[ისა] თქუენისათჳს, რამეთუ ვითარცა იხილა უფალმან [მორ]ჩილებად მოწაფეთა თუ[ისტად] იგი, ითხოვა მამისაგან და თქუა: „რადთა სადაცა მე ვიყო, ესენი[ცა] მუნ იყვნენ, რამეთუ ისმინეს ს[ი]ტყუ[ანი] ჩემნი“.^{63*} და მერმე ითხოვა, [რადთა] დაიცვნეს იგინი უკეთურ[ებისა]გან, ვიდრემდის მიიწ[ი]ნენ იგინი ად[გილ]სა მას განსასუენებელი[სა]სა.^{64*} მეცა ვითხოვ, რადთა დაიცვნეს თქუენ ზოროტისა[გან], ვიდრე მიწევნად თქუენდა ადგილსა განსასუენებელისა ღმრთისასა, რადთა კუალად დაგერთო[ს] კურთხევად, რომელ იგი იაკო[ბ] შემდგომად კიბეთა მათ იხ[ი]ლა პირს-პირ ბანაკი ანგელოზთად, ვითარმედ ერკინებოდაც[ა] ანგელო[ზ]თა და ერეოდა და მას ესე უყო ღმერთმან, რამეთუ უმეტეჭსად აკურთხა იგი, ხოლო ღმერთმან ჩემმან, რომელსა [ვ]მსახურებ სიჭაბუკითგან, უფროდსად გაკურთხენინ თქუენ და განძლერდით, საყუარელნო ჩემნო.

[წ]მიდისა ამ[ო]ნადსივე ჭ'

[ს]აყუარელთა უფლისა მიერ!

მივსწერ თქუენდა, ვითარცა შვილთა ტბილთა და რამეთუ ჯორციელადცა მამანი მათ[ვე] უფრო ჰყუარობედ შვილსა, [რ]ომელიცა მათ ჰგავნ და მეცა გხედავ თქუენ, რამეთუ ჩემითა ბაძვითა წარ[ე]მატებით, ვითხოვ ღმრთისაგან, რადთა რომელი მომცა მამასა თქუენსა, მოგცეს თქუენცა და ვილოცავ, რადთა მოვიდე თქუენდა, რადთა სხუანიცა მიგცნე თქუენ საიდუმლონი, რომელთად ვერ ძალ(მიც) მიცემად თქუენდა ქარტითა.

^{62*} იგავ. 13, 9.

^{63*} იოან. 17, 24.

^{64*} შდრ. იოან. 17, 15.

განძლიერდით მშვიდობით ცეცხლისა მის დიდისადათა, რომელი შეიმოსა მამამან თქუენმან, რადთა თქუენცა შეიმოსოთ ესე. უკუეთუ გინდეს ესე შემოსად, მისცენით თავნი თვისნი ჯორცთა შრომასა და შრომასა გულისასა და გულის სიტყუანი თქუენნი აღაწინით ზეცად. ღამეჴ, დღეჴ ითხოვდით ყოვლითა გულითა სულსა მას ცეცხლისასა და მოგცეს თქუენ, რამეთუ ესევე იყო ელიადს თანა თეზბელისა და ელისეჴს თანა და სხუათა მათ თანა წინასწარმეტყუელთა. იხილეთ, ნუ[უ]კუე შეგიკდეს გულისსიტყუად ორგულებისად გულთა თქუენტა. და ვის ძალუც შეწყნარებად ესე? ნუ უტეობთ შესლვად თქუენდა, არამედ ითხოვდით სიწრფოებით და მოილოთ. და მეცა, მამად თქუენი, ვითხოვდე მარადის თქუენტვს, რადთა მოილოთ იგი, რამეთუ რომელი ჰყოფდეს საქმეთა მისთა ნათესავად-ნათესავადსა შინა, მან მოილოს და იგი სული მათ შორის დამკვდრებულ არს, რომელნი წრფელ არიან გულითა. გეწამები თქუენ, რამეთუ წრფელითა გულითა ეძიებთ ღმერთსა. ხოლო ოდეს შეიწყნაროთ იგი, გამოგიცხადნეს თქუენ ყოველნი სადუმლონი ზეცისანი, რამეთუ ფრიად გამოგიცხადებდეს თქუენ, რომლისად ვერ ჰელმეწიფების ქარტასა ამას დაწერად. უშიშ იქმნენით ყოველისაგან შიშისა და სიხარულმან ზეცისამან შეგიწყნარნეს თქუენ და ეგრე იყვნეთ, ვითარმცა აწვე მიიცივალეზოდეთ სასუფეველსა, ვიდრე ესე ხართ-ღა ჯორცთა შინა და არღარა გიკმს ლოცვად თავისა თქუენისათვს, არამედ მოყუსისათვს, რამეთუ მოსეს მოელო ესე სული და ილოცვიდა ერისათვს და ეტყოდა ღმერთსა: „უკუეთუ აღჰკოც ამათ, აღმოიღე სახელიცა ჩემი წიგნისა მისგან ცხოველთადას“^{65*} ხედავა, რამეთუ ესე არს ზრახვად მათი, ითხოვდეს სხუათათვს ოდეს მოიწინეს ამას საზომსა და სხუანიცა მრავალნი მოვიდეს ამას საზომსა და ილოცვიდეს სხუათათვს, რომელთათვს ვერ ძალმიც აწ ყოველთად მიწერად, არამედ გონიერ ხართ და გიცნობიეს ყოველი, ხოლო ოდეს მოვიდე უსრულეჴსადრე გითხრა თქუენ სულისა მისგან ცეცხლისა და ვითარ იგი ღირს მისი მოგებად და გაუწყო თქუენ ყოველივე იგი მისი სიმდიდრეჴ, რომლისათვს ვერ ძალმიც აწ ქარტასა რწმუნებად.

განძლიერდით მითვე სულითა ცეცხლისადათა, წარემატებოდეთ და განმტკიცებოდეთ დღითი-დღედ.

^{65*} გამოს. 32, 31-32.

წმიდისა ამონაბივე თ'

ვიცი, რამეთუ გელმის გული, რამეთუ განსაცდელსა შევრდომილ ხართ, არამედ მ[ხ]ნედ დაითმინეთ და გაქუნდ[ინ] სიხარული. უკუეთუ არა მოვ[ი]დეს განსაცდელი ცხადად, [გი]ნა ფარულად, ვერ მოილოთ საძინელი უფროდს მაგის[ა]. მისა, რომელ იგი გაქუს, რამეთუ ყოველთა წმიდათა ოდეს ითხოვეს სარწმუნოებად, იპოვნეს განსაცდელ[სა] შინა. ოდეს მოიღის კაცმან კ[უ]რთხევად ღმრთისაგან, მ[ე]ყსეულ[ად] დაერთის განსაცდელი მტერ[ი]საგან და უნებნ, რადთამცა დააკლის იგი კურთხევასა მას, რომლით[ა] აკურთხნა იგი ღმერთმან. იხილიან რა ეშმაკთა, რამეთუ კურთხეულმან სულმან წარმატებულებად მოიღის, ბრძოლა სციან მას, გინა ცხადად, გინა ფარულად, რამეთუ რაჟამს იკურთხა იაკობ მამისაგან, მ[ე]ყსეულად განსაცდელი იგი ესავისი წარმოუდგა მას, რამეთუ ეშმაკმან აღძრა გული მისი აკობის ზედა და უნდა, რადთამცა განრყუნა კურთხევად იგი მისი, [არამედ] ვერ ძალუც მართალთა მიმართ, რამეთუ წერილ არს: „არა დაუტეოს უფალმან კურთხი ცოდვილისაჲ ნაწილსა ზედა მართალთასა“^{66*} და იაკობმან არა წარწყმიდა კურთხევად იგი მისი, არამედ მის თანა აღორძ[ი]ნდებოდა დღითი-დღედ.

ისწრაფეთ უკუე, რადთა ზეშთა ექმნეთ განსაცდელთა, რამეთუ რომელნი მიემთხვევენ კურთხევასა, უნებლიადთცა ზედა აც განსაცდელთაცა დათმენად. მეცა, მამამან თქუენმან, დიდნი დავითმინენ განსაცდელნი, გინათუ ფარულად, გინა ცხადად. არამედ დაუთმ[ო]ბდ ნებასა ღმრთისასა სასოებით და ვითხოვდ და გამომიყვანა. აწ უკუე თქუენცა, საყუარელნო, ამისთვს, რამეთუ კურთხევად ღმრთისაჲ მოიწია თქუენ ზედა, განსაცდელიცა იგი შეუდგს და ვითარ თანა წარჰყდეთ მა(გას), მერმე დიდსა ჰასაკსა შევდგეთ და შეეძინოს ყოველთა სათნოებათა თქუენთა და მოგცეს თქუენ დიდი სიხარული ზეცით, რომელი არღა იცით. ხოლო თანა-წარსლვად განსაცდელთაჲ მათ და თუ რად არს წამალი მისი, რადთა არა სულმოკლე იქმნეთ, არამედ ილოცევდით ღმრთისა მიმართ ყოვლითა გულითა, რადთა სულგრძელ იყვნეთ ყოველსა შინა და ჰმადლობდეთ და თანა-წარჰყდეთ თქუენ, ვითარცა იგი აბრაჰამ გამოიცადა და ურჩეულეწსად გამოჩნდა. ამისთვს წერილ არს: „მრავალ არს ჭირი მართლისაჲ და ყოვლისავე მისგან

^{66*} ფს. 124, 3.

იქსნეს იგი უფალმან!“^{67*} მერმე ძაკობ იტყვს: „სულმოკლე თუ ვინმე არს თქუენ შორის, ილოცევდინ!“^{68*} ხედავა, ვითარ იგი წმიდანთა გამოიცადებოდეს და ღმერთსა ჰხადოდეს?! მერმე წერილ არს, რამეთუ: „სარწმუნო არს ღმერთი, რომელმან არა გიტევნეს თქუენ განცდად უფრომს ძალისა თქუენისა, არამედ სიწრფოებისა (მაგის)თვს გულისა თქუენისა მოგცეს თქუენ ღმერთმან“.^{69*} უკუეთუმცა არა უყუარდეთ თქუენ ღმერთსა, არმცა მოიწია თქუენ ზედა განსაცდელი, რამეთუ წერილ არს: „ყოველი, რომელი უყუარნ ღმერთსა, სწავლის და ტანჯის ყოველი შვილი, რომელი შეიწყნარის“.^{70*}

აწ უკუე მორწმუნეთა ზედა მოიწევს სახეჭ განსაცდელთაჲ, ხოლო რავდენი გამ[ო]უცდელ არიან, არა მტკიცე არიან სარწმუნოებასა ზედა და ხატი იგი მოაქუნ და ძალსა მას უფარ-ჰყოფედ და ანტონი გუეტყვს, ვითარმედ: „ვერვის ჰელეწიფების გამოუცდელსა შესლვად სასუფეველსა ღმრთისასა“ და კუალად, მისწერს ებისტოლესა: „რომელთა გიხარის აწ, უკუეთუ სამართალ არს, რომელნი იგი შეწუხებულ იყვენით მრავალფერთა ზედა განსაცდელთა, რადთა გამოცდილებაჲ იგი თქუენი სარწმუნებისა მაგის თქუენისაჲ უპატიოსნეჭს უფრომს ოქრომსა მის წარწყმედადისა და ვეცხლისა გამოუცდელისა იპოოს“.^{71*} თქმულ არს ხეთათვსცა, ვითარმედ ქართაგანლა იძრვიედ, უფრომს ძირითა დამაგრდიან და უძლიედ, ეგრეჭცა მ[ა]რთალნი განძლიერდიან, არამედ მაგას შინა და სხუასა შინა ერძდით მოძღუარ[თა] თქუენთა, რადთა წარემატნეთ. იცით სა[მე], რამეთუ სულიერებისა საქმეჭ დ[ს]ყ(?)მსა ს[ულ]მან წმიდამან მოსცის სიხარული, რომელ [დაიმარხ]ნიან გულნი მათნი წმიდად. ოდეს მოსცის მათ სულმან წ[მიდამან] სიხარული და სიტკბოებაჲ, მაშინ მიჰრიდის და და[უტ]ევნეს იგინი. ესე არს სასწ[ა]ული მისი, ხოლო ყვის ესე ყოვლისა თანა სულისა, რომელი ეძიებნ ღმერთსა დასაბამსა და მერმე წარრიდის და დაუტევნის ყ[ოველი], რადთა ცნას თუ ეძიებედ მა[ს], [გი]ნათუ არა. რომელნიმე უ[კუე] წარჰრიდის და დაუტევ[ის], იგინი დამძიმდებიან და ს[ც]ნედ სიმძიმესა მას შინა და არცა ითხოვედ ღმრთისაგან, რადთამცა აილო მათგან სიმძიმეჭ იგი და მოვიდა მა[თდა] სიხარული იგი და სიტკბოებაჲ, რომელი იცოდეს,

⁶⁷19 უძრვიედ.

* ფს. 33, 20.

⁶⁸* იაკ. 5, 13.

⁶⁹* 1 კორ. 10, 13.

⁷⁰* იგავ. 3, 12.

⁷¹* ეს ორი ციტატა ქართულ ხელნაწერში არსებულ ანტონი დიდის შვიდ ეპისტოლეში არ დასტურდება.

არამედ უდ[ე]ბებით[ა] მათითა და ნებისა აღსრულებითა უცხო ექმნიან სიყუარულსა მას ღმრთისა. ამისთვისცა იქმნიან ჯორციელ და ხატი იგი მარტოდ ჰმოსიედ, ხოლო ძალსა მას უვარ-ჰყოფედ. ესენი არიან, რომელნი დაბრმობილ არიან ცხორებასა მ[ა]თსა და საქმეც ღმრთისად ვერ ცნიან, უკუეთუ შეეგონოს სიმძიმეც იგი, რომელი თვნიერ ჩუეულებისა იქმნა და წინადთსა მას სიხარულსა ითხოვდენ ცრემლითა და მარხვითა. მაშინ სახიერმ[ა]ნ ღმერთმან, უკუეთუ იხილოს სიწრფოებად გულისა მათისად და რამეთუ ყოვლითა გულითა ითხოვენ და უვარ-უყოფიეს ყოველი ნებად თავისა თვისისად, მოსცის მათ სიხარული უმჯობესი უფროდს პირველისა მის და განამტკიცნეს იგინი უფროდსად. ესე სასწაული არს, რომელსა ჰყოფს ყოვლისა თანა სულისა, რომელი ეძიებს ღმერთსა.

ვითარ და ოდენ ვწერე წიგნი ესე, მომეკსენა მე სიტყუად, რომლითა აღვიძარ მიწერად თქუენდა განსაცდელთათვის, რომელი შეემთხუევს სულსა კაცისასა, რომელი შთაიყვანებს უფსკრულთა ჯოჯოხეთისათა ცათაგან ცათადა. ამისთვის დადადებს წინასწარმეტყველი და იტყვს: „იკსენ სული ჩემი ჯოჯოხეთისაგან ქუესკნელისა“^{72*} და ოდეს აღმოჰყავნ ჯოჯოხეთით, რავდენ იგი შეუდგ[ი]ან სულსა წმიდასა ღმრთისასა ადგილდ-ადგილდ მოიწევიედ მის ზედა განსაცდელნი და ვითარ თანა წარჰკდის განსაცდელთა, იქმნის იგი შინაგან მხედველ და შუენიერებად სხუად მოიღის.

ოდეს აღმაღლდებოდა ელია წინასწარმეტყუელი, ვითარცა აღიწია იგი პირველსა მას ცასა, დაუკვრდა მისი იგი სინათლეც და აკდა მეორესა მას უფროდსად უკვრდა და თქუა: „ვჰგონებ, ვითარმედ ბნელ არს ნათელი იგი პირველისა მის ცისად“. და ეგრეწთვე თითოეულსა მას ცასა ცათასა სული სრულთა მართალთადა ვალს და წარმატების, ვიდრემდის აკდეს ცასა ცათასა და თუ აღკდის, მაშინ თანა წარჰკდის(ს)ან მას ყოველნი განსაცდელნი და არს კაცი ქუეყანასა ზედა, რომელი მოსრულ არს ამას საზომსა.

მივსწერ თქუენდა, საყუარელნო, რადთა მტკიცედ იყვნეთ და ისწაოთ, რამეთუ განსაცდელნი მოიწევიედ არა სავნებელად, არამედ სარგებელად და თვნიერ განსაცდელთა მოწევნისა, სულსა ზე ვერ ძალუც აღსლვად ადგილსა მას შემოქმედისა თვისისასა.

^{72*} ფს. 85, 13.

წმიდის ამონადსივე ი'

საყუარელთა უფლისა მიერ!

იცით სამე, რამეთუ ოდეს იცვალის ცხორებად კაცისა და მოვიდის სხუასა ცხორებასა ღმრთისა სათნოებისასა და უფროდს პირველისა მის შეიცვალის სხეულიცა მისი, რამეთუ წმიდანიცა მამანი ჩუენნი ოდეს აღემატნეს, სხეულიცა მათი იცვალა და დაერთო მათ სხეული ახალი, დაწერილი ფიცართა მათ ზეცისათა. რამეთუ ოდეს წარემატა სარა, ითქუა: „არღარა გეწოდოს შენ სარა, არამედ სარრა“^{73*} და აბრამს - აბრაჰამ და ისა[კს] - ისჰაკ და დაკობს ისრაჴლ და ს[ა]ვლეს წილ - პავლე და სიმონ[ს] - კეფა, რამეთუ შეიცვალა ცხორებად [მა]თი და წარემატნეს რა[დ] იგი იყვნეს. ამისთვის თქუენ[ნ], რამეთუ შესძინეთ ჰასაკსა თქ[უენსა] საღმრთოდთ კერძო, სამ[არ]თალ არს ცვალებად სხეული[სა]ცა წარმატებისა მაგის თქუენისათვის საღმრთოდთ კერძ[ო].

აწ უკუე, საყუარელნო უფლისა მი[ერ], რომელნი მიყუართ ყოვლითა გულითა და ვეძიებ უმჯობესსა (მას) თქუენსა, ვითარცა ჩემსა, რამეთუ შეირაცხენით შვილად ჩემდა ღმრთისა მიერ. მესმის, რამეთუ განსაცდელსა შინა ხარ[თ] და იურვით და მეშინის ნუ უკუე თქუენგანვე შეგემთხუევის, რამეთუ დატევების გინებს ადგილისა მაგის თქუენისა და შეგწუხენ, დალათუ მრავალი ჟამი მაქუს, ვინაფთგან მწუხარებითა არა შეპყრობილ ვიყავ, რამეთუ ვიცი ჭეშმარიტად, უკუეთუ აწ წარხვდეთ, ვერღარა წარემატნეთ ყოვლადვე, რამეთუ არღა არს ნებად ღმრთისა და თუ თვთ ნეფსით წარხვდეთ, არა შეგეწოდის, არცა მივიდის თქუენ თანა. მეშინის, ნუ[უ]კუე შესცვკით უმრავლესსა ბოროტსა და შეუდგეთ თვს[ს]ა ნებასა, არა მოავლინოს ღმერთმან ძალი თვსი, რომელი წარჰმართებს ყოველთა გზათა კაცის[ა]თა და თუ კაცმან ყოს რადმე და ჰგონებდეს, ვითარმედ საქმეწ სათნოდ არს ღმრთისა და ნებადცა თვსი იყოს მას შინა, არა შეეწევის ეგევითარსა მას ღმერთი და იპოვის გული კაცისა მის მწუხარე და უძლურ ყოველსა შინა, რომელსა კელი შეყვის, რამეთუ ცთუნებად მორწმუნეთად და მოკიცხვად მათი, რამეთუ წარმატებისა მიზეზითა არნ; არა თუ სხვთა შეიტყვ[უ]ა დასაბამსა, გარნა კეთილისა მიზეზისა წარმატებითა, რამეთუ ესმა, ვითარმედ - იყვნეთ ღმერთ^{74*} და არა განიკითხა მეტყუელისა მის ჳმად იგი და ურჩ ექმნა მცნებათა ღმრთისათა და არა ხოლო

^{73*} შდრ. შეს. 17, 15.

^{74*} წყევასაცა.

* შდრ. შეს. 3, 5.

კეთილსა არა მიემთხვა, არამედ წყევასაცა ქუეშე იქმნა. იტყვს სოლომონცა იგავთა შინა, ვითარმედ: „არიან გზანი, რომელნი საგონებელ არიედ კეთილად კაცთა მიერ, ხოლო უკუანადსკნელი მათი შთაიყვანებს უფსკრულთა ჯოჯოხეთის[ა]თა“.^{75*} ამათთვს იტყვს, რომელთა არა უცნობიეს ნებად ღმრთისად, არამედ შეუდგ[ი]ან ნებასა თავისა თვისისასა, რამეთუ ვერ ცნიან ნებად ღმრთისად და მიიღიან მჭურვალეზად ეშმაკისაგან და ეგრევე სიხარული, რომელი არა არნ სიხარულ და ამისა შემდგომად მოსცის მათ მწუხარებად და განაქიქნის იგინი. ხოლო რომელი შეუდგნ ნებასა ღმრთისასა, დასაბამსა დიდი დაითმინის შრომად, ხოლო უკუანადსკნელ პოვის სიხარული და განსუენებად.

ნურას იქმთ ცუდად, ვიდრემდის მოვიდე თქუენდა!

სამი არს ნებად, რომელი თანა უვალს კაცსა დაუცადებელად და არა მრავალთა მონაზონთა ცნეს ესე, არამედ გარნა რომელნი სრულ-ყოფილ არიან, რომელთათვს უთქ[უ]ამს მოციქულსა: „სრულთად არს მტკიცეზ იგი საზრდელი, რომელთა იგი სახითა გონებანი წრთუილნი ჰქონედ გამორჩევიად კეთილისა და ბოროტისა“.^{76*} და რომელნიმე არიან სამნი ესე, რომელ იგი მტერისაგან იშვებიან და რომელ იგი ღმრთისა მიერ გონებასა კაცისასა დაეთესვის. ამათ სამთაგანსა თვისსა მას ხოლო შეიწყნარებს ღმერთი. აწ უკუე განიცადენით თავნი თვისნი, რომელი ამათ სამთაგანი გასწავებს თქუენ დატევებად ადგილისა მაგის თქუენისა, არამედ ნუ დაუტეობთ, ვიდრემდის მოვიდე თქუენდა, რამეთუ ვიცი ნებად ღმრთისად ამას შინა უფროდს თქუენსა. რამეთუ ძნად საცნაურ არს ნებად ღმრთისად ყოველსა ჟამსა, უკუეთუ არა უვარყოს კაცმან ყოველივე ნებად თავისა თვისისად და ერჩდეს სულიერად მშობელთა თვისთა, ვერ შეუძლოს ცნობად ნებად ღმრთისად, ხოლო ოდეს ყოს კაცმან ესე და ცნას იგი მა(?)ხუვდინ(?) ღმრთისაგან ძალსა [ცნ]ობადცა ნებად ღმრთისად დიდ-ყოფად უდიდეზს. ესე ძა[ლი] აქუნდეს აკობსა. მისთ[ვს] ერჩდა მამა-დედათა თვ[სთა], რამეთუ რაჟამს რქვს მას: წარ[ვედ] შუამდინარედ ლაბანის[ა], მზად ერჩდა. ხოლო დაღათუ უნდა განყენების მამა-[დედი]საგან დამორჩილებითა მ[ათითა], კურთხევიად (მამისაგან) მოილო. და მეცა, მამად თქუენი, უკუეთუმცა წინადთ ვერჩდი სულიერად [მშ]ობელთა ჩემთა, არამცა [გა]მომიცხადა ღმერთმან ნებად თ[ვისი]. აწ უკუე დაითმინეთ მამის[ა] თქუენისად ამას ჯერსა, რადთა

⁷⁵28 აკობ. შდრ. ?

⁷⁶ ებრ. 5, 14.

[იყ]ოს თქუენდა განსუენება და წარმატება. და მესმა, რამეთუ ს[თ]ქუთ: არა იცის მამამან ჩუენმან ესე შრომა და ივლტოდ[ა] იაკობ ესავისგან. ვიცით, არა ივლტოდა, არამედ მამადედათაგან წარვივლინა. აწ უკუე ჰბაძევედით დაკობსა და დაადგერით, ვიდრემდის მამამან თქუენმან წარგიმართოს თქუენ და რადთა გაკურთხენს თქუენ წარ-რად-ხვდოდით და ღმერთმან წარგიმართოს თქუენ.

განძლიერდით, უფლისა მიერ საყუარელნო!

წმიდისა ამონა[სი]ვე ია'

საყუარელთა უფლისა მიერ!

გიკითხავ თქუენ სულითა მით ყუდროებისადათა, რომელ არს მშვდობისადა, რომელი სულნელებას სცემს სულსა მართალთასა, რამეთუ იგი სული არცა ერთსა სულსა ზედა მიიწევს, გარნა რომელთა განიწმიდნეს თავნი მათნი სრულიად სიძულილისაგან მათისა, რამეთუ წმიდაა არს და ვერ შევალს არა წმიდასა სულსა. და მოციქულთა უფალმან ჩუენმან მაშინვე მისცა, ოდესცა თავნი თვსნი განიწმიდნეს მისთვის. ეტყოდა მათ: „უკუეთუ მე წარვიდე, ნუგეშინისმცემელი მოგივლინო თქუენ, სული იგი ჭემმარიტებისადა და გაუწყოს ყოველი“.^{77*} რამეთუ ესე სული ახელისითგან ვიდრე დღე[ი]ნ-დღელად დღედმდე მისცემს თავსა თვს[ს]ა მართალთა სულთა, რომელთა სრულიად განიწმიდნეს თავნი თვსნი; ხოლო რომელი იგი სხუათა ყოველთა ზედა მოვიდის, არა იგი არს, არამედ სული სინანულისადა არს იგი, რამეთუ სული იგი სინანულისადა მოვიდის სხუათა ზედა სულთა, რამეთუ იგი ყოველთა უწყესს და განსწმედს არაწმიდებისაგან მათისა და რაჟამს განწმიდნეს იგინი სრულიად, მისცნეს იგინი სულსა წმიდასა მიფენად მათ ზედა სულნელებისა, ვითარცა ლევის უთქუამს. და სულნელებად იგი სულისადა ვინ ცნა, გარნა მათ ხოლო, რომელთა შორისცა დ[ა]მკვდრებულ არს. არა მრავალნი ღირს იქმნეს არცა სულსა სინანულისასა, ხოლო სული იგი ჭემმარიტებისადა ნათესავად-ნათესავად ძნად დაიმკვდრებს იშუითთა ხოლო სულთა, ვითარცა იგი მარგალიტი არა ყოველთა შინა სახლთა იპოვების, არამედ ძნად თუ სადამე სამეუფოთა (ხოლო) შინა ტაძართა. ეგრეცა ესე სული არა სადა იპოვების,

^{77*} შდრ. იოან. 16, 7.

გარნა სულსა შინა მართალთასა, რომელნი სრულ ქმნულ არიან. ოდეს უკუე ღირს იქმნა ლევი, დიდსა მადლსა შესწირვიდა ღმრთისა და იტყოდა: „გიგალობ შენ უფალო, რამეთუ მომეც მე სული, რომელი მოეც მონათა შენთა“. ^{78*} და ყოველნი მართალნი, რომელთა ზედა მოივლინა, დიდსა მადლსა მისცემდეს, რამეთუ ესე არს მარგალიტი იგი, რომელსა გვთხოვდა სახარებად, რომელი იგი მოიყიდა მან (რომელმან) განყიდა ყოველი მონაგები თვისი; ^{79*} ესე არს იგი საუნჯეჲ აგარაკსა შინა დაფარული, რომელი იგი ჰოა კაცმან და განიხარა ფრიად. რომელთა შორის დაიმკვდრებს სულთა, დიდ-დიდთა გამოუცხადებს მათ საიდუმლოთა; ეგრევე არნ მათა ღამეჲ, ვითარცა დღეჲ.

აჰა, ესერა გაუწყე თქუნ ძალი მის სულისაჲ, ხოლო მნებავეს, რადთა იცოდეთ, რამეთუ ყოველსა შინა წარმიმართა მე გინათუ ფარულად, გინა ცხადად მისითა მადლითა და მინდა ახლოს თუმცა ჩემსა იყვენით და იცოდით, რავდენი ესე გამოცხადებანი იქმნებიან, რამეთუ დღითი-დღედ უმეტესიმიცა სიხარული გაქუნდა.

მნებავეს უკუე, რადთა უწყოდეთ რაბამ იყო გა[ნ]საცდელი იგი. იცით სამე, რამეთუ გა[ნ]საცდელი არა მოიწევს კაც[სა] ზედა, უკუეთუ არა მ[ო]უღებეს სული და რაჟამს მოიღის სული, მისცეს იგი ეშმაკსა გამოსა[ცდ]ელად და ვინ მისცის იგი, არამედ სულმან ღმრთისამან, რამეთუ შეუძლე[ზე]ლ არს ეშმაკისა გამოცდაჲ მორწმუნისაჲ, უკუეთუ არა მისცეს იგი ღმერთმან. რაჟამს უფალმან ჩუენმან ნათელ-ილო, სული წმიდაჲ გარდამოჲდა მის ზედა ხატა[დ] ტრედისა. მაშინ გამოიყვანა იგი სულმან უდაბნოდ და მისცა იგი გუემასა გამოსაცდელად და ვერ უძლო მისა მიმართ ეშმაკმან. ^{80*} ხოლო ძალმან სულისა წმიდისამან განსაცდელთა მათ შემდგომად სიდიდეჲ სხუაჲ და ძალი შესძინა წმიდათა უფროდსი.

იცით სამე ჩემი განსაცდელი რასა მიემსგავსა. ვითარცა უფალმან ჩუენმან, გარდმო-რად-ჲდა ზეცით, სხუაჲ იხილა არე უბნელეჲსი და შთასლვად იყო ჯოჯოხეთა, იხილა აერი უკშირეჲსი, ოდეს იგი თქუა: „აწ სული ჩემი შემრწუნებულ არს“. ^{81*} ეგრევე მსგავსად მეცა შემამრწუნა მან განსაცდელმან ყოვლით კერძო. ხოლო ვადიდებ ღმერთსა და

⁷⁸26 კარე.

?

⁷⁹ შდრ. მთ. 13, 46.

⁸⁰ შდრ. მთ. 4, 1-11; მარკ. 1, 12-13; ლუკ. 4, 1-13.

⁸¹10 არას. ¹⁵ ზუარარკისაჲ. ¹⁹ ზოგს[ი].

?

ვკმადლობ, გინათუ პატივით, გინათუ უპატიოებით აღმომიყვანა მე ბნელისაგან არისა და კუალად მაგო მე პირველსავე სიმაღლესა.

აჰა ესერა გაუწყე სიდიდჳ განსაცდელთად, რომელ დავითმინენ და რად ვწერე წიგნი ესე, მომეცსენა სიტყუად წერილი ეზეკიელსა შიდა, რომელსა ხატი აქუს სულთა განსრულებულთად ცხოველი იხილა მდინარესა ზედა ქობარისასა, რომელსა [ე]დგ[ნ]ეს ოთხნი პირნი და ესხნეს ოთხნი ფერჯნი და ოთხნი ფრთენი. ერთი იგი პირი ქერობინისად მის იყო ლომისად და ერთი კაცისად და ერთი ორბისად და ერთი ზუარაკისად.⁸² აწ უკუე პირი იგი ლომისად ქერობინისად (მის) რადმე არს, რამეთუ რაჟამს სულმან ღმრთისამან განისუენის სულსა ზედა კაცისასა, მოაქუნ ძალი ღმრთისად, განაფრთხვის იგი ძლიერად და ასწავის მას გალობად ტ(კ)ბილითა და შუენიერთა ჳმითა; და ოდეს უნებნ გარდამოსლვის და აღშეწნების კაცთა, პირი კაცისად მოიღის; და ზუარაკისად იგი არს, რაჟამს ბრძოლასა შიგან არნ მორწმუნეჳ სული, სული ღმრთისად შეეწევენ მას და მოსცის ძალი ზუარაკისად, რადთა შეუძლოს და ურქენდეს ეშმაკსა; ხოლო ორბისად, რამეთუ ორბი უჟეშთაეს ყოველთა უფროდს სხუათა ფრინველთასა ფრინავნ და რაჟამს სული კაცისად სიმაღლესა მოვიდეს, სული წმიდად მოვიდის მისა და აქუნ მას ხატი, ვითარცა პირი ორბისად და ასწავის მას დადგრომად სიმაღლესა შინა და მახლობელ-ყოფად ღმრთისად.

ზოგ[ი] რადმე გაუწყე თქუენ ამის ცხორებისათჳს, ხოლო უკუეთუ ილ[ო]ცოთ და მოვიდე თქუენდა და შევიდე ბეთელდ, რომელ არს სახლი ღმრთისად და მივსცნე ლოცვანი ჩემნი რომელ აღთქუეს ბაგეთა ჩემთა, მაშინ ამის ცხორებისათჳს უგანცხადებულეჳსადრე გამოვთქუა.

განძლიერდით ქრისტეჳს მიერ და ცოცხლებით იყვენით!

ამონადსივე იბ'

სულსა ვიდრეცა უნებნ და ქრინ,^{83*} ხოლო ქრინ განსპეტაკებულთა მიმართ და წრფელთა გულითა და თუ ერჩიედ მას, მოსცის მათ შიში და მჭურვალეზად და ოდეს ესე დასთესის მათ შორის, მოაძულის მათ ყოველივე ამის სოფლისად, გინა ოქროდ, გინა ვეცხლი, გინათუ სამკაული, გინა მამად, გინა დედად, ანუთუ ცოლი, ანუთუ შვილნი და

⁸² შდრ. ეზკ. 1, 1-10.

^{83*} დატ(კ)ბვის.

* შდრ. იოან. 3, 8.

დაატ[კ]ების საქმე ღმრთისად მათ შორის უფროდს თაფლისა გოლისა; გინა შრომად მარხვისად, გინა მღვდარებისად, გინა დაყუდებისად, გინათუ მ[ო]წყალებისად და ყოველივე ნებად ღმრთისად დატ(კ)ების მათ შორის, [ვითარცა] ესე ყოველი ასწავის მათ და ო[დ]ეს ასწავის კაცსა ესე ყოველი, [მი]სცის იგი, რადთა გამოიცად[ოს] და მაშინ, რომელ ტკბილ ეყო [წი]ნადთ, მერმე მიძიმე ექმნე[ს] მას. და მრავალნი გამ[ო]ცდასა მას დაადგრია[ნ] სიმძიმესა შინა და იქმნია[ნ] ჯორციელ. ესენი არიან რ[ომელ]თათვის მოციქული იტყვს: „იწყეთ სულიერად და ჯორციელად აღასრულებთ, ესოდ[ენ] ცუდად გეგნო!“^{84*} უკუეთუ ვინმე წინა აღუდგეს ეშმაკ[ი]სა პირველსა მას განსაცდელსა და სძლოს მას, მოსცის მას ღმერთმან მჯურვალ[ე]ბად დაწყ(ნ)არებული, მოთმინებად აუშფოთველი, რამეთუ პირველი იგი მჯურვალებად შფოთით არნ და დაუწყნარებელ, ხოლო მეორე იგი მჯურვალებად უმჯობეს არნ და იგი შობნ შინაგან ხედვასა და ჰყოფნ სლვასა გრძელსა და აქუს მას მოთმინებად შეუძრწუნებელი, ვითარცა იგი ნავი რად დაწყნარებულსა ნიავსა ვალნ და ორითა ფერჯითა იზიდვებინ და ნავმანცა მან ფრიადი გზად მოვლის და მენავენიცა იგი განსუენებულ არიედ და მხიარულ, ეგრეცა მეორე იგი მჯურვალებად განმსუენებელ არს ყოვლითა სახითა.

აწ უკუე, საყუარელნო ჩემნო შვილნო, მოიგეთ მეორე იგი მჯურვალებად თავისა თქუენისად, რადთა აღმცირდეს ყოვლითავე, რამეთუ საღმრთოდ იგი მჯურვალებად ეგრეთ არს, აღმოჰკუეთს ყოველსავე მას ვნებასა განრყუნილსა და იგი განძარცვავს ყოველსა სიძუელესა კაცისასა და მან ყვის ღმრთეებად კაცისა თანა, რადთა იყვნენ ტ[ა]ძარ ღმრთისა, მსგავსად წერილისა მის, ვითარმედ: „დავიმკვიდრო და ვიქცეოდე მათ შორის“.^{85*} უკუეთუ გინდეს, რადთა განყენებული იგი მჯურვალებად თქუენდავე მოიქცეს, საქმე მისი ესე არს, რადთა მოიქცეს იგი თქუენდავე, რადთა კაცმან აღუთქუას აღთქუამდ ღმერთსა და თქუას წინაშე ღმრთისა: „მომიტევენ! მომიტევენ მე, რავდენი ვქმენ უდებებითა და არღარა ურჩ გექმნე.“ და რადთა კაცი არღარა ვიდოდის განსუენებასა ჯორცთასა, არამედ მღვდარე იქმენინ გულის სიტყვთა თვსითა წინაშე ღმრთისა ღამე და დღე და ყოველსა ჟამსა ტიროდენ წინაშე ღმრთისა გულის-კლებით და ამხილებდინ სულსა თვს[ს]ა, ვითარმედ: „ვითარ ესე უდებ იქმენ მოდღენ-დღელად დღედმდე და

^{84*} ?

^{85*} 2 კორ. 6, 16.

ოკერ იყავ ყოველთა დღეთა“. და მოიკსენებდეს ყოველთა მათ სატანჯველთა და საუკუნესა მას სასუფეველსა და ამხილებდეს სულსა თვს[ს]ა ყოველსა ჟამსა და ეტყოდის ვითარ ესე: „ღმერთმან მოგმადლა შენ ყოველი ესე პატივი და შენ უდებ იქმენ; ყოველი ესე სოფელი დაგამორჩილა შენ ქუეშე და შენ უდებ ჰყავ“. და ოდეს ესე რქუა სულსა თვსსა და ამხილებდე მას დღეწ და ღამეწ და ყოველსა ჟამსა, მეყსეულად მოიწიოს კაცისა მის ზედა ღმრთისა მიერი იგი მჭურვალეზად და მეორეწ იგი მჭურვალეზად უმჯობეწს არნ პირველისა მის. რამეთუ რაჟამს ნეტარმან დავით იხილა სიმძიმეწ იგი მოწევნული მის ზედა და თქუა: „წელიწადნი საუკუნენი მოვიკსენენ და ვზრახევდ ყოველთა შინა საქმეთა შენთა და ქმნულსა კელთა შენთასა ვზრახევდ. განვიპყრენ შენდამი კელნი ჩემნი და სული ჩემი ვითარცა ქუეყანად წყურიელი არს შენდამი“^{86*} და შემდგომი. და მერმე კუალად ესადა იტყვს: „რაჟამს მოიქცი და სულთ-ითქუნე, მაშინ სცხოვნდე და სცნა, სადა იყავ“. ^{87*}

წმიდისა ამონადსივე იგ'

უკუეთუ ხვდოდი გზასა ძმათა თანა და იყოს ვინმე უძღური ჯორცითა, მიუტევეთ მას და წინა ვიდოდეს, უკუეთუ დაშურეს უკუანა რად თქუნესა ვიდოდის და სწყლათ გუნებად მისი; და უკუეთუ იყვნენ ძმანი ურთიერთარს და წარხვდე[თ] უცხოთა ქუეყანასა, განიწესეთ თავისა თქუნისა, რადთა გინათუ კელ[თ]-საბანელსა, გინათუ ლოცვასა, გინათუ ტაბლასა ზედა ჰყოფდეთ საქმესა მას განსუე[ნე]ბით, ჰყოთ თვნიერ ცილობ[ისა]. უკუეთუ ერთმან ყოს ერთს[ა] ჯერსა, მერმესა ჯერსა ყოს ს[ხუა]თამან; უკუეთუ ჰკითხვიდ[ე] ბერსა გულის სიტყუათა შენთათვს, ნუ რას დაუფარავ მ[ის]გან შე-თუ-მძღებელ იყოს ტვ[რ]თვად; უკუეთუ ძმათა თან[ა] ხარ, უმჯობე არს შენდა სმენ[ად] უფროდს სიტყვსა; უკუეთუ გესმეს რადმე ბრალი მოყუს[ი]სა შენისად, ნუ ვის უთხრობ, უკუეთუ არა გავრდომა არს სულისა შენისა; გესმეს რად ძმათაგან ზრახვიდენ რად გულის სიტყუათა და შენდა არღა მოწევნულ იყოს იგი ბრძოლად, ნუ გნებავნ სმენად მას, ნუკუე მოიწიოს შენ ზედა იგი ბრძოლად; აიძულებდ თავსა შენსა და ილოცევდ მყოვარ ღამეწ,

^{86*} ფს. 142. 6.

^{87*} ეს. ?

რადთა ნათელ იყოს სულისა შენისა ლოცვად იგი. მოიგონებდ თავით შენით რავდენი სცოდე და თუ ევედრო მათთ[კ]ის, ღმერთმან მოგიტევნეს შენ; უკუეთუ იძულოს ძმამან ძვრის სიტყუად ძმისა თვისისათვის შენ, თანა ნუ გრცხუენინ მისგან, ნუ ერჩი მას და სცოდავ ღმრთისა მიმართ, არამედ არქუ მას სიმდაბლით: შემინდვე მე ძმაო ჩემო. მე უძლური ვარ და მაგას რომელსა იტყვ, ვერ შემძლებელ ვარ თავსდებად, რამეთუ ჩემი არს; უკუეთუ ვინმე ბოროტსა გიყოფდეს შენ და სხუად ძვ[რ]სა იტყოდის მისთვის შენ თანა, ეკრძაღე გონებასა შენსა, ნუ[უ]კუე აღგ[ე]მატოს უკეთურებად მას შინა. არამედ მოივსენებდ ცოდვათა შენთა, რადთა მოგიტევნენ იგინი; უკუეთუ წარხვდე უცხოსა სოფელსა ძმათა თანა და არა იცნოდი იგინი და თუ იყვნედ უმწემეჭს შენსა, მიუტევე მათ ადგილი უხუცეჭსობისა და თუ მიხვდე ვისამე მოყუსისა შენისა, მათ მიუტევე ადგილი ყოველსა შინა, გინათუ ჳელთ-საბანელსა, გინათუ ტაბლასა ზედა. ნუ ეგრე ხარ, ვითარმცა რეცა თუ შენთვის შეიწყნარნეს იგინი, არამედ უფროდსა პატივ-სცე მათ და თქუ, ვითარმედ: თქუენტვის ყო წყალობაი ჩემ თანა; უკუეთუ ხვდოდი გზასა ძმათა თანა და მიხვდე ადგილსა და იყოს მუნ შენი მოყუარეჭ და გინდეს რამე სიტყუად მისთანა და ძმანი იგი დგენ და გელოდიან და დაგიყენებდეს ძმად იგი ჳამად, ნუ რას გემოსა იხილავ, უკუეთუ არა მოიყვანნე ძმანიცა იგი შენ თანა, რადთა განისუენონ; ხვდოდი თუ გზასა ძმათა თანა და იყვნენ მრავალ და მიხვდე ადგილსა და გესუას მუნ მეგობარი და გეკდიმებოდის მოყვანებად მათი დადგომად მის თანა, რამეთუ მრავალ არიან, ნუ უდებ ჳყოფ, ვითარმცა მიხუედ მეგობრისა შენისა და დაუტევენ ძმანი იგი, არამედ აზრახე მათ, თუ ვითარ ჯერ არს ყოფად და რადცა გრქუან, ერჩიდი მათ. ხვდოდი რად შენ მათ თანა, იყავ შენ მდაბალ ყოველსა შინა; უკუეთუ მიხვდე უცხოსა სოფელსა და გინდეს დადგომის ძმათა თანა და არა ენებოს შეწყნარებად შენი და იხილო იგი გზასა ზედა, გინა შენდა მოვიდეს მდგურად ვითარცა უცხო, ყავ მის თანა წყალობად უფროდს ხოლო და უმეტეჭს და ნუ რას ეტყვ მას, არამედ იხარებდ მის თანა; უკუეთუ გესმეს, ვითარმედ ძმად შენთვის ძვრსა იტყოდა და შეემთხვო მას, გინა მოვიდეს შენდა სენაკად, მხიარულითა პირითა მოიკითხე იგი და ძალისაებრ შენისა იხარებდ მის თანა და ნუ რას ეტყვ სიტყუათა მათგანსა, რომელ გესმეს მისთვის, რამეთუ წერილ არს: „მიუტევეთ და მოგიტეოს“;^{88*} უკუეთუ იყვნენ ძმანი უცხოებასა და გინდეს დადგომის ძმისა ვის თანა-მე მკოდვისა,

^{88*} შდრ. მთ. 6, 14.

ნ[უ]რას დაუმძიმებთ სა[ჭმ]ლითა, არამედ იყიდეთ თავის[ა] თქუენისა საჯმარი. ვიდრემდის დ[ა]-ცა-გიშთეს კმა იყავნ თ[ქუენ] საფარველი იგი სავან[ისა] მის, რადთა არა იურვოდ[ეს] ძმა იგი; უკუეთუ იყ[ო]ფვოდთან ძმანი შენ თანა და გერჩდენ, ილუწიდ მათთუ[ის] ვითარცა იგი, რამეთუ სიტყუად მიცემ[ა]დ გიც მათთვს; უკუეთუ უცხო-ქმნულ იყო ღმრთისათ[ვს] ნუ გნებავნ შენ თანაშერ[თ]ვად თავისა შენისა მკუ[იდ]რი მის ქუეყანისად, ნუცა იპოვებინ სიტყუად შენი მათ შორის უკუეთუ არა უმჯობეჭს არს; თუმცა თვს[ს]ა ს[ო]ფელსა იყოფვოდე თვსთა შენთა თანა კორციელად, უკუეთუ გინდეს მისლვად მამათა, გინა მთად კერძო, გინა მონასტრად, მიხვდე მეგობრისა შენისა. ნუ მიხუალ სხვს[ს]ა სენაკსა, უკუეთუ არა პირველად მას ჰკითხო, ვითარმედ - გინებს ანუ არა? და რადცა გრქუას, იგიცა ყავ, ვიდრე გამოსლვადმდე მისგან მშვდობით და გონებად ორთადვე განსუენებულ იყოს; უკუეთუ დაიპყრა თავისა შენისა სენაკი რომელსავე ადგილსა, ვითარცა უცხომან, ნუ მოიგებ თავისა შენისა მეგობარსა მრავალსა, კმა იყავნ ერთიცა უძლურებისა მიზეზისათვს; უკუეთუ ჰყოფდე წყალობასა ძმისა თანა გლახაკისა, ნუ მიიყვანებ მას საციქუელსა, რადთა არა წარსწყმიდო სასყიდელი ქველის საქმარისა შენისად; უკუეთუ შეხვდე ძმისა ვისამე ხილვად მისა და გრქუას შენ - დაჯედ აქა მცირედ, ნუ შეხუალ სხუასა სენაკსა მისსა განცდად რადსამე, თვნიერ მისა; ჰჯდე რად სენაკსა შინა შენსა, ნუ რას მოიგებ დამაბრკოლებელსა შენდა მცნებისა მისგან ძმისა შენისა უჭმდეს თუ მას იგი და საჯმარი ხოლო თუ გაქუნდეს და უმეტეჭსი არა გაქუნდეს, ნუ გნებავნ განზნევად, რადთა არა შფოთსა შევარდე. უმჯობე არს შენდა, რადთა ერთი ასოთა შენთაგანი წარწყმდეს, ვიდრე არა ყოვლისა გუამისა შენისა წარწყმედად გეჰენიასა შინა; უკუეთუ განყენებულ ხარ კორციელად ნათესავთაგან, ნუ მიიზიდვი ვსენებითა მათითა, ჰჯდე რად სენაკსა შენსა, წყალობასა მამა-დედისასა, გინა სიყუარულსა დისა-ძმისასა, გინა სურვილსა ძეთა და ასულთასა, გინა გულისთქუმასა ცოლისასა, რამეთუ დაგიტევებიან იგინი ღმრთისათვს. მოივსენე ჭირი იგი, რომელ ყოფად არს სიკუდილსა ჟამსა, რამეთუ არცა ერთი მათგანი (შემძლებელ არს) შეწევნად შენდა; ჰჯდე რად სენაკსა შენსა და მო-ვისიმე-გეკსენოს რომელსა ბოროტი ეყოს შენდა, აღდეგ მსწრაფლ და ულოცე მას ყოვლითა გულითა შენითა, რადთა მოეტეოს მას და გ[უ]ლის სიტყუად იგი შურისგებისად დასცხრეს შენგან; უკუეთუ გამოგცდიდენ მტერნი ღამე უცნებითა სიძვისადთა, ეკრძალე გულსა შენსა დღისი, ნუ[უ]კუე წარიტყუენოს გემოდთა მათითა და მოაწიონ დაცემად

სულსა შენსა. არამედ შეუ[ვ]რდი ღმერთსა ყოვლითა გულითა შენითა და შეგეწიოს შენ, რამეთუ მწყალობელ არს უძლურებასა კაცთასა; უკუეთუ იმარხავ, ნუ მოსავ ხარ გულითა შენითა, ვითარმედ მან დაგიცვეს შენ, არამედ რქუა გულის-სიტყუასა მას შენსა: ძვრის ხილვითა ამით ჯორცთა ჩემთადათა ღმერთმან ისმინოს უძლურებისა ჩემისა; უკუეთუ ვინმე გაყუედრებდეს შენ, გი[ნა]თუ გაგინებდეს, ნურას მიუგებ, ვიდრემდის დადუმნეს და თუ ეძიებდე თავსა შინა შენსა, ჰპოვო შენ თანა, რად იგი გესმა მისგან, არამედ ისწრაფე და მივედ და შეუ[ვ]რდი მას, ვიდრემდის განჰკურნო იგი, და სიყუარულმან ღმრთისამან შეგიწყნარნეს თქუენ; უ[კ]უეთუ ხვდოდე გზასა ძმ[ათა] თანა და იყოს ვინმე შენი [მოყ]უარეჲ თქუენ თანა, დაიცევ თ[ავი] შენი და ნუ კადნიერ იქმნე[ბი] მისა მიმართ, ნუკუე იწყ[ლას] გონებაჲ სხუათაჲ მათ [და] სცოდო; მი-თუ-ხვდე უცხო[სა] სოფელსა და შეხვდოდი, დადგომადმდე ნუ წინაისწარ განიზრახავ, ვითარმედ დიდ[ი]თა სიხარულითა შეწყნარ[ებ]ად ხარ, არამედ თქუ: შე-ხოლო-თუ-ძი[წყნარონ, ვჰმადლობდე ღმერთსა]; უკუეთუ უძლურებასა [შე]ჰვარდე, სჯდე რად სენაკ[სა] შენსა, ნუ სულმოკლე იქმნები, არამედ უფროდსა ჰმადლობდ ღმერთსა; უკუეთუ იხილო თავ[ი] შენი სულმოკლეჲ, არქუ მას: რადსა იურვი, არა არსა ესე შენდა უმჯობეჲს გეჰენიადსა მის, ვიდრე შენ მიმავალ იყავ“? და (და) დადუმნეს; უკუეთუ შეხვდე ძმათა თანა და გრქუას ვინმე ერთმან მათგანმან ვითარმედ, ვერ განვისუენებ აქა, არამედ შენ თანა მინებს ყოფის, ნუ სცემ მას ადგილსა, რადთა არა სხუანი დაბრკოლდენ მრავალნი. უკუეთუ თქუას, სული წარმიწყმდების გულის სიტყუათაგან ფარულთა, მაშინ ეც მას ადგილი, რადთა მიივლტოდეს სხუასა ადგილსა, ხოლო შენთანა ნუ უტეობ ყოფად. ყოვლისა გულის სიტყუსა, რომელი გბრძოდეს, ნუ გრცხუენინ გამოცხადებად წმიდათა მამათა და განისუენო. არა რად სიხარულ სცემს ეშმაკსა, ვითარ კაცი, რომელი ჰფარვიდეს გულის სიტყუათა თვსთა; სჯდე რად სენაკსა შენსა, მიეც საწმარი ჯორცთა შენთა რავდენ კმა ეყოფოდის, რადთა შეუძლო დგომად შრომასა მას მსახურებისასა და ნუ გინებნ მისლვის მრავალსა ადგილსა. გარეშე რად იყო სენაკსა შენსა, ყოველსა საჭმელსა წინა დაგებულსა შენსა ნუ შჭამ მამდრივ გულის თქუმით, რადთა არა იქმნე შინა-გამცემელ სენაკისა შენისა. უკუეთუ გარწმუნებდენ ეშმაკნი მარხვასა, რომელსა ვერ შემძლებელ იყო ტვრთვად, ნუ ერჩი მათ, რამეთუ გაუჯურვიან გული კაცსა, რომელსა შეუძლიან, ვიდრემდის შევარდეს იგი ჰელთა მათთა და განიხარონ, რამეთუ ყოველივე ეშმაკთაჲ დაუწყნარებელ არს;

ერთ გზის ჭამე დღესა შინა და მიეც საკმარი ჯორცთა შენთა, რადთა აღ-რად-სდგებოდე გინდეს-და ღამის თევად შენი; იყავნ დაწყნარებულად და ნუ დააკლებ ჯორცთა (შენთა) საკმარსა მათსა, არამედ კანონსა მას შენსა ჰყოფდი შიშით და ყუდროებით. კმა იყავნ შენდა ზოგი ღამისად განსასუენებელად ჯორცთა და ნეშტი ღამისად სამსახურებელად კანონისა შენისა; უკუეთუ იხილო თავი შენი მცონარედ, არქუ მას: გინებსა, რადთა განისუენებდე საწუთროსა ამას ჟამსა და მიხუდე საუკუნესა სატანჯველსა, ანუ რადთა აჭირო მცირედ ჟამ აქა და მუნ განისუენებდე წმიდათა თანა? და თუ აიძულო თავსა შენსა მცირედ-მცირედ ჟამ, მოგცეს შენ ძალი;

უკუეთუ მონაზონი ხარ და გვიის მონად და იპყრა იგი შენ თანა, აგინებ ხატსა მაგას და თუ მი-ვის-ანიჭო სცოდავ ქრისტეჴს მიმართ. უკუეთუ უნდეს მონაზონ ყოფის ნუ უტეობ შენთანა დგომად, რადთა არა სარგებელ ეყოს სულსა შენსა, არამედ განათავისუფლე იგი და სადაცა უნდეს ყოფის, იყოფოდეს;

უკუეთუ ყოვლისაგან ჯმნულ იყო და არა რად დაგეშთინოს თავისა შენისა და იხილო თავი შენი, რამეთუ გინებს მიმოსლვის და გონებითა უძლური იყო, ზღვევა არს სულისა შენისა, უფროსდა შურებოდე ჰელთსაქმარსა შენსა და შჭამდე პურსა შენსა [ყუ]დროებით;

უკუეთუ მიხუედ ქალაქად, გინა დაბად განსყიდ[ა]დ ჰელთსაქმარისა შენისა, [ნუ] აცილობ სასყიდელსა მისსა, ვითარცა ერის კაცი, არამედ მიეც იგი [ვითარცა] შეჰგვანდეს და არა წარწყმიდო ძალი სენაკისა შე[ნი]სა; უკუეთუ იყიდდე სა[ხ]მარსა სენაკისა შენისათუ[ის], ნუ აცილობ სასყიდელსა მი[ს]სა, უკუეთუ ესოდენის ა[რა] მომცე, არა მოვიდო. უკუეთუ[უ] არა გაქუნდეს [ს]ასყიდელი მისი, დაუტევე იგი ქუეყანასა ზედა განსუენებულად;

უკუეთუ გრქუას შენ ძმამან შენმან, ვითარმედ ყავ სიყუარული და მიყიდე რადმე, შე-რად-ხვდოდი სავაჭროდ, ვითარცა იყიდო თავისა შენისათვს ეგრეცა მას უყიდე;

უკუეთუ უნებელი რადმე იყოს შენდა და შეხვდე დაბად საკმრისათვს, დაიცევ თავი შენი ნათესავთაგან ჯორციელად და ნუ მათ თანა აღერევი, რადთა არა შეილო შენ თანა ტყუეობად სენაკად შენდა;

უკუეთუ რადმე ავასხო ძმასა შენსა და იცოდი, რამეთუ არად აქუს რად მოგცეს, ნუ რას ეტყვ რომლისავეთუ[ი]ს, კერმად იყოს ანუ სამოსელი, ანუ თუ სხუად რადმე იყოს საკმარი.

უკუეთუ მიხუ[ი]დე რომელსამე ადგილსა ყოფად და დაიპყრა სენაკი და წარ-რამე-
აგო მისთვის საშეწნებებელად და შემდგომად რავდენისამე ჟამისა წარხუ[ი]დე მიერ
ადგილით და სხუამან ძმამან დაიპყრას იგი სენაკი და უკმო იქცე რავდენისამე ჟამისა
შემდგომად მასვე ადგილსა, არა გამოავლინო ძმა იგი სენაკისა მისგან, რადთა (არა)
სცოდო ღმრთისა მიმართ, ხოლო უკუეთუ უნდეს თვსით ნეფსით გამოსლვის სენაკით,
უბრალო იყო.

გამო-თუ-ხუ[ი]დე სენაკით, იხილე, ნუ რად გამოგაქუნ საკმარი რავდენი რად იყოს მას
შინა, არამედ დაუტევე იგი სხვსა ძმისა გლახაკისათვს და ღმერთმან ისმინოს შენთვის
სადაცა (იყო) მიხუ[ი]დე.

ეკრძალე თავსა შენსა ჟამსა ზიარებისასა წმიდისა საიდუმლოსა, ნუუკუე გაქუნდეს
ვისთვის-მე გულის კლებად და მოილო დასარჩელად თავისა შენისა.

უკუეთუ გამოგეცხადოს შენ სიტყუად წმიდისა წერილისადა გამოთარგმანებად,
გამოთარგმანე, არამედ ეკრძალე თავსა შენსა, რადთა არა წერილი იგი დაქსნე და ბუნებასა
შეუდგე უფროდს წმიდისა მის წერილისა, რამეთუ სახეწ არს ესე ამპარტავანებისადა.

უკუეთუ სცთეს ძმა შენი წმიდისაგან სარწმუნოებისა უმეცრებით, გინათუ შესცთეს
მწვალებელთაგან და თუ მოაქციოს, ნუ შეურაცხ[კ]ყოფ, რამეთუ არა თვსით ნეფსით
დაეცა.

ეკრძალე თავსა შენსა მწვალებელთაგან, რადთა არა შეადგე სიტყუასა მათ თანა.
გინდეს რადთამცა და[ა]მტკიცე სარწმუნოებად თვსი, რადთა არა ავნოს გესლმან სიტყუათა
მათთამან გულსა შენსა და მისდრკე. ჰპოო თუ წიგნი მწვალებელთადა, ნუ გნებავს
კითხვად მათ შინა, რადთა არა ადავსონ გული შენი სიკუდილითა, არამედ რომლითაცა
ნათელიდე მართლმადიდებლობით, ეგრეცა შეიკრძალე წმიდადა და უქცეველი სამებადა,
ნუცა შესძინებ, ნუცა მოაკლებ, რადთა გარდაჰყვნე ყოველნი ჟამნი შენნი მშვიდობით.

უკუეთუ ჭაბუკ ხარ და აწვე არა ადგისრულებიეს მონებად იგი ძვრის ხილვ[ისადა]
ჯორცთა შენთადასა და [გეს]მოდის შენ დიდ-დი[და]თა მათ სათნოებათათვს მამა[თადა]სა,
ნუ გინებნ მიწდოლვის [უშ]რომელად, რამეთუ არა მოვიდ[ეს] შენდა უკუეთუ არა [ჰყო]
საქმარი მათი პირველა[და]. უკუეთუ ჰყო შრომადა მა[თი] პირველადა, თვთ მოვიდ[ენ]
იგინი შენდა.

დაიცევ თავ[ი] შენი მცონარებისაგან, რამეთუ იგი არს რომელი წარსწყმედს ყოველსა ნაყოფსა მონაზონებისასა; უკუეთუ ილუწიდე ვნებათათჳს, ნუ [გე]წყინებინ, არამედ შეურდი ღმერთსა ყოვლითა გულითა შენითა დ[ა] იტყოდე, ვითარმედ არა რად ძალმიც და მუნთქუესვე შე[გე]წიოს.

უკუეთუ ილუწიდე მტერთა შენთათჳს და იხილო, რამეთუ განგეყენნენ, ნუ გიხარინ გულითა შენითა, რამეთუ სიბოროტეჲ ეშმაკთად უკუანა კერძო მათსა არს, რამეთუ განმზადიან ბრძოლად უბოროტეჲსი პირველისა მის და დაუტევიან უკუანა კერძო ქალაქსა და ამცნიან, რადთა არა იძრას და თუ წინა კერძო ჰბრძოდი ქალაქსა, ივლტოდიან შენგან ვერაგობით, და თუ გონებად აიმაღლო და ესვიდე ძალსა თჳსსა და დაუტეო ქალაქი და დევნა უყო შემდგომად მათსა და იხილონ, რამეთუ დაუტევე ქალაქი, რომელნიმე წინა მოგიკდენ პირისპირ, რომელნიმე აღდგენ უკუანა კერძო და შეაყენიან უბადრუკი იგი სული შორის მათსა და არა აქუნ ვიდრემცა მიივლტოდა. რამეთუ შევრდომად ღმრთისად დაუცადებულად, ესე არს ქალაქი, რამეთუ რომელი შეურდეს ღმერთსა ყოვლითა გულითა თჳსითა შეეწიოს ყოველსა შინა განსაცდელსა. უკუეთუ ევედრებოდი ღმერთსა, რადთამცა შეგეწია შენ განსაცდელსა შინა და არა ისმინოს შენი, ნუ სულმოკლე იქმნები, რამეთუ მან იცის, რომელი უმჯობე არს შენდა, ვიდრეა შენ.

უკუეთუ ევედრებოდი ღმერთსა ყოვლისავეთჳს თხოვისა, ნუ იტყვ, ვითარმედ აღიდე ესე ჩემგან, ანუთუ მომეც, არამედ ესრეწთ ილოცევდ: „უფალო იესო ქრისტე, შენ ხარ შემწეჲ ჩემი, ჳელთა შენთა შინა ვარ, ნუ მიტევებ ცოდვად შენდა მიმართ, რამეთუ შეცთომილ ვარ, ნუ მიტევებ მე შედგომად ნებასა ჩემსა ბოროტსა. ნუ მიტევებ მე წარწყმედად ცოდვათა შინა ჩემთა, შემიწყალე დაბადებული შენი. ნუ განმაგდებ მე პირისა შენისაგან ცოდვათა ჩემთათჳს, რამეთუ შენ შეგევედრები; განკურნე სული ჩემი, რამეთუ ვც[ო]დე; შენ წინაშე არიან ყოველნი მაჭირებელნი (ჩემნი), არა მაქუს შესავედრებელი შენსა გარეშე უფალო, უფალო მაცხოვრე მე წყალობითა შენითა. რცხუნოდენ ყოველთა, რომელნი მაჭირებენ მე და რომელნი ეძიებენ სულსა ჩემსა მიღებად მას, რამეთუ შენ უფალო, ძლიერ ხარ ყოველსა ზედა და შენი არს დიდებად საუკუნეთა მიმართ, ამენ!“ და შენ თანა ცნობად იგი ზრახვიდეს გულისა შენისა თანა ფარულად, თუ რომლისა საქმისათჳს და რადსათჳს ღმერთი არა ისმენს შენსა, ამიერითგან ნუ შეურაცხყოფ მას, არამედ რასაცა გეტყოდის, ჳყოფდ, რამეთუ არა ისმინის ღმერთმან

კაცისად, უკუეთუ არა განიშორნეს ნებანი თვისნი და დაემორჩილოს ღმერთსა. არა შორს არს კაცთაგან, არამედ ბოროტნი ნებანი ჩუენნი ზღუდე მექმნიან ჩუენ მისა მიმართ, რადთა არა ისმინოს ჩუენი.

აწ უკუე ვერჩდეთ, საყუარელნო, შიშითა ღმრთისადთა ვიმარხვიდეთ და აღვასრულებდეთ კორცთა შრომასა მას ჩუენსა. ნუმცა ვსცემთ დაბრკოლებასა თანაცნობასა ჩუენსა. ვეკრძალნეთ თავთა ჩუენთა შიშითა ღმრთისადთა, რადთა განმათავისუფლნეს ჩუენ და გუექმნეს ჩუენ შორის მცველ და [გუა]სწავებდეს ჩუენ თითუეულსა, რომელსა შევცვვით უმეც[რებიტა], ნუკუე განმეყენოს და [შევევარ]დეთ კელთა მტერთასა [და] არა შემიწყალნეს ჩუენ, ანუ მასწავა ჩუენ. უფალმან ჩუენმან იესო თქუა: „სცნობდ წინა მოსაჯ[ული]სა შენისა ვიდრე ხარდა გზას[ა] მის თანა, ნუ[უ]კუე მიგცეს მსაჯულსა და მსაჯულმ[ან] მიგცეს მსახურსა და მსახ[ურ]მან მიგცეს შენ საპყრობილ[ედ]. ამენ, გეტყვ შენ, არა გამოხ[ვ]დე მიერ, ვიდრემდის არა უკუ[ან]აისკნელი იგი წულილი მის[ცე]“.⁸⁹ იტყუ[ი]ან, ვითარმედ თანაცნობად იგი არს მოსაჯულ, რამეთუ წინა აღუდგის კაცსა, რომელსა უნებნ ყოფად ნებისა თვისისა კორციელად და თუ არა ისმინის მისი, მისცის იგი მტერთა მისთა, ამისთვსცა [მო]სე იგლოვდა ეფრემს დ[ა] იტყოდა: „მძლავრ არს ე[ფრემ] წინა მოსაჯულისა თვისისა. დათრგუნა სამართალი, მიიძლია ეგვპტედ და ძლით წარიყვანა ასურასტანდ“. ეგვპტისა მოძიებად აცნობებს გულისა ვნებათა გამოძიებასა, ხოლო მიყვანებად ასურასტანდ, ესე იგი არს გინა თუ უნებს, გინა არა უნებს, ჰმონებს მტერთა მისთა.

ვილუაწოთ უკუე ძმანო, რადთა არა შევცვვით კელსა ნებათა ჩუენთასა კორციელად და მიმიყვანნეს ჩუენ ასურასტანდ და გუესმეს მწარეწ იგი კმად, ვითარმედ მოვიდა მეფეწ ასურასტანისად ქუეყანად ისრაჴლისა და წარიყვანა ეფრემ და ისრაჴლი ასურასტანდ და დააშენ(ა)ნა იგინი ელას და აბორს მდინარეთა ზედა ქუშონისათა და საზღვართა ხუჟიკეთისათა ვიდრე აქა დღემდე. მაშინ მოავლინნა მეფემან ასურასტანისამან ნათესავისა მისგან თვისისა, რადთა დაემკვდრნენ ქუეყანასა ისრაჴლისასა და კაცად-კაცადმან მათმან იქმნა გამოქანდაკებული, რადთა მსახურებდენ მას. ესე ეყო ეფრემს, რამეთუ მსძლავრა მოსაჯულსა თვ[ს]სა, დათრგუნა სამართალი.

⁸⁹* მათ. 5, 25.

იხილეთ ძმანო ჩემნო, რომელნი ჰყ[ო]ფთ და შეუდგთ ნებასა თვ[ს]სა ჯორციელად, რაჲ შეემთხუევის. ნუმცა უკუე ვჰბადავთ მათ, საყუარელნო, არამედ ვჰბადვიდეთ ყოველთა, რომელნი არა მიერჩდეს ცოდვასა ვიდრე სიკუდილდმდე, არამედ დაემორჩილნეს წმიდასა მას თანაცნობასა მათსა საღმრთოსა, ვიდრემდის დაიმკვდრონ სასუფეველი საუკუნოდ, რამეთუ ილუაწეს მტერთა მათთა ზედა და არა ამოდ დაშურეს. არა ვითარ იგი ჩუენ ვყვით, რამეთუ ვყვით შრომად იგი ჩუენი და არა დავიმარხეთ იგი, ვსხდით სენაკსა შინა და შინაგანი ჩუენი კაცისა სიბილწესა გურობნ. ვჰყოფდით გალობასა ჩუენსა და გონებისა მიმოტაცებითა ტყუე იქმნის იგი ჩუენგან; ვჰყოფდით მარხვასა და ძვრის-სიტყუად მიიღებნ ჩუენგან; დავიმდაბლნეთ ჯორცნი ჩუენნი შრომითა და რუდუნებითა და ცუდად ზუაობამან წარწყმიდის იგი ჩუენგან; ვიწრთვდით სიტყუასა ღმრთისასა და ზრახვამან ჩუენმან ამოდსა სიტყვთა ამის ცხოვრებისადთამან განაქარვის ჩუენგან; ვსცით პური ჩუენი ნაკლევანთა და სიძულვილმან და შეურაცხებამან მოყუსისამან წარწყმიდის იგი და დაუდგით ტაბლად ძმასა და ძვრობამან წარწყმიდის სასყიდელი ჩუენგან. ამას ყოველსა შევცვვით, რამეთუ არა ვერჩით თანაცნ[ო]ბასა ჩუენსა საღმრთოსა. აწ უკუე ვილუაწოთ დამარხვად შრომასა მას ჩუენსა, რადთა ვპოოთ წყალობად წმიდათა თანა, რომელ დაიმარხნეს შრომანი მათნი მადლითა. აჰა ესერა საქმ[ე]ნი ახლისა დ[ა] ძუელისა კაცისანი. რომელსა [უნ]დეს ცხორებად სულისად, [ილუა]წენ დამარხვად ახლის[ა] კაცისა; რომელსა უნდეს თავ[ისა] თვსისა განსუენებად [ხორ]ციელად მცირესა ამას და აღასრულებდეს ძუელი[სა] კაცისასა, სული თვსი [წარიწყ]მიდოს მერმესა მას საუკუნესა. უფალმან ჩუენმან იესო ქრისტემან გამ[ოა]ცხადა ახალი იგი კაცი წმიდით[ა] მით ჯორცითა მისითა, რამეთუ იტყ[ვს]: „რომელსა უყუარდეს სული თუ[ისი] წარწყმიდოს იგი და რომელმან წ[ა]რიწყმიდოს სული თვსი ჩ[ემ]თუ[ის]ს, მან პოოს იგი“.⁹⁰ რამეთუ იგი [თავ]ადი არს უფალი მშვდობისად [და] მის მიერ დაჯსნდა შუა [კე]დელი იგი მტერობისად და იტყოდა: „არა მოვედ მიფ[ე]ნად მშვდობისა ქუეყანასა ზედა, არამედ მახვლისა“.⁹¹ მერმე იტყ[ვს]: „ცეცხლისა მოვედ მიფენად ქუეყანასა ზედა და რაჲ მნებავს, რადთა აწვე აღევზნეს“.^{92*} იგივე სიტყუად

^{90*} მთ. 10, 39

⁹¹² არაჲ ჰნებავს. ²² უკ[ყ]ო.

* მთ. 10, 34.

^{92*} ლუკ. 12, 49.

არს, რამეთუ რომელნი შეუდგეს კუალსა მისსა, დაემკვდრა მათ შორის ცეცხლი იგი ღმრთე[ე]ბისაჲ. მაშინ პოვის მარგალიტი იგი სულისაჲ და მოიკუდინნეს ყოველნი იგი ნებანი ჯორციელად და მერმე ესმა ჴამად იგი ყოვლითა სიხარულითა: „მოვედით, კურთხეულნი მამისა ჩემისანო და დაიმკვდრეთ განმზადებული თქუენთჳს სასუფეველი დასაბამითგან სოფლისაჲთ, რამეთუ მშობდა - მეცით მე ჴამადი, მწყუროდა და მასუთ მე, შიშუელ ვიყავ და შე[მ]მოსეთ მე, უცხო ვიყავ და შემიწყნარეთ, უძლურ ვიყავ და მომხედეთ, საპყრობილეს ვიყავ და მოხუედით ჩემდა“.^{93*} აჰა, ესერა, რომელთა წარიწყმიდნეს თავნი თჳსნი მცირესა ამას ცხორებასა, პოვეს იგი ჟამსა მას ჴირისასა და უკმოიგეს სასყიდელი მრავალწილად, ხოლო რომელთა შეიყუარეს სული თჳსი ამოსა ამას სოფელსა, შეცთეს გემოთა მისთა და არა დაიმარხნეს მცნებანი ღმრთისანი, არამედ ჰგონებდეს, ვითარმედ სრულიად დაადგრენ ამას ცხორებასა და გამოცხადნა სირცხვლი პირისა მათისაჲ ჟამსა მას ჴირისასა და ესმეს მათ საშინელისა მის განჩინებისაჲ, რომელსა იტყჳს: „ვიდოდეთ ბნელსა მას გარესკნელსა, რომელი განმზადებულ არს ეშმაკისათჳს და მსახურთა მისთა, რამეთუ მშობდა და არა მეცით მე ჴამადი, მწყუროდა და არა მასუთ მე, უცხო ვიყავ და არა შემიწყნარეთ მე, შიშუელ ვიყავ და არა შემმოსეთ მე, საპყრობილეს ვიყავ და არა მოხუედით ჩემდა“.^{94*} ხოლო მათ დაეყოს პირი და არა რაჲ პოონ, რადმცა მიუგეს, რამეთუ მოეკსენა უწყალოებაჲ იგი თჳსი და გლახაკთა მოძულეებაჲ. ჰრქუეს უფალსა: ოდეს გიხილეთ შენ ესრეჴთ და არა გიყავთ ესე ყოველი? მაშინ დაუყო პირი მათ და ჰრქუა: რომელმან კეთილი უ[ყ]ო ჩემდა მომართ მორ[წ]მუნეთა, იგი მე მიყო და რომელმან ბოროტი უყო ჩემდა მომართ მორწმუნეთა, მან მე ბოროტი მიყო“.^{95*} აღვიხილვიდეთ თავთა თჳსთა საყუარელნი, უკუეთუ აღვასრულებთ მცნებ[ა]თა მისთა, ნუკუე ვღაღადებდეთ დღესა მას სარჩელისასა და მრცხუნეს, რამეთუ თანა გუედვა ჩუენ ყოველთა მცნებათა მისთა აღსრულებად მსგავსად ძალისა თჳს[ი]სა - მდიდარსა სიმდიდრისაებრ თჳსისა ფასის საცავსა მასცა, რომელნი შთასდებდეს მდიდარნივე იყვნეს, არამედ განმხიარულდა [უ]ფროის ქურივისა მისთუ[ის] დამკოდვისა ორთა მათ წულილთა ზედა, რამეთუ ღმერთი გულსმოდ[გინე]ბასა ეძიებს ჩუენგან. ნუუკუე ვსცემთ ადგილსა მცონარებისასა და [ვიტყ]ვთ ვინაჲ ვპოოთ, რადთა [მო]შურნებამან

^{93*} მთ. 25, 34-36.

^{94*} მთ. 25, 43.

^{95*} შდრ. მთ. 25, 41-45.

გამოგუთხ[ივ]ნეს ჩუენ ღმრთისაგან. აღვასრულებდეთ უკუე მცნებათა მისთა სიმკოდვისაებრ ჩუენისა, რადთა არა გამომ[თ]კი[ვ]ნეს ჩუენ ჟამსა მას ჭირისასა, რამეთუ არა არს თუალთლებ[ად] მის წინაშე, რამეთუ ვითარცა აღადგინა ა[სუ]ლი იგი მღდელოთმოდურისად მის ცრემლთა მათ[კს] მამისა თვისისათა, შეიწ[ყ]ალა კუალად წიდოვანი იგი, რომელსა წარეგო მ[ო]ნ[ა]გები თვისი მკურნალთათუ[ის], ვიდრე მისა მოწევნამდე და ვითარცა განკურნა ძეწ სამეუფოდსა მის კაცისად, რამეთუ ჰრწმენა, შეიწყალა კუალად დედაკაცი იგი ქანანელი კუალად წყინებისა მისთვის და ვითარცა აღადგინა ლაზარე მეგობარი თვისი, აღადგინა კუალად ძეწცა იგი მხოლოდ შობილი მკოდვისა მის ქურივისად ცრემლთა მათთუ[ი]ს და ოდეს, ვითარცა განმხიარულდა მარიამისთვის, ოდეს იგი ნელსაცხებელსა სცხებდა ფერჯთა მისთა, არავე უგლებელსყო დედაკაციცა იგი ცოდვილი, რომელმან იგი სცხო ნელსაცხებელი ფერჯთა მისთა ცრემლთა თანა და ვითარცა უწოდა პეტრეს და იოვანეს ნავით გამო მამისა თვისისაით და რქუა მომდევდით მე, უწოდა კუალად მათეოზსცა, ჯდა რად საზუერესა და ვითარცა დაჰბანა ფერჯნი მოწაფეთა თვისთა, არავე განაგდო მათგან იუდაცა და ვითარცა აღივსნეს მოწაფენი მისნი სულითა წმიდითა, ეგრევე გარდამოჰდა კორნელეწს ზედაცა განცხადებულად და რომელნი მის თანა იყვნეს. და ვითარცა აიძულა ანანიას დამასკეს შინა პავლეწსთვის და რქუა აღდეგ და მივედ რამეთუ ჭურ რჩეულ არს ჩემდა, ეგრევე აიძულა კუალად ფილიპესცა სამარიას ეთიოპელისა მისთვის საჭურისისა კანდაკეწსისა.

წმიდისა ამონაღსივე მე :იდ:

ყოველის პირველად მოვიკითხავ სიცოცხლესა თქუენსა არახილულთა მათ შინა, საყუარელნო ძმანო, რამეთუ ხილულნი ესე საწუთრო არიან, რამეთუ არა ხილულნი იგი საუკუნე არიან. ვხედავ, ვითარ ნაყოფი თქუენი იქმნა მუნად და ყოვლად ცოცხალ არს. უკუეთუ ნაყოფი კაცისად ცოცხალ იყოს, მოსცეს მას ღმერთმან სამკუ[იდრებელი] (?) და შეირაცხოს იგი ნაწილსა მას ღმრთისასა და მოაგოს მას (ღმერთმან) მოსაგებელი ყოველთა მათ წილ შრომათა, რამეთუ შურებოდა დამარხვად ამას ყოველსა ნაყოფსა ცოცხალსა. აწ უკუე მიხარის თქუენ ზედა, რამეთუ ცოცხალ არს, ხოლო რომლისა ნაყოფი მომკუდარ იყოს, არა შეირაცხების ნაწილსა მას ღმრთისასა. არამედ უფროდსდა აბრალეხს ღმერთი

მათ და ეტყვს წინასწარმეტყუელსა, რადთა აჩუენოს, რამეთუ ნაყოფი მათი მომკუდარ არს: „ლაღადყავ ძლიერად და ნუ ერიდები და ვითარცა საყვრმან აღიმაღლე ჳმად შენი და უთხრენ ერსა ჩემსა ცოდვანი მათნი და სახლსა მას იაკობისსა ურჩულოებანი მათნი. მე დღითი-დღედ მეძიებენ და მოახლებად ღმრთისა გული უთქუამს და იტყვან: „რად არს, რამეთუ ვიძარხევ[დით] და შენ არა იხილე? და[ამდ]აბლენით სულნი ჩემნი და (?) არა სცან. მიუგო და რ[ქუა] მათ, რამეთუ დღეთა მათ მძ (?) თქუენისათა იპოვის თქუენ (?), რამეთუ ჳყოფდით ნებასა [თქუენსა] და რომელნი ჳელსა თქუენსა ქუ[ეშე] არიედ მათ ბოროტს[ა] უყოფდით და ყოველთა [თა]ნამდებთა თქუენთა [ჳმძ]ლავრობდით და იმა[რხ]ავთ სარჩელად და ლ[ა]ლვად, ვითარმედ დღეს მესმა [და]ღადებით ჳმად თქუენი არა ...ეთი (?) მარხვად გამოვიძ[იო], იტყვს უფალი, არცა შე[ვ]იდრიკო, ვითარცა გრკალი შენი და ძაძად და [ნა]ცარი და ირეცო, ესრეჴ[თ] (?) არა იწოდოს მარხვად [სა]თნოდ“^{96*} და შემდგომი. ე[სე] არს ნაყოფი მომკუ[დ]არი, ამისთვის არა [შეის]მინის მათი, ილოცე[ვ]დ რად ღმრთისა მიმართ, არამედ უფროდსლა აბრალებნ და კუალად სახარებასა შინა იტყვს ეგევითართათვს: „უკუეთუ ნათელი შენ შორის ბნელ არს, რავდენ უფროდს ბნელი იგი?“^{97*} იტყვს კუალად წინასწარმეტყუელი მათთვისვე, ვითარცა შერისხვით, ვითარმედ: „სიმართლეს თქუენი, ვითარცა ძონძი წიდოვანთად“.^{98*} აწ უკუე ესე არს ნაყოფი მომკუდარი.

თქუენ, საყუარელნო ძმანო ჩემნო, არცა ერთი რად სიტყუად გაქუს ამის ნაყოფისა მიმართ, არამედ ცოცხალ არს ნაყოფი თქუენი. ვილოცავ თქუენთვის ღმრთისა მიმართ, რადთა დაგიცვნეს თქუენ და არა იცვალოს ნაყოფი თქუენი ცოცხალი, არამედ უფროდსლა, რადთა თქუენ თანა აღაორძინოს მადლსა მაგას თქუენსა და სიხარულსა და ძმათ-მოყუარებასა და გლახაკთ-მოწყალებასა და კეთილსა მაგას ცხორებასა და ყოველსავე ნაყოფსა სიმართლისა თქუენისასა, ვიდრემდის განვიდეთ ამიერ. შევემთხვვნეთ ურთიერთარს, სადა იგი არა არს მწუხარებად, არცა ჳირი, არამედ სიხარული და მხიარულებად და დიდებად და ნათელი და განცხრომად იგი საუკუნოდ და სამოთხისა იგი ნაყოფი და შესაკრებელი პირმშოთად აღწერილი ცათა შინა და ყოველნი აღთქუმანი, რომლისაჲ ვერ ძალმიც მითხრობად.

^{96*} ?

^{97*} მთ. 6, 23.

^{98*} ?

აწ უკუე ესე მივწერე თქუენდა სიყუარულისა მისთჳს, რომელი მაქუს თქუენდა მიმართ, რადთა ნუგეშინისცემულ იყოს გული თქუენი და მრავალ არს, რომელი მეგულების მიწერად თქუენდა, არამედ ეც მიზეზ ბრძენსა და უბრძნეს იყოს.^{99*} ხოლო ღმერთმან დაგიცვენინ თქუენ მოწევნულისა ამისგან ჟამისა ბოროტისა, რადთა იყვნეთ ყოვლადვე ცოცხალ ჳორცითა და სულითა და საშუმინველითა. მოგეცინ თქუენ ცნობად ყოველსა შინა, რადთა განერნეთ საცთურისაგან ამის ჟამისა.

განძლიერდით უფლისა მიერ, საყუარელნო ძმანო!

ყოველი ნაყოფი მომკუდარი შეემთხუევის კაცთა დიდების მოყუარებისაგან და ჳორცთა განსუენებისა.

წმიდისა ამონადსივე მეთხუთხმეტე

ეკრძალე თავსა შენსა^{100*} კეთილად! ვითარცა ხედავ გრწამს, რამეთუ უფალი ჩუენი იესო ქრისტე ღმერთ არს და გამოუთქმელი აქუს სიმდიდრეწ და დიდებად. სახე ჩუენდა იქმნა, რადთა შეუდგეთ კუალსა მი[ს]სა. დიდად გარდარეულად დაიმდაბლა თავი თჳსი, რამეთუ მოიღო მან ხატი მონებისა და სიგლახაკეწ დიდძალი და სირცხული შეურაცხყო. გინებად ფრიადი და მძიმეწ თავს იღვა და ვითარცა ცხოვარი კლვად მიიგუარა და ვითარცა ტარიგი წინაშე მრისველისა თჳსისა უკმობელად დგა, ესრე[წთ] არა აღაღებდა პირსა [თ]უდსსა. სიმდაბლითა თუ[დსი]თა საშჯელი მისი მიიღო, სიკუდილი მრავლით[ა] გინებითა დაითმინ[ა] [ჩუენ]თჳს, რადთა ჩუენცა მცნებ[ისა] მისისათჳს და ჩუენთა ც[ო]დვათათჳს უკუეთ[უ] ვინმე სადამე ვინცა რ[ად] ყოს სამართლად, გინა უსამართლოდ გუაგ[ინე]ბდეს, გინა შეურაცხ-გ[უყო]ფდეს, გინათუ და-ცა-რ[ას]-მე გუაკლებდეს, ანუ [თ]უ ძჳრსა იტყოდის ჩუენთჳს და რადღა უფრო[დს] და თუ სიკუდილდ მიგუცემდეს, ვითარცა ცხოვარსა კლვ[ად] და ვითარცა პირუტყუსა საცხ[ო]ვარსა, ნუმცა სიტყუა [უგ]ებთ, არამედ უფროდსღა, უკუეთუ შეუძლო, ჳლოცე[ვდ], უკუეთუ არა, დუმ[ენ] ოდენ და მოითმენდ სიმდაბლით. ეკრძალე თავსა შენსა კეთილად, არამედ ვითარცა დიდსა

^{99*} შდრ. იგავ. 9, 8.

^{100*} II შჯ. 15, 9. მოსეს ამ სიტყვების განმარტებას ეძღვნება ბასილი დიდის ჳომილია „სიტყვსა მისთჳს მოსე წინადაწარმეტყუელისა, რომელსა იტყჳს: „ეკრძალე თავსა შენსა“. - „ბასილი კესარიელის სწავლათა ეფთჳმე ათონელისეული თარგმანი“. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ც. ქურციკიძემ. თბ., „მეცნიერება“. 1983. გვ. 19-29.

შესაძინელსა და ცხოვრებასა სულისასა, გინებად და შეურაცხებად და დამდაბლებად, რომელ უფლისათვის მოიწეოდის, გრწმენინ, რამეთუ არს კუალად მოსა(გე)ბელ და თავს იდებდ მას გულსმოდგინედ და შეუძრწუნებელად და იტყოდე: „ღირს არს ჩემდა და თუმცა უფროდსიცა რადმე მევენო ცოდვთა ჩემთათვის და ყოვლადვე ღირს ვიქმნები ვნებისა რადსმე დათმენად უფლისათვის, ვინ უწყის, მცირესა რასმე ღირს ვიქმნე მობაძავ-ყოფად ვნებასა მას ღმრთისა ჩემისასა და რადვდენგზის მოგიკსენებდეს მაჭირვებელთა მათ შენთა ჭირი, ვითარცა დიდთა შესაძინელთა მომატყუებელთა, ჰლოცევდ ყოველთა ერთითა გულითა ჭემმარიტებით და ყოვლადვე ნუ ვისა იკსენ[ე]ბ ძვრსა.

უკუეთუ ვინმე პატივ-გცემდეს, ანუ თუ გაქებდეს, გულსა გაკლდინ და ილოცევდი, რადთა დაიფარო ამის სიმძიმისაგან. ეგრეცა ყოველსა საქმესა, რომელსა დიდებად, ანუ მთავრობად აქუნდეს ვიდრე მცირესაცა ოდენ ზედა, ევედრებოდე ღმერთსა განმარტებულთა გულითა ჭემმარიტებით, რადთა შორს ყოს შენგან ესევითარი ესე. მოიკსენე და თქუ, ვითარმედ: „უღირს ვარ და უძლურ და ოდესვე უმდაბლესსა საქმესა და სახესა გამოეძიებდ კრძალულად და მათ შინა იჰყარ თავი შენი მგლოვარედ, მდაბლად და გამ[ო]უჩინებელად, რეთაცუ/[რეცა თუ] ყოვლადვე მოჰკუედ და მკუდარ ხარ ამის სოფლისაგან და რეთაცუ/[რეცა თუ] უდარეჭს ხარ ყოველთა და უცოდვილესს.

ეკრძალე თავსა შენსა ძლიერად, ვითარცა დიდისაგან სიკუდილისა და სულისა წარსაწყმედელისა და სატანჯველისა მისგან საუკუნოდსა, რადთა სრულიად მოიძულო და მოიძაგო ყოველივე დიდებისმოყუარებად და ნებად დიდებისა და პატივისა და ქების მოღებისა კაცთაგან და შეურაცხადცა თავისა თვისისა თუ ვარ რაიმეო. გინა თუ წარ-რადმე-მიმართებისა სათნობად, გინათუ უმჯობეჭს ვისამე ვარ, ანუ სხვისა ოდენ ვარ და ყოველი საძაგელი გულისთქუმად და კაცობრივნი ვნებანი, ვიდრე მცირედ ოდენცა რადსმე და განცდად კაცისა ოდეს არა საწმარ იყოს, გინათუ შეხებად სხუ[დ]სა გუამისა ოდეს არა ჯმდეს, ვიდრე სიტყუად ოდენ ვისამე სადა ოდეს არა იყოს ჭირი, გინათუ ჭამად რადსად მცირისა და უნდოდსად ოდეს არა ჯმდეს, რადთა და რად იც[ვა] და მოიკრძალო თავი [თ]ჯსი ამის მცირისაგ[ან], რადთა მძიმესა არა [შეხვ]დე და ყოვლადვე გამ[ო]-ნუ-იცადები.

ეკრძალე თავსა შენსა კეთილად, რადთა ცოდვათა შენთა[თვ]ს, ვითარცა არს ჭემმარიტ[ა]დ [დი]დი შესაძინელი და ცხ[ორებად] სულისა და ვითარცა არს ჭ[ემ]მარიტად სასუფეველი ც[ათ]ად, ყოველსა სახესა გამ[ო]ეძიებდ და ყოველითა

მა[ლ]ითა შენითა ისწრაფ[დი], რადთა გონებითა და სიტ[ყ]ვითა და საქმითა დ[ა] სამოსლითა დაწყნარებულითა ყოველსა შინა საქმესა მდაბალსა [შე]ურაცხად თავი თუ[ისი], ვითარცა სკორეჭ და ვითარცა მ[იწ]ად და ნაცარი და ვითარცა ყოველთა უდარეჭსი და ვითარცა ყოველთა მონად, რადთა ესრეწთ შეგერაცხოს თვისი მარადის, გულითად და ჭემმარიტად ყოველთა ქრისტიანეთა უკუანასკნელწსად¹⁰¹ და უცოდვილეწსად და რეცა თუ შორს ხარ ყოველთაგან სათნოებათა და იტყოდეცა შეტყუებით: ქრისტიანეთა თანა მე შერაცხილ ვარა, რამეთუ მე ვარ მიწად და ნაცარი და ვითარცა ძონძი წიდოვნისად არს ყოველი სიმართლეწ ჩემი და თუ არა წყალობითა მრავლითა და მადლითა ღმრთისადთა შევიწყალო, ღირს ვარ მე საუკუნისა სატანჯველისა უფროდს, ვიდრე ცხოვრებასა. უკუეთუ უნდეს ჩემ თანა განმართლების, ვერ ძალმიც ზე ახილვად, რამეთუ სავსე ვარ გინებითა“. რადთა ესრეწთ გეპყრას სული მგლოვარედ და დაღონებულად, სულთქუმით და იტყოდე გონებასა თვისა, ვითარმედ: „დღითი-დღედ მოველი სიკუდილსა ჩემსა და თანამდებად ხოლო ვხედავ თავსა ჩემსა საუკუნისა მის სატანჯველისა და დაღადებდ ღმრთისა მიმართ გულსმოდგინედ და დაუბრკოლებელად, რადთა წყალობითა მრავლითა წარუმართოს სულსა ჩემსა და ყოს შენ თანა წყალობად. რადთა ესრეწთ აგრძნობდე თავსა თვ[ს]სა დამაშურალად მწუხარებითა და სულთქუმითა და არასადა განმხიარულდე, გინა იცინოდე, არამედ სიცილი შენი გლოვად გარდაიქეცინ და სიხარული მწუხარებად; ვიდოდე და იტყოდე, ვითარმედ - სული ჩემი აივსო ნაგუემითა!

ეკრძალე თავსა შენსა კეთილად, რადთა ესრეწთ შეგერაცხოს თავი შენი ყოველთა ქრისტიანეთა უკანასკნელწსად¹⁰² და უცოდვილეწსად განმარტებულითა გულითა ჭემმარიტად და გაქუნდინ სული შენი მგლოვარედ და დამდაბლებულად სულთქუმით, და ვითარცა უღირსი და უცები, მარადის დუმენ და ყოვლადვე ნუ იტყვ ნუცა კნინსა რას.

ეკრძალე თავსა შენსა კეთილად, რადთა მარადის თუალთა წინაშე გაქუნდეს ცეცხლი იგი საუკუნოდ და საუკუნენი იგი სატანჯველნი და რომელნი იგი მუნ იტანჯებიან და იარებიან და მუნად შეგერაცხენ თავი შენი უფროდს ვიდრედა ცხოვრებასა და იტყოდე,

¹⁰¹²⁶ უკუანაგნეწსად.

102

ვითარმედ: „უკუეთუ ინებოს ღმერთმან განკითხვისა ყოფად ჩემ თანა, ვერ ჰკლმეწიფების ზე ახილვად, რამეთუ სავსე ვარ არაწმიდებითა“.

აწ უკ[უე], ვითარცა ესოდენისა ტანჯ[ვი]სა თანამდები, ამ[იერ]ითგან ვიდრე ესე ჟამილა სინანულისადა გ[უაქ]უ საკსრად დიდთ[ა] მათგან და საშინელთა სატანჯველთა, ვითარცა მომკუდარსა [და] მუნ მყოფსა გონებითა გიღირს, რადთა წინადა[თ]ვე მოიპოო დიდი [იგი] მათი მწუხარებადა და გამოეძიებდ თავსა შენსა ნებისაებრ [ღმრთისა] საღმობასა და შრ[ო]მასა, რადთა მათ შინა და[უ]ცადებელად იქმო[დე] ცოდვათა შენთა თ[ვს] და ჯორცითა რავ[დე]ნ იყოს ძალი შენი იქმ[ო]დი დაუცადებელად საქმესა ჯელთასა და სხუასა მრავალსა ღმრთისათჳს სიმდაბლესა, ვითარცა ჭემმარიტსა ჭემარიტებით ადასრულებდ ყოველთა უმწემესობასა მას და ყოველთა მონებასა, ხოლო სულითა დიდისა მისთჳს და დაუცადებელისა ტირილისა და ღრჭენისათჳს კბილთადასა ზრუნევდ და გეპყარნ თავი თჳსი, რავდენ შეუძლო დაუცადებელად წრთუასა შინა წერილთასა და მცირედ შემდგომად წრთჳსა მის სულთ-ითქუემდ და ილოცევდ განმარტებულად, რადთა ესრეწთ იყოს გონებადა შენი მარადის, ვითარცა დაუცადებელად კანონსა ჰყოფდ, რადთა არა პო[ო]ნ ეშმაკთა ადგილი შეეთესვად მავნებელთა გულის სიტყუათა გონებასა შენსა.

ეკრძალე თავსა შენსა კეთილად და გრწმენინ, რამეთუ უფალი ჩუენი მოკუდა და აღდგა და სისხლითა თჳსითა მომიყიდნა ჩუენ, რადთა შენცა არა თავით თჳსით ცხოველ იყო, არამედ უფლისად, რომელი იგი მოკუდა ჩუენტჳს და აღდგა და ესავმცა და გრწამს, ვითარმედ თუალთა წინაშე მისთა ხარ მარადის და ხედავს გულსა შენსა და რამეთუ თანა არს და წინაშე შენსა მარადის, რადთა იყო ყოვლად, სახითაცა და გონებითაცა, ვითარცა აწვე მომკუდარი და განსრული ამიერ სოფლით და ვითარცა წინაშე მისა ხარ და მის წინაშე სდგა.

ეკრძალე თავსა შენსა კეთილად, რადთა იყო ვითარცა მონადა შიშით და ძწოლით და დიდითა სიმდაბლითა, რომელი მარადის წინაშე დგან და უკუანა შეუდგნ თჳსა უფალსა და არა ვიდრე შეიძრის მისგან, არამედ მზად ერჩინ ნებასა მისა, რადთა ეგრეცა შენ გინათუ სდგე, გინათუ სჯდე, გინა მარტოდა იყო, გინათუ სხუათა თანა გამოისახე თავისა შენისა, რადთა იყო მარადის, ვითარცა ჯერ არს წინაშე ღმრთისა ყოფად შიშითა და ძწოლითა დიდითა სულითა და ჯორცითა და რავდენ შეუძლო, განიწმედდ გონებასა შენსა გულის სიტყუათაგან ბოროტთა და ყოვლისაგან გმობისა. შეეყავ სიმდაბლესა, სიმშვესა, შიშსა,

სწავლულებასა და დიდსა დუმბილსა, ვითარცა ღმერთი გხედავს და ყოვლადვე ნუ გაქუნ კადნიერებად ზე ახილვად ცოდვათა შენთათჳს.

ეკრძალე თავსა შენსა კეთილად, რადთა ვითარცა წინაშე მისა მყოფი და მის წინაშე მდგომელი მარადის ერჩდე (მარადის) ნებასა მისსა გინათუ სიკუდიდ, ანუ თუ ცხორებად, ანუთუ რომელსა-მე ჭირსა მრავლითა გულსმოდგინებითა და სარწმუნოებითა. მარადის მოელოდე დიდთ[ა] და საშინელთა განსა[ცდე]ლთა მომავალთა [შენ] ზედა და დიდსა და ს[აში]ნელსა ჭირსა და ს[ატანჯუე]ლთა და საშინელსა [სიკ]უდილსა.

ეკრძალე [თა]ვსა შენსა კეთილად, რადცა შეგემთხუ[იოს] სახეჴ, გინა საქმით, [გინა] სიტყვით, გინათუ [ცნო]ბით, ყოვლადვე ნუ ეძიე[ბ] შენსა ნებასა, ნუცა [შე]ნსა განსუენებასა, [არამედ] ნებასა ღმრთისასა გამოეძიებდ ჭემმარიტა[დ] და მას სრულიად ჰყოფდი დ[ა] მას გული გითქუემდ, დაღათუ საგონებელ იყოს, ვითარმედ ჭირიცა რა[დ]მე აქუს, რამეთუ მცნება[ნი] მისნი ცხორება სა[უკ]უნე არიან.

ეკრძა[ლე] თავსა შენსა კეთილა[დ], რადთა ვითარცა წინაშე ღმრთისა მდგომარეჴ და მის წინაშე მყოფი მარადის ნურარას თჳნიერ ნებისა მისისა ჰყოფ, ვიდრე მცირესაცა ზედა რასმე, რადცა გინდეს ყოფის სიტყვსა, გინა საქმისა რადსმე, გინა მისლვის ვისამე, გინა ჭამის რადსმე, გინა სუმის, გინა დაძინების, გინა რომელისამე საქმისა რომელი-რად გინდეს, რადთა გამოიცადო პირველად უკუეთუ ღმრთისად იქმნებოდეს და ესრეჴთ აუარო ღმერთსა მიზეზი იგი, რომლისად გინდეს ყოფის და მაშინლა ჰყო, ვითარცა შეგავს წინაშე ღმრთისა, რადთა ესრეჴთ ყოველთა სიტყუათა შენთა და საქმეთა შენთა მისცე აღსარებად ღმერთსა, რადთა მის გამო გაქუნდეს სიყუარული და გულსმოდგინებად ღმრთისა მიმართ.

ეკრძალე თავსა შენსა კრძალულად! იგი, რამეთუ წერილ არს: „ოდეს ესე ყოველი ჰყოთ, თქუთ: მონანი ვართ უჴმარნი, რომელი თანა გუედვა ყოფის, ვყავთ“.¹⁰³ რადთა რასაცა ჰყოფდე ღმრთისათჳს საქმესა, ნუ ვითარცა სასყიდელისათჳს, არამედ ვითარცა ყოვლითა სიმდაბლითა, ვითარცა ჭემმარიტად მონად უჴმარი და მრავლისა თანამდები და რასაცა იქმოდე, ეგრე შეგერაცხენ თავი თჳსი მარადის, ვითარმედ მრავალი დაგიკლებიეს, რომელი იგი თანა გაც და რეცათუ ყოვლადვე დასძინებ ცოდვათა შენთა

¹⁰³ ლუკ. 17, 10.

უდ[ე]ბებითა მაგით შენითა, რამეთუ რომელმან იცოდეს კეთილისა საქმეჲ და არა ქმნეს, ცოდვ[ა] არს მისა და ესრეთ სიმრავლესა ცოდვათა შენთასა და რავდენ იგი დაკლებულ ხარ მცნებათაგან ღმრთისათა, ხედევდ თუალითა და სულთ-ითქუემდ და წუხდ და ევედრებოდე ღმერთსა გულს მოდგინედ და დაუცადებელად, რადთა წყალობითა და კაცთმოყუარებითა ღმრთისადათა მოგიტევნეს შენ უმჯულოებანი შენნი და ყოს შენ თანა წყალობად.

ეკრძალე თავსა შენსა ძლიერად! უკუეთუ ვინმე შეგაწუხოს შენ რომელსავე ზედა საქმესა და მწუხარე იქმნე, გინა გული განგიწყრეს, დუმენ და ყოვლადვე ნუ რას იტყვ უწესოდ, ვიდრემდის არა პირველად დიდითა ლოცვითა დამშდნეს გული შენი და ესრეჲთ მაშინდა ევედრე ძმასა მას, უკუეთუ საკმარ იყოს შენდა და ამხილებდე ვისმე ძმასა და იხილო იგი გულისწყრომასა დაუწყნარებელად, ყოვლადვე ნუ რას ეტყვ მას, რადთა გულის წყრომასა მას თანა უფროისდა აღშფოთნეს, არამედ ოდეს იხილო შენიცა თავი და მისი[ცა] დიდად დაწყნარებ[უ]ლად და დამშდებულად, მაშინ ხოლო ეტყოდე ნუ ვითარცა მხილებით, [არამედ] ვითარცა მოკსენებითა [ყო]ვლითა სიმდაბლითა და სიყუარულითა, რადთა [ეს]რეჲთ ყოვლადვე არა [აღმ]ოსთქუა სიტყუად [რის]ხვისაჲ პირით შენით. შურებოდე და ილუწიდ ყოველსა შინა, ვითარცა ე[სავ] და გრწამს, რამეთუ თუალთა წინაშე ღმრთისათა ხარ მარადის და ხედავს გულსა შენ[სა], ვითარცა ხედავს მარადის. ესრე[ჲთ] დაადგერ მის წინაშე დ[ა] გეშინოდენ და იცოდ[ე], რამეთუ შეტყუებით დიდე[ბ]ასა მის თანა და სიმდიდრესა ეგრეჲთ ხარ შენ, ვითარცა არა არსი და ვითარცა მიწაჲ და ნაცარი და ვითარცა სიხენეშეჲ და მატლი.

ეკრძალე თავსა შენსა კეთილად! გინათუ სდგე, გინათუ სჯდე, გინათუ რასაცა იქმოდე, გინა მარტოდ იყო, გინა სხუათა თანა გამოისახევდ და განიმზადებდ თავსა შენსა, ვითარ იგი ჯერ არს წარდგომა წინაშე ღმრთისა მარადის, ვითარცა ფრიად გარდარეული ცოდვილი შიშითა და ძწოლითა დიდითა სულისა და ჯორცთაჲსა და განიწმედდ გონებასა შენსა მწიკულევანთაგან გულის სიტყუათა შენთა და ყოვლისაგან გმობისა ყოვლითა სიმდაბლითა და სიმშდითა და დიდად მორცხუედ და კდემულად გეპყარნ თავი თვისი, ვითარცა ღმერთი გხედავს შენ და ნუ გაქუნ კადნიერებაჲ ნუცა ზე ახილვად, რადთა ესრეჲთ არა რად ამპარტავანებისაჲ, გინა მრისხანებისაჲ, გინა თავკედებისაჲ გაქუნდეს სახეჲ, არამედ რადთა იყო მშდობასა შინა და ყუდროებასა, რადთა გაქუნდეს

განურისხველობა და დაწყნარებულება და არა შფოთ იყო, ვითარცა ღმერთი მხედველად გაქუს ყოველსა მას აღძრვასა.

ეკრძალე თავსა შენსა კრძალულად! ვითარცა გრწამს, რამეთუ უფალი ჩუენი ჩუენთვის დაგლახაკნა, მდიდარი იგი და ჩუენთვის მოკუდა და განცხოველდა და სისხლითა თვისითა მომიყიდნა ჩუენ, რადთა შენცა, ვითარცა სასყიდლით მოსყიდული არა თავით თვისით ცხოველ იყო, არამედ უფლისად და იყო მისა მონად და კუალად აღასრულებდე სრულიად უნებელებასა მას და ვითარცა მდოვრისა ცხოვრისა წინა აღუდგომელად დამორჩილებული თვის[სა] უფალსა, ეგრე იყავ წინაშე ღმრთისა მარადის. მკუდარ იქმენ სრულიად კაცობრივთაგან ვნებათა და ყოველთაგან კაცობრივთა გემოთა და ყოვლადვე ნუმცა ნებად შენი თვისად და გულის თქუმად, არამედ რადთა იყოს ყოველი ნებად შენი და ყოველი გულის თქუმად შენი სურვილისათვის და წადიერებისა საქმედ სათნოებათა ღმრთისათა. რადთა ესრეწთ არასადა შეგერაცხოს თავი შენი თავისუფლად, გინა ვითარმცა გაქუნდა თავსა თვის[სა] ზედა ჳელმწიფებად, არამედ იტყოდე: „მონად ვარი ღმრთისად და ჯერ არს ჩემდა, რადთა ნებასა მის[სა] დავემორჩილო [და] შეუდგე“.

დაიცევ თ[ავი] შენი კეთილად, რადთა [ჟამი]თი-ჟამად მოელოდ[ე] [შე]ნ ზედა განსაცდელს[ა], [გი]ნა სიკუდილსა, [გინა]თუ ჳირსა და ვ[ნება]თა და თავს იდე[ბდ] წადიერად და შე[უძ]რწუნებელად და [გა]ნიძრახევდ, ვითარმედ [მრ]ავლითა ჳირითა გვღირს ჩუენ შესვლად სა[სუ]ფეველსა ღმრთისასა.

ეკრძალე თავსა შე[ნსა] კეთილად, ვითარცა წინაშე ღმრთისა მყოფი მარადის, რადცა შეგემთხვოს შენ სახეწ სიტყვთ, გ[ინა] საქმით, გინათუ [ცნ]ობით, ყოვლადვე ნუ ე[რჩი] შენსა ნებასა, ნუ შენსა განსუენე[ბა]სა, არამედ ნებასა ღმრთი[სა]სა გამოეძიებდ [ჳე]შმარიტად დად[ათუ] შრომად რადმე აქუნდეს, არამედ ვითარცა არს ჳეშმარიტად სასუფეველი ცათად და გვრგვნი ცხორებისად. დაითმინე და სრულიად გსუროდენ და გრწმენინ და იქმოდე ყოვლითა გულითა, რამეთუ ესე უმჯობე არს შენდა უფროს ყოვლისა კაცობრივისა ზრახვისა, რამეთუ მცნებანი მისნი ცხორება საუკუნო არიან და რომელნი გამოეძიებენ მას, არა ნაკლულევან იქმნენ ყოვლისაგან კეთილისა.^{104*}

ეკრძალე თავსა შენსა კეთილად! ვითარცა წინაშე ღმრთისა მყოფი მარადის, რადთა არა ერთი რად თვნირ ნებისა მისისა ჳყო, არამედ რადცა გინდეს ყოფის, გინა სიტყვს,

^{104*} შდრ. ფს. 33, 11.

გინათუ საქმის რადასამე ვიდრე მცირესაცა რასმე ზედა, გინა მისლვის [ვის]ამე, გინა შემთხუვევის, გინათუ ჭამის, გინა სუმის, გინათუ დაძინების, გინათუ სხვსა საქმისა რადასამე გინდეს მოსაქნის, რადთა გამოიცადო პირველად, უკუეთუ საჯმარ არს და სამართლად ნებად ღმრთისა არს ყოვლადვე იგი გინა სიტყუად და ესრეწთ ადაროს წინაშე ღმრთისა და მიზეზი იგი საქმისა მის, გინა სიტყვსა, რომლისა გინდეს ყოფის და ესრეწთა ჰყო, ვითარცა შეჰგავს წინაშე ღმრთისა დიდითა შიშითა და ძრწოლითა, რადთა ესრეწთ მიეახლო და თანა-მზრახვალ იქმნე ღმრთისა და ყოველთა შენთა საქმეთა ზედა და სიტყუათა მისცემდე აღსარებასა და თუ შეაცნა თავსა შენსა, ვითარმედ გარდა-რამდე-ჰკედ მას წესსა შურებოდე, რადთა აღასრულებდე მას ჰქმმარიტებით, სულთ ითქუემდ და მწუხარე იყავ და ინანდი წინაშე ღმრთისა და ილოცვედი წარმართებად, რადთა ესრეწთ რად თავსა თვსსა განიკითხვიდე და მოიკრძალვიდე, რადთა ადრე არა სცთე.

ეკრძალე თავსა შენსა კეთილად, ვითარცა წინაშე ღმრთისა მყოფი მარადის, რადთა არავისგან ესვიდე მოღებად გარნა მის მხოლოდასგან სარწმუნოებით და რომელი რად გინდეს, ევედრებოდე ღმერთსა, რადთა მოგცეს შენ საჯმარი იგი მისისაებრ ნებისა და რადცა იგი ჰპოო, მას ზედა ჰმადლობდი მარადის, ვითარცა მის მიერ მოცემულსა და თუ გაკლდეს რამდე, ვითარცა ყოვლადვე არა ესავ კაცსა, ეგრეცა რადთურთით ნუ ვისა გულსა გაკლნ, ნუცა სდრტვნავ ვისთვის, არამედ მოითმენდ გულსმოდგინედ და შეუძრწუნებელად და იტყოდე, ვითარმედ: „ღირს ვარ მრავლისა ჭირისა ცოდვ[ა]თა ჩემთათვის, ხოლო უკუეთუ უნდეს უფალსა ჩემი შეწყალება, ძალუც მცირითაცა და უნდოდთა ყოველი [საჯმა]რი ჩემი განკურნებად“. [ეს]რეწთ ევედრებოდე ღმერთსა, რადთა მან თავადმან ყოველ[ი] [საჯმა]რი შენი აღავსოს.

[ეკრძა]ლე თავსა შენსა კეთილ[ად], რადთა ყოვლადვე არა ვისგ[ან] მოილო, არცა თავს იდ[ვ]ნა რომელი დაგეჯეროს, ვითარმედ ღმერთმა[ნ] [მოგი]ძლუნა და რომელი იხილ[ო] [ნა]ყოფთაგან სიმართლეც იყოფის ყოვლითა სიმარ[თლითა]¹⁰⁵ და სიყუარულითა ეს[ე] [თავ]ს იდე, ხოლო რომელი იხილო, ვითარმედ ა[რა] სიმართლით იყოფის, არამედ [ლა]ლვით და ზაკუვით, განიძებდ და განაგდებდ [ეგე]ვითარსა მას. განიზრ[ახე] და თქუ,

¹⁰⁵13 უნდოითა.
სიმდაბლითა (სინ. 25)

ვითარმედ: „სჯობს მცირედ[ი] წილი შიშითა ღმრთისადათა, ვიდრედ[ა] მრავალთა ნაყოფთა [უ]სამართლოებით“.

ეკრძ[ალე] თავსა შენსა კეთილად, ვითარცა დიდი ღუაწლი და [სიმ]კნეწ დაიმარხე თავი[სა] შენისად, რადთა იყო მარადის დ[უმილით], [რადთ]ა მოგცეს შენ ღმერთმან ღწოლად და [მა]რხვად და ყოვლადვე ნუ რას [იტ]ყუ, ნუცა მცირესა რას[მე] ზედა, ვიდრე რქუმამდე კაცისა [ს]ადა არს იგი, გინა რად არს [ეს]ე?! არამედ უკუეთუ საკმარ [ი]ყოს შენდა სიტყუად, გამო[ი]ცადე პირველად თავით [შ]ენით, უკუეთუ საკმარ არს და ჯეროვან და ნებად ღმრთისად სიტყუასა მას ზედა უფროდს არს, ვიდრე დუმილსა და ესრეწთ აუარო ღმერთსა მიზეზი იგი სიტყუსად მის, რომლისად გინდეს სიტყუად და მაშინდა, ვითარცა ნებასა ღმრთისასა მსახურებ, ადალე პირი შენი სიტყუასა ღმრთისასა და იტყოდე მცირესა, გინა დიდსა, ვითარ იგი ჯერ-არს წინაშე ღმრთისა, შიშით და ძწოლით ყოვლითა სიმდაბლითა და სიმშვიდითა სწავლულად. და იტყოდი რად, გეპყარნ პირი მარადის და სიტყუად პატივის პყრობით და რეცათუ შეურდები. რადთა ესრეწთ, უკუეთუ ვისმე შეემთხვო, რქუა ერთგზის, გინა ორგზის სიტყუად სიყუარულისათვს და მერმე სდუმნე. და თუ ვინმე გკითხვიდეს რას, საკმარი ხოლო იგი მიუგე, მეტსა ნურას იტყვ.

დაიცევ თავი შენი ჭეშმარიტად და ვითარცა იგი იმარხავ სიძვისაგან, ეგრევე იმარხევდ გულისთქუმისაგან თუალთადასა და სასმენელთადასა, პირისაგან და შეხებისა, რადთა თუალითა მარადის თავსა შენსა და საქმეთა შენთა ხედვიდე მარტოდ და ნუვის ადრე-ადრე განიცდი კაცსა, გარნა ოდეს იხილო, ვითარმედ საკმარ არს და ჯეროვან. ხოლო დედაკაცსა, გინა წულსა პირშუენიერსა ყოვლადვე ნუ მიხედავ, უკუე დიდისა რაღსმე ჭირისა და სასმენელთა ნუ უტეობ სმენად ვისთვსვე ძვრის სიტყუასა, ნუცა ზრახვასა ურგებსა და პირითა მარადის დუმენ და ყოვლადვე ნუ რას იტყვ რადთურთით, ნუცა შე-რას-ეხები, უფროდსა სხვსა კორცთა, თვნიერ დიდისა რაღსმე ჭირისა.

წმიდისა ამონადასივე (მე-ივ)

დაწყნარებულობისათვს, რომელნი ახლად მოსრულ იყვნენ მონოზონებად

ყოვლის პირველად საკმარ არს ჩუენდა სიმდაბლეწ და მზამცა ვართ ყოვლისათუს სიტყუად, რომელი გუესმეს და ვთქუათ - მომიტევენ! რამეთუ სიმდაბლითა ყოველი იგი ძალი მჯდომისად დაჯსნდების.

ნუ შეჰრაცხ თავსა შენსა ყოველსა ზედა საქმესა, რადთა შეუძრწუნებელ იყოს გონებად შენი.

იყავ მწუხარე ცოდვათა შენთათუს, ხოლო მხიარულ უცხოთა თანა ძმათა, რადთა შიშმან უფლისამან დაიმკვდროს შენ თანა.

უკუეთუ ხვდოდი გზასა ძმათა თანა, განაშორე თავი შენი მცირედ მათგან, რადთა [სდუ]მნე და ნუ გაცხრები [თუა]ლითა შენითა აქა და [იქი], არამედ გალობდ გულსა შინა შე[ნსა], გინა ევედრებოდე ღმერთს[ა].

სადა დასდგე, ნუ ჰკადნიერობ, არამედ იყავ შენ [მდა]ბალ ყოველსა შინა.

წინა [და]გებული შენი ჭამე, ვითარცა [იძუ]ლებით.

ჭაბუკ თუ ხა[რ], ნუ იკადრებ აღება[დ] [რა]სამე ტაბლისაგან [და] სუმად პირსა მოყუ[სი]სა შენისასა ჭამასა თქუენსა.

სწვე რად ნუ დ[ა]იმოს ფეჩუსა. სხუ[ათ]ა თანა აიძულებდ თავსა შენსა და ილოცე მყოვარ პირველ დაწ[ოლ]ისა.

უკუეთუ დამა[შუ]რალ იყო გზითა და გი[ნდ]ეს მცირედ ზეთისა ცხე[ბად] ფერჯთა, იცხე, ხოლო სხვსა გ[უა]მისა განშიშულებად გ[რ]ცხუენოდენ და სხუასა ასოთა შენთა ნუ უ[ტე]ობ] ვის ცხებად, თვნიერ უძლურებისა და ჭირისა. უკუეთუ მოვიდეს უცხო სენაკად შენდა, ეგრევე ყავ შენცა, ფერჯთა მისთა სცხე და არქუ მას - ყავ სიყუარული, მიილე მცირედ ზეთი და იცხე ჯორცთა შენთა. უკუეთუ არა ინებოს, მიუტევე და განისუენოს.

სჯდე რად ტაბლასა ზედა, ჭაბუკ თუ ხარ, ნუ იკადრებ რქუმად ვისამე - ჭამე! არამედ მოიჯხესენებდ ცოდვათა შენთა, რადთა არა შჭამდე გემოდს მოყუარებით.

შჭამდე რად, შენ კერძო დაგებული ჭამე.

სამოსელიმცა შენი ჰფარავს ფერჯთა შენთა და მუჯლის თავნი შენნი იყვნედ შეყოფილ ურთიერთარს.

ჭამასა შენსა შინა ნუ განსცხრები თუალითა აქა და იქი. ნუ ზრახავ ამასა სიტყუასა.

ნუ მიჰყოფ რას კელთა შენთა ტაბლასა ზედა, ვიდრე არა პირველად სთქუა - მაკურთხე!

სუმიდე რად წყალსა, ნუ აღმოუტევებ ჯორჯით შენით ჯმასა უსწავლელად და ოდეს სჯდე ძმათა თანა, მო-თუ-გიჯდეს ნერწყუად პირსა შენსა, ნუ წარმოაგდებ მათ წინაშე,

არამედ განვედ გარე და წარმოჰნერწყუე. უკუეთუ ფქერად გაურვებდეს და იწებენ ბაგენი შენი, რადთა არა აღატკმო პირი შენი და განისუენო. ბოყინებასა ყოვლადვე ნუ აღმო[უ]ტევებ.

უკუეთუ იყოს უნებელი რადმე სიცილისად, ნუ აღსტკმოპ პირსა შენსა, კმა გეყავნ განდიმებადცა იძულებით.

ნუ რას გული გითქუამნ მოყუსისა შენისასა, უკუეთუ იხილო სამოსელი, გინა კუნკული, გინა სარტყელი, გინა სამჯარნი, გინა თუ სხუად რადმე უმცირეჭსი და ნუცა აღასრულებ გულისთქუმასა შენსა, ვითარმცა იქმენ მსგავსი მისი.

უკუეთუ მოიგო წიგნი, ნუ ამკობ შესამოსელსა მისსა, რამეთუ არად სარგებელ არს სულისა.

უკუეთუ სცთე რასმე საქმესა შინა, ნუ სტყუვი სირცხვლისათჳს და სცოდავ, არამედ შეურდი სინანულით და თქუ - შემინდვე, და განისუენო.

უკუეთუ გესმეს სიტყუად ფიცხელი, გინათუ გინებად, ნუ უთქუამ, არამედ მსწრაფლ შეურდი სინანულით და თქუ - შემინდვე! ვიდრე არღა განრისხებულ იყო.

უკუეთუ ვინმე შეგრისხნეს შენ და გრქუას - რადსათჳს ჰყავ საქმეჭ ესე?! ნუ აღშფოთნები, არამედ დაურდი და თქუ - მომიტევე! გინა იცოდი საქმეჭ იგი, გინა არა იცოდი. რამეთუ ესე წარმატებულება არს ჭაბუკთა და წარემატებოდე და ადიდებდ წმიდასა ერთარსებასა სამებასა - მამასა და ძესა და წმიდასა სულსა მარადის, აწ და საუკუნეთა მიმართ, ამენ!